# ალია

N180/3302/ 27-30 ნოემბერი 2015 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


## საქართველოში 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება აიკრძალა

4



## ვინ მფარველოს საქართველოში ბავშვებით უკანონო ვაჭრობას?

7

უცხოელი გეი წყვილებისთვის ქართველი ბავშვების გაშვილება გრძელდება



## რა გაიაფდება და რა გაგვიძვირდება, თუკი რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი გაგრძელდება?

9

## ნარმანია 1714 კუბოს ყიდულობს

13

მათ შორის 1 და 7 წლამდე ბავშვებისთვის



### კიბოს ნიშნები და სიმპტომები — როგორ მივხვდეთ, რომ საფრთხის წინაშე ვართ

12



### როგორ სპეკულირებენ რელიგიური თემებით ქართველი პოლიტიკოსები

8



### ექიმები ანტიბიოტიკებს საჭიროების შემთხვევაშიც აღარ ნიშნავენ

4



### როცა ბავშვს „პარაცეტამოლს“ ასმევთ, ეს უნდა გაითვალისწინოთ

12



### 10 უპატიებელი შეცდომა, რომლითაც კარიერას გაინადგურებთ

15



### შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას 6 წლით ამოკლებსო

16



### მეცნიერებმა სპორტის ყველაზე სასარგებლო სახეობა დაასახელეს

16



### ფეხმძიმეებს სტრესისგან შოკოლადი იცავთო



16

# „მიშა, რუსებმა შეიძლება ომი დაიწყონ, აირევა სიტუაცია", „დაიწყონ, მერე რა, ჩვენც ეგ გვინდა!" — „ვიკილიკსი" მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საუბრის ჩანაწერს აქვეყნებს

უკრაინული „ვიკილიკსი" მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საუბრის ჩანაწერს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ. საუბარი ადეიშვილსა და სააკაშვილს შორის მიხეილ სააკაშვილის ავტომობილშია ჩაწერილი:



მიხეილ სააკაშვილი: როგორა ხარ, ზურაბ? ხო ხედავ, რაც ხდება!

ზურაბ ადეიშვილი: აბა! რა რეჩგვა ერდოღანმა რუსებს!

_ Михаил Николаевич, куда едим?

მიხეილ სააკაშვილი: Женя! пока с Вадимом подождите с наружи, поговорю с Зурабом. Потом поедем.

ზურაბ ადეიშვილი: რა მოხდება ეხლა მიშა, დიდი ომი ხომ არ დაიწყება?

მიხეილ სააკაშვილი: ბიჭო, „სიაიეის" გენერალმა მითხრა, რომ თურქები დააჯახეს რუსებს, თან თურქებს პრიჩინაც ჰქონდათ, პუტინმა დაბომბა მთელი ნავთობის ბაზები „ისისში" და თურქებს ნავთობის პატოკი გაუჩერა. მერე ქურთები აბლატავეს, მანამდე ამერიკელებმა კი შეაიარაღეს მაგრამ, ეხლა ირანიდან დიდი იარაღი შედის და ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნაში ეხმარებიან. ჰოდა, თურქებს აწყობდათ ეგ დარტყმა და რეალურად ჩასაფრებულები იყვნენ, ამით რუსები გააფრთხილეს, რომ სირიელი თურქმენები არ დაბომბოს საზღვართან და ქურთებიც დააშინეს. პარიზის ტერაქტს არავინ ელოდა, ისლამურ სახელმწიფოში ბევრი სასტავია და „სიაიეი" ყველას ვერ აკონტროლებს.

ზურაბ ადეიშვილი: მერე მიშა, რუსებმა შეიძლება ომი დაიწყონ, აირევა სიტუაცია.

მიხეილ სააკაშვილი: დაიწყონ მერე რა, ჩვენც ეგ გვინდა! ისე არაფერი არ მოხდება. ნუ არ გაუშვებენ ეხლა ტურისტებს თურქეთში და ვსიო. არ დაგავიწყდეს შავი ზღვიდან გასასვლელი თურქეთის ხელშია. ეხლა საშიშროებაა, ფრანგები და რუსები არ შეიკრან, ეს არის პრობლემა!

ხო რა მინდოდა! ერთი პანკისელი ბიჭი ჩავიდა იქიდან თბილისში და დააკავეს, ტერორისტობას ტენიან!

ზურაბ ადეიშვილი: ბორჩაშვილზე მეუბნები, ხო?! მაგაზე მელაპარაკა უკვე კეზერა. ჩემებს შევუთვალე და რაღაცას მოიფიქრებენ, ყველა შემთხვევაში, ტერორისტობის მუხლს ვერ შეუფარდებენ და დაიხურება.








მიშა! ისინი ვინ არიან ალაჰის სახელით რომ ემუქრებიან საქართველოს?

მიხეილ სააკაშვილი: ეგენი ვილაც ქინძები არიან! იქიდან ერთი ჯემალა არის, ჩვენებთან იყო ალ-ნუსრაში, ისლამურ სახელმწიფოს შეუერთდა და ზემლიაკები შემოიერთა, ეგენი არიან, გურჯისტან ვილაიეთი ვართო, რომ იძახიან. ეხლა რამდენი არიან, არ ვიცი, ხო ნახე როგორი გონორით ლაპარაკობენ, ეგ სირები!

საქმეზე მელაპარაკე რა! რაც გითხარი, იმაზე რა ქენი?

ზურაბ ადეიშვილი: რუსთავის საქმე, როგორც გითხარი, გაიწელება, აპელაციაც და უზენაესიც გაწელავს. პაპუაშვილთან წავიმუშავეთ და საკონსტიტუციო სარჩელები კიდევ შევა. მე მაგას გავაკეთებ და კეზერეს შენ უთხარი, რომ მოსამართლეებს თანხა დაუფაროს. მერე ნიკა მე მირეკავს, დაფინანსება დამაკლესო, ბეჟუაშვილმა ნახევარი მოგვცაო. მე რა ვქნა, ეს დავითა ვერ დავიჭირე.

მიხეილ სააკაშვილი: მაგათ მე მივხედავ! შენ ბურჭულაძეზე მითხარი, რა ქენით.

ზურაბ ადეიშვილი: მაგას ჩვენები მივაბით, მესამე ძალად უნდა ავაგოროთ, ფონდი რომ დაარქვა, ცუდია, გასაპიარებელია! მაგრამ კოალიციის სახეს მივცემთ. შენი დახმარება არის საჭირო, ამერიკელებმა მხარი რომ დაუჭირონ.

მიხეილ სააკაშვილი: ზურა, შენ გააკონტროლე, რა, ეგ საქმე. გირჩა მირჩებმა იაქტიურონ ბურჭულაძესთან, ვანო როა, მაჭავარიანის ძმა, ბოჩოლასავით რო ნაბავს თვალებს, გააქტიურდეს ყველა. მერე გააბაზრეთ, რომ ამერიკელების პროექტია და ეგ ძალა მოდის სათავეში, პინგვინა გაფრთხილებულია და ბურჭულაძე მოდის, ესე ილაპარაკეთ ყველგან. პაატას შევპირდი, გვარამია და თარგამაძე გაეკეთებენ პიარპროგრამას და „რუსთავი" შენზე იმუშავებს-მეთქი. მაგანაც მთხოვა ამერიკელების მხარდაჭერა, შევპირდი, შენ იაქტიურე და მერე კელი გამოვა და თავისას იტყვის! დიდი მადლობა, ყველაფერს გავაკეთებ, ბატონო მიშა, ბარიტონით მითხრა!

რა გაცინებს შეჩემა!

ზურაბ ადეიშვილი: კაი, რა! მაგარი სირია ისე ეგ ტიპი!

მიხეილ სააკაშვილი: მაიცა, ეხლა! ღადაობას თავი დაანებე! კაცო, მარგველამ რა თქვა, რაო?

ზურაბ ადეიშვილი: მარგველას ბოკერია ელაპარაკება, ძმაკაცურად. ახალ წლამდე კი შეგვპირდა უგულავაზე, მაგრამ თავი შეიკავა. სათანადო პოლიტიკური გარემო არის შესაქმნელი და ვერ გავაკეთებო. ვანოსაც შევიწყალებ და სხვასაცო, მაგრამ სიტუაცია უნდა შეიქმნასო. მე ვფიქრობ, ჩვენები ყველა პოლიტპატიმრებად უნდა გავაფორმოთ, სქემა მომზადებული მაქვს და ვმუშაობთ. სტრასბურგის ბერკეტებს გამოვიყენებთ, ასევე.

მიხეილ სააკაშვილი: დავითა მოვა ჩემთან შვიდ საათზე და შენც მოდი რვის ნახევრისთვის. პრიპორტოვოის საკითხი უნდა მოვაგვაროთ და პროკურატურის სისტემა მოვმართოთ. საყვარელიძემ, დნეპროპეტროვსკში დათო როა გონგაძე ხო იცი, ის გაუშვა და ნაბიჭვარი კუცუკები გადახდას არ აპირებენ, კარგად მოიფიქრე, რა, ამაზე! თან იმ კროლიკმა იაცენიუკმა სუ გადაიჯვა თავზე!

ზურაბ ადეიშვილი: კაი, მოვალ აუცილებლად.

მიხეილ სააკაშვილი: Женя! Давай быстро, Поехали! (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ვოლსკიმ პროკურატურას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა ურჩია



უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი მთავარი პროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს სთავაზობს, პროკურატურამ მოქალაქეების წერილებზე პასუხის გასაცემად ცალკე უწყება ჩამოაყალიბოს.

დეპუტატის თქმით, ხშირად სხვადასხვა უწყებებიდან წერილებზე ავტორს „სახალისო პასუხები" ეგზავნება.

– მინდა აქედან გიორგი ბადაშვილს შევეხმიანო. საინტერესო სისტემაააწყო, ბატონი ირაკლიც მოიაზრებოდა ყოველთვის მასთან ერთად. თუმცა უამრავი საკითხია, რომელიც საზოგადოებამ მართლაც არ იცის, პოზიტივებზე ვლაპარაკობ. არის საკითხები, სადაც არ იციან, პოზიტივია თუ ნეგატივია და უამრავი შეკითხვაა. ასევე, მინდა მოგმართოთ თქვენ, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, წერილებზე პასუხის გასაცემად სპეციალური განყოფილების, ან სტრუქტურის ჩამოყალიბება.

მოისაკლისებს არა მარტო თქვენი უწყება, არამედ სხვა სახელმწიფო უწყებებიც. ხანდახან უწყებიდან ისეთი პასუხები მომდის, შეიძლება სახალისო გაზეთი გამოუშვა, – აღნიშნა ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

**როგორი სახალისო პასუხები მისდის გია ვოლსკის, ვერ გეტყვით, ან გაზეთის გამოშვება თუ ისეთივე ადვილი ჰგონია, როგორიც დაპირებების არშესრულება, ძალიან შემცდარა. ფაქტი კი ის არის, რომ, სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებების პრესსამსახურებში წერის, გამართულად და ქართულად წერის საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. წერენ დაახლოებით ასეთ სტილში — „ხელი გავიქნიე ფეხი". ჰოდა, თუ მართლა შექმნის პროკურატურა მთლად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თუ არა, დეპარტამენტს მაინც, ალბათ, ურიგო არ იქნება. თუმცა არა, კაცო, ახლა საკუთარ თავთან მოვედით წინააღმდეგობაში — ახალი სტრუქტურისთვის დამატებითი დაფინანსება გახდება საჭირო და ეს ხომ ისევ ჩვენ დაგვაწვება კისერზე, გადასახადების გადამხდელებს? მოდით, ისევ სულელურად წერეთ, სჯობს, დამატებითი თანხების გამოყოფას ველარ გაუძლებს ვერც ბიუჯეტი და ვერც ხალხი, ისედაც წელში ვართ გაწყვეტილი.**

## რომ ლანძღავენ ნარმანიას, სწყინს, კაცო, მერე, გული სტკივა...

„კურიერის" ინფორმაციით, 13 ივნისს დაზარალებულებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება საწყობებში ფუჭდება და ადრესატამდე არ მიდის. ერთ-ერთი ასეთი საწყობი დიღომში მდებარეობს, სადაც პროდუქტს ახარისხებენ, თუმცა ამ დრომდე გაუგებარი დარჩა, საიდან მიიღო მერიამ ეს დახმარება და როდის გადანაწილდება ის ადრესატებზე.



თბილისის მთავრობაში აცხადებენ, რომ წითელ ჯვართან ერთად დახმარება დაზარალებულებს ურიგდებათ. მერიის მიერ გაკეთებულ განცხადებას არ ადასტურებენ წითელ ჯვარში. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ დაზარალებულებისთვის დახმარება ჯერ არ მიუტანიათ.

თავად დაზარალებულების თქმით, ბოლოს პროდუქტი მათ მერიიდან სექტემბერში მიაწოდეს.

კიდევ ერთი გაუგებრობა თავად საწყობს უკავშირდება, რომელსაც თბილისის მერიის დაცვის სამსახური იცავს და მუნიციპალიტეტში აცხადებენ, რომ ეს ფართი მათ კომპანია „ბელუქსმა" დაუთმო, თუმცა „ბელუქსი" ამ საწყობთან რაიმე კავშირს უარყოფს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „თქვენმა პროკურატურამ გვამი პროკურორები გააცოცხლა"




პარლამენტში, გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე, სადაც ირაკლი შოთაძეს უსმენდნენ, ინციდენტი მოხდა. სხდომაზე „ქუთაისი თუდეის" რედაქტორი ბუბა ჩივაძე შევიდა და მოითხოვა, მისი ოჯახის ბიზნესთან დაკავშირებით პროკურატურამ სწრაფი გამოძიება აწარმოოს.

ჩივაძის ინფორმაციით, მის ოჯახს ბიზნესები ჩამოართვეს და ამ საქმის გამოძიება ჭიანურდება.

– ჩემს ოჯახს წაართვეს ათეულობით ათასი დოლარის ღირებულების ქონება, დღეს ჩემი ოჯახი პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. თქვენმა პროკურატურამ გვამი პროკურორები გააცოცხლა. თქვენ გააცოცხლეთ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორი ჯალაღანია. თქვენი პროკურორები არიან მევახშეები. უამრავი განცხადება მაქვს პროკურატურის მისამართით გამოგზავნილი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია, – განაცხადა ბუბა ჩივაძემ. (ნიუპოსტი)

**აშკარად მოუწევს ირაკლი შოთაძეს გემოზე გაოფლიანება, იმდენი საქმე აქვს გამოსაძიებელი. არა, მაგან საქმეები გამოიძიოს და ოფლის მოსაწმენდად „სალფეტკებით" თუ არ უზრუნველვყოთ, აგერ ნახავთ. ერთი ეგ არის, ეჭვის ჭია გვიღრღნის გულს, რომ რა შედეგიც მას მოადგილეობისას ჰქონდა, ისეთივე შედეგი იქნება „უმფროსობის" დროსაც. ნეტა ვცდებოდეთ, კაცო, ნეტა!..**

## შუახნის ქალბატონი ახლობელმა სასტიკად აწამა — ყაჩაღობა სამეგრელოში




ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. გვიან ღამით 3 ნიღბიანი მამაკაცი მადონა ხვიტიას ძვირფასეულობისა და თანხის გამოძალვის მიზნით ნახევარი საათის განმავლობაში ფიზიკურად უსწორდებოდა.

როგორც ირკვევა, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მადონა ხვიტიას თურქეთში მყოფმა შვილმა ვალის გადასახდელად სოლიდური თანხა გამოუგზავნა. ასევე, ერთ-ერთი თავდამსხმელისთვის, რომელიც ხვიტიების ახლობელი აღმოჩნდა, ცნობილი იყო, რომ ქალბატონი სახლში დიდი რაოდენობით ოქროს სამკაულებს ინახავდა.

ყაჩაღობაში მონაწილე პირები ოჯახის დიასახლისს სათითაოდ უსახელებდნენ იმ ნივთებს, რომელიც მას უნდა გამოეტანა და პარალელურად იარაღის კონდახით უსწორდებოდნენ.

მადონა ხვიტიას კივილის ხმა მისმა მეზობელმა გაიგო და პოლიცია გამოიძახა, დამნაშავეები შემთხვევის ადგილიდან მოშორებით დააკავეს.

დაკავებულია ჯგუფის სამივე წევრი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი დაკავებული მადონა ხვიტიას ახლობელია, ის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## უმრავლესობა პასუხებით კმაყოფილია, „ნაცმოძრაობისთვის“ შოთაძე „ივანიშვილის დაკვეთების შემსრულებელია“



რაც შეეხება უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას მოსაზრებას, დეპუტატი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ირაკლი შოთაძის მთავარი პროკურორობა აშინებს.

– ეტყობა, მათ აქვთ შიში იმისა, რომ კიდევ არის დანაშაულთა წყობა, რაზეც საქმე აღძრული არ არის, უნდათ თავიანთი აქტიურობით ამის გადაფარვა, რომ შემდეგ ეს შერჩევით სამართალად გაასაღონ. ხომ არ გაგიჩენთ ეს კომპლექსს, იმოქმედოთ თამამად და გაბედულად? – მიმართა შოთაძეს ნუკრი ქანთარიამ.

პასუხად შოთაძემ განაცხადა, რომ უმცირესობასთან გამართული შეხვედრა მის მომავალ საქმიანობას ვერანაირად ვერ შეაფერხებს.

– აბსურდულ ფაქტებზე ისაუბრეს. ეს შეხვედრა ჩემს მომავალ საქმიანობაში ვერანაირად ვერ შემაფერხებს, – განაცხადა შოთაძემ.

„ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი პროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს „ქართული ოცნების“ დავალების შემსრულებელს უწოდებს, მმართველ პარტიაში კი მიიჩნევენ, რომ „ენმ“-ს ირაკლი შოთაძის მთავარი პროკურორობა აშინებს.

გიორგი ვაშაძის შეფასებით, შოთაძე ბიძინა ივანიშვილის დაკვეთების შემსრულებელია.

– შოთაძე არის ჩვეულებრივი დავალების შემსრულებელი ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის. ის არის „ქართული ოცნების“ დავალების შემსრულებელი. მთავარი პროკურორობის კანდიდატი გაიჭედა ძალიან ბევრ კითხვაში. მან ვერ გასცა პასუხი, რატომ არ არის საქმე აღძრული უშუალოდ ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ, რატომ არ არიან დაკითხული აქიმიძე და დვალი, ასევე, ბიძინა ივანიშვილი ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით, იგივე „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით სამი ახალგაზრდის დაკავებაზე, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიორგი გაბაშვილის შეფასებით, პროკურატურა რჩება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკის განმახორციელებლად.

შოთაძის მთავარ პროკურორობას მიესალმება უმრავლესობის კიდევ ერთი დეპუტატი მანანა კობახიძე.

– შოთაძემ შეძლო, რომ ეპასუხა ამომწურავად, მისი პასუხები, რომელიც მან პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დასმულ შეკითხვებს გასცა, არის დამაკმაყოფილებელი. ბუნებრივია, პროკურატურაში არის გამოწვევები, აუცილებელია კადრების გადახალისება, აუცილებელია კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის ამაღლება, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

**აუხ, ბიჭო, მესია მოგვევლინა მგონი, დაბდღვნის შოთაძე ყველა გახმაურებულ საქმეს და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არ გახმაურებულა, იმათაც გაახმაურებს. ნუ უმრავლესობა ასე ამბობს და რა თქმა უნდა, არ გვჯერა ამ ყველაფრის.**

**ვნახოთ, კაცო, თუ გამართლდა მოლოდინი, მაგას რა სჯობს — წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და ერთად დავუთვალოთ, რამდენ საქმეს და რამდენ ხანში გახსნის შოთაძე.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოში 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება აიკრძალა



პირველი მოსმენით უკვე მიღებულია კანონპროექტი, რომელიც 16 წელს მიღწეულ გოგონათა ქორწინებას ეხება.

სიახლის მიხედვით, ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლება აღარ ექნებათ მშობლებს – ეს საკითხი მხოლოდ სასამართლოს კომპეტენცია ხდება.

ინიციატივის ავტორის, თამარ კორძაიას თქმით, მომავალში საქართველოში 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება საერთოდ აიკრძალება. (ginsc.net)

## „ჩვენს ღორმუცელა არქიელებს სულ არა ჰგვანებია! აელო კურთხევა და დაელია, რაღა!“



ცოტნე გამსახურდია სოციალურ ქსელში წერს:

– რაც თავი მახსოვს, მიყვარს მეფე ერეკლე, გამორჩეულად... ნეტავ იმ დროში მეცხოვრა, თუმცა, ვინ იცის, ეგებ ვცხოვრობდი კიდეც... უბრალო და მამაცი მეფე, რომელმაც მთელი ცხოვრება უნაგირზე გაატარა ხალხის დაცვაში. 75 წლის კაცი კრწანისის ბრძოლიდან ძალით გაიყვანეს...

თურმე, როცა მომაკვდავს ქათმის ბულიონი მიართვეს დასალევად, მარხვაა და მე რომ ეს დავლიო, ხალხი რას იტყვის, ხომ გაუტყდება რწმენაო... ჩვენს ღორმუცელა არქიელებს სულ არა ჰგვანებია! აელო კურთხევა და დაელია, რაღა!

ნათელი დაადგეს პატარა კახს, რამ გამახსენა...

P.S. არ გინდათ ზოგს ახლა, პოლიტიკოსი არ იყოო და ბოდიალი... მისი მეასედი გააკეთეთ და მერე იფილოსოფოსეთ! – წერს გამსახურდია. (daijesti.pia.ge)

## რუსეთში ვერტმფრენის კატასტროფას 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა



წინასწარი მონაცემებით, კრასნოიარსკის ოლქში ვერტმფრენის ჩამოვარდნას 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 10 ადამიანი რეანიმაციაში იმყოფება.

დასავლეთ ციმბირის ტრანსპორტის პროკურატურის ოფიციალური წარმომადგენლის ოქსანა გორბუნოვას განცხადებით, კატასტროფის დროს დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

– ამ დროის მონაცემებით, ტრაგედიას 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 10 ადამიანი რეანიმაციაში იმყოფება, – განაცხადა პროკურატურის წარმომადგენელმა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ვერტმფრენის ჩამოვარდნის მიზეზი. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ISIS-მა 60 მტერი ქვეყანა დაასახელა — მათ შორის საქართველო არ არის




რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ მორიგი პროპაგანდისტული ვიდეორგოლი გაავრცელა, სადაც „გლობალური კოალიცია“ დაასახელა და 60 ქვეყანა დაჯგუფების მტრად გამოაცხადა. მტრების სიაში მოხვდნენ აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბალტიისპირეთის ქვეყნები და ასე შემდეგ.

ვიდეორგოლში ნათქვამია, რომ ირანმა, თურქეთმა, აშშ-მა და რუსეთმა „ეშმაკთა კოალიცია“ შექმნეს.

ალსანიშნავია, რომ საქართველო „ისლამური სახელმწიფოს“ მტრად დასახელებული არ არის. (ნიუპოსტი)

**რაღა დაგიმალოთ და გვეამა ეს ამბავი, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ყურადღების მოდუნება კატეგორიულად არ მართებს არც საზოგადოებას და შესაბამის სამსახურებს ხომ მით უმეტეს!**

## იიი, ვოვაჩკა, მოხარშული წაბლი არ გინდა?



რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი, „სუ-24“-ის ჩამოგდებისთვის, თურქული მხარისგან ბოდიშის მოხდას და კომპენსაციას მოითხოვს.

ამის შესახებ პუტინმა ელჩებისთვის რწმუნებათა სიგელის გადაცემის ცერემონიაზე განაცხადა.

მისი თქმით, ის, რაც 2 დღის წინ სირიაში მოხდა, საერთაშორისო სალ აზრსა და სამართალს ეწინააღმდეგება.

– თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა სირიის ტერიტორიაზე. ჩვენ ჯერაც არ მოგვისმენია ბოდიში თურქული მხარისგან. არ ისმის არანაირი წინადადება ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეების დასჯის შესახებ, – განაცხადა პუტინმა.

პუტინის თქმით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თურქეთის ხელისუფლებას რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ჩიხში შეგნებულად შეჰყავს. (ნიუპოსტი)

## რუსეთში თურქეთის 39 მოქალაქე დააკავეს



კრასნოდარში საემიგრაციო კანონმდებლობის დარღვევისთვის თურქეთის 39 მოქალაქე დააკავეს. ყველა მათგანი მონაწილეობდა აგროსამრეწველო გამოფენაში. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, დაკავებულები რუსეთის ტერიტორიაზე როგორც ტურისტები, ისე შევიდნენ და მათ საქმიანი ვიზები არ გაუფორმებიათ. დაკავებულები კი აცხადებენ, რომ მათ არ იცოდნენ, რომ რუსულ კანონმდებლობას არღვევდნენ. 39-ვე დაკავებული გაძევებული იქნება რუსეთიდან, თუმცა მანამდე ჯარიმის სახით მათ 2-დან 5 ათასამდე რუბლი უნდა გადაიხადონ.

ამის პარალელურად, თურქეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის საჰაერო სივრცეში კვლავ შეიჭრება ვინმე, თურქი სამხედროები ისევე მოიქცევიან, როგორც მოიქცნენ.

– თუ დღეს ზუსტად ისე მოხდება ჩვენი საჰაერო საზღვრების დარღვევა, მზად ვართ, ასეთივე პასუხი გავცეთ, – ერდოღანის ამ განცხადებას „როიტერი“ ავრცელებს. სააგენტოს ინფორმაციით, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსულ თვითმფრინავზე მიტანილი იერიში „ავტომატური რეაქციის“ შედეგია. „Hürriyet Daily News“-ის ინფორმაციით, კი თურქეთს არ ჰქონდა განზრახვა, ზიანი მიეყენებინა რუსეთისთვის:

– იმ მომენტში ნაციონალური კუთვნილება უცნობი იყო, – განმარტავს ერდოღანი. მანვე კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთი ებრძვის არა „ისლამურ სახელმწიფოს“, არამედ ბაშარ ასადის ზომიერ ოპოზიციას და რომ ტერორისტებს, ფაქტობრივად, მარტო თურქეთი უპირისპირდება. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „პროკურატურა ვერ წავა მოქმედი და ყოფილი პრემიერების წინააღმდეგ“ — ელისაშვილი დაკითხვის დეტალებზე



თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი დაკითხვის შესახებ ინფორმაციას „ფეისბუკით“ ავრცელებს:

– გამოვედი პროკურატურიდან. ჩვენება ჩამომართვეს. თავაზიანი ფორმალობა დავიცავით მეც და გამომძიებელმაც. გარკვეული დეტალები ვუთხარი, მნიშვნელოვანი ინფორმატორების ვინაობა, რა თქმა უნდა, არ მითქვამს – ვინც მე მენდობა და ჩემს უსაფრთხოებაზე სერიოზულ ცნობებს მაწვდის, ის რა თქმა უნდა, ჩემგან ცხრაკლიტულით იქნება დაცული. ასეთ ხალხს არც მე ვუმტყუნებ ნდობას. რა თქმა უნდა, არ მჯერა, რომ პროკურატურა რეალურად რამეს გამოიძიებს. რა თქმა უნდა, პროკურატურა ვერ წავა მოქმედი და ყოფილი პრემიერების წინააღმდეგ, ვისი ვიზირებითაც ხდება ეს ყველაფერი ჩემი ღრმა რწმენით და არამხოლოდ რწმენით... ისე კი არაფერი მელანდება და არაფერი მომჩვენებია, თითქმის წელიწადია ეს თვალთვალი და მიყურადება გრძელდება და როგორც ხედავთ, მხოლოდ ახლა ვთქვი. მე ჩემი, ჩემი ოჯახის და დიახაც, ჩემი ქვეყნის უსაფრთხოება მალაპარაკებს. სუს-მა ჩემს დევნას თავი დაანებოს და ამ ქვეყნის რეალურ მტრებს სდიოს და უთვალთვალოს, აჯობებს. ამის თქმა მინდოდა მათთვის ამ ყველაფრის გახმაურებით, – წერს ალეკო ელისაშვილი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ექიმები ანტიბიოტიკებს საჭიროების შემთხვევაშიც აღარ ნიშნავენ



ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას განცხადებით, ექიმები პაციენტებისთვის ანტიბიოტიკების დანიშვნაზე თავს იკავებენ. მისი თქმით, ამის მიზეზი დავით სერგეენკოს განცხადებაა, რომლის თანახმადაც მინისტრმა მედიკოსებს მოუწოდა, სიფრთხილით დანიშნონ ანტიბიოტიკები. „ჯანდაცვის მინისტრმა რამდენიმე ხნის წინ გააკეთა განცხადება, რომ პაციენტს ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა დაენიშნოს ანტიბიოტიკი და რომ სხვა შემთხვევაში, არაა გამორიცხული, ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. მოწოდების თეორიულ ნაწილში არაფერი სადავო არ არის... ისედაც ყველამ იცის, რომ ნებისმიერი პრეპარატი დიდი სიფრთხილით უნდა დაინიშნოს და ამიტომ ეს კამპანია ცოტა გაუგებარი იყო. ბოლო 2 დღის განმავლობაში ბევრისგან გავიგე, რომ ექიმები ერიდებიან ანტიბიოტიკების დანიშვნას, შიშის ფაქტორების გამო. მაშინაც კი, როცა პაციენტებს სჭირდებათ ანტიბიოტიკები, ექიმები მაინც ცდილობენ, თავი აარიდონ მათ დანიშვნას.

ჯანდაცვის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ, როგორც პაციენტს, პირადად მაქვს ეს გამოცდილი. მაგალითად, ვიცი ფაქტი, რომელიც ჩემს ახლობელს შეემთხვა: იმის გამო, რომ ექიმს ანტიბიოტიკის გამოწერა არ უნდოდა, ადგა და თავად გადასცა პრეპარატი პაციენტს... ზოგადად, რეცეპტის წინაპირობები არის გართულებული, წამალს არ ნიშნავენ არაფერზე... ამიტომ ვფიქრობ, არაადეკვატურია ის წესები, რითაც ექიმი დანიშნულების დროს ხელმძღვანელობს. ექიმი ანტობიოტიკს ვერ უნიშნავს არა იმიტომ, რომ მიაჩნია, არ უნდა დაუნიშნოს, არამედ მას ეშინია, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს“, – განაცხადა ანალიტიკოსმა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აცხადებს, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ექიმები ანტიბიოტიკს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ნიშნავენ.

„როგორ გქონიათ, ჰოლანდია, რომელიც მოიხმარს ჩვენზე რამდენჯერმე ნაკლებ ანტიბიოტიკს, განუვითარებელი ქვეყანაა? პირიქით, ეს არის მსოფლიო პრობლემა და ყველა განვითარებულ ქვეყანაში ცდილობენ, ანტიბიოტიკები უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დაინიშნოს. ანტიბიოტიკების სიფრთხილით მოხმარება მედიკოსებს მარტო დავით სერგეენკომ კი არ მოუწოდა, ეს მოუწოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ; ასე რომ, ექიმი გადაწყვეტს – თუ საჭიროა, დანიშნავს, პაციენტის სურვილით კი ანტიბიოტიკებს არც ერთი მედიკოსი არ გამოწერს“, – განაცხადა იმნაძემ. (რეპორტიორი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# გახდება საქართველოში რუსეთის შემოჭრის საბაბი თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადება?



ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ცივილიზებული სამყაროს ბრძოლა დაჩრდილა 24 ნოემბერს მომხდარმა ფაქტმა, როცა თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო თურქულმა გამანადგურებელმა რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო. მსოფლიო ლიდერებმა მომხდარს განსხვავებული შეფასება მისცეს. ნატოს გენერალურმა მდივანმა პუტინის რუსეთი გააკრიტიკა, მაგრამ პუტინი ზურგში დანის ჩარტყმას, როგორც ჩანს, თურქეთს არ პატიობს, ჩვენ ვნახეთ, როგორ ააფეთქა თურქეთის ჰუმანიტარული ტვირთი.

რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელს დავარქმევთ სამხედრო დაპირისპირებას, ფაქტია, რომ ორი გიგანტი სახელმწიფო ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში შევიდა და ორივე ჩვენი მეზობელია. საინტერესოა ერთი რამ, თურქეთი აღშფოთდა, როცა დაირღვა მისი საზღვრები და რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, როცა თურქეთი არღვევს საერთაშორისო ნორმებს და საქართველოს ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად შედის აფხაზეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში.

ამასობაში საინტერესო პოზიციაზე დგას საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა, ამ ქალბატონმა საქართველო კვლავ ჩიხურ მდგომარეობაში შეიყვანოს. ერთია თავდაცვის მინისტრის ურაპატრიოტიზმი და მეორეა არსებული რეალობა და აი, რას აცხადებს იგი:

**„თუ ევროპა და ამერიკა მიიღებენ თამამ გადაწყვეტილებას და იტყვიან, რომ რუსეთის შესაჩერებლად მზად არიან შუაგულ ევროპაში ომისთვის, ეს პუტინს შეაჩერებს, რადგან რუსეთს დასავლეთთან ომის შეეშინდება. რუსეთის პოლიტიკა მაშინ დამარცხდება და პრობლემების მოგვარება მაშინ დაიწყება, როდესაც ევროპა და აშშ თამამად გასცემენ პასუხს ძალიან მარტივ კითხვაზე, — მზად არიან თუ არა ისინი რუსეთთან ომისთვის შუაგულ ევროპაში. ეს არის მთავარი ტესტი, სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა...“**

ნეტარ არიან მორწმუნენი, მათ შორის თინა. როგორც ჩანს, ხიდაშელი ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რომ საქმე აქვს ისეთ ავანტიურისტ ლიდერთან, რომელსაც შეუძლია ატომური ბომბის ღილაკზე თითის დაჭერით მთელი მსოფლიო გაანადგუროს და ვლადიმერ პუტინს ამის გაკეთების ნამდვილად არ მოერიდება. უცნაური კი ერთი რამაა, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, მათ შორის თურქეთის თავდაცვის მინისტრსაც კი არ სწყურია ომი ისე, თავდაცვის არც ერთ მინისტრს აგრესიული რიტორიკა არ გამოუვლენია, როგორსაც თინა ხიდაშელი ავლენს.

**რას ფიქრობს მიმდინარე პროცესებზე პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე:**

**— მიუხედავად იმისა, რომ ლავროვი გამორიცხავს ომს თურქეთთან, რადგან თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ამდენი ჭკუა ყოფნის რუსეთს, რომ ნატოსთან ომში არ შევიდეს, თქვენი აზრით, რა ფორმატში განვითარდება მოვლენები?**

– საომარი ვითარება მომწიფებული არ არის და ყველა იქნება ფრთხილად. ნელნელა ყველა წავიდა იმ მოსაზრებისკენ, რომ ასადის პრობლემა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი. პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთის ეს ინციდენტი, რომელიც 24 ნოემბერს მოხდა, გახლდათ გამოხატულება იმ აზრთა სხვადასხვაობისა, რაც ირანრუსეთს, ბაშარ ალ ასადსა და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ კოალიციას შორის ხდება. ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგან რაც ხდება, ეს მიანიშნებს, რომ აქ საუბარია არა მხოლოდ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს განადგურებაზე, არამედ იმის შემდგომ პერიოდზე, თუ რა იქნება მერე.

**— თქვენ აკეთებთ აქცენტს, რა იქნება შემდეგ, როცა ისლამური სახელმწიფო განადგურდება, ხომ არ გაუჩნდება უფრო მეტი ამბიცია რუსეთს, სსრკ-ის სტატუს კვო კვლავ დაიბრუნოს და რამდენად სწორად იქცევა საქართველოს ხელისუფლება, როცა ის ზედმეტად არ ერევა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში და არ აკეთებს განცხადებებს?**

– სამწუხაროდ, ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში ვიმყოფებით, რომ ყოველთვის ასეთ მდგომარეობაში ვიყავით. თუ ვითარება გამწვავდა, მოგეხსენებათ, რომ რუსეთ-სომხეთის სამხედრო კავშირი მოითხოვს საქართველოს გზას, რომ ჩვენს ტერიტორიაზე გავატაროთ სომხეთის მიმართულებით რუსეთის შეიარაღება, რაც ასევე გამოიწვევს დაპირისპირებას თურქეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის. ამიტომ მე ვერ ვხედავ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი განცხადების მოტივს. თუ საქართველოს ხელისუფლება აპირებს რაიმე განცხადების გაკეთებას, სასურველია, გააკეთოს არა კრიტიკული და რადიკალური. მაგრამ არის საკითხის მეორე ნაწილი, დიპლომატიამ უნდა იმუშაოს ძალიან ინტენსიურად, წინასწარ უნდა იყოს გათვლილი ყველაზე ცუდი ვარიანტები, რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები. დღეს კი ვართ დარწმუნებული, რომ შეიარაღებული დაპირისპირება რუსეთსა და თურქეთს შორის არ იქნება, მაგრამ ხვალ რა მოხდება, ამის გათვლა წარმოუდგენელია. მსოფლიო შევიდა უპროგნოზო ფაზაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის პუტინისა და რუსეთის პოლიტიკა, ჩვენ ვხედავთ, რომ პუტინი თავისივე პოლიტიკის ტყვე აღმოჩნდა, 2008 წლის აგვისტოს ომიდან მოყოლებული, მან გადალახა წითელი ხაზები და ჩატეხა ყველა ხიდი და ბერკეტი, რითაც მას შეეძლო დასავლეთის პოლიტიკოსებთან დიალოგი. ყირიმის ანექსიის შემდეგ კი საერთოდ მოხდა გაუცხოება დასავლეთსა და პუტინს შორის.

**— თქვენ აცხადებთ, რომ ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება არ უნდა აკეთებდეს შექმნილ ვითარებაზე რადიკალურ განცხადებებს და უნდა იყოს ზომიერი, მაგრამ რას იტყვით თინა ხიდაშელის განცხადებებზე? მან კანადაში უსაფრთხოების ფორუმზე განაცხადა, რომ, ერთი მხრივ, დასავლეთი ამბობს, რუსეთი აგრესორია და მეორე მხრივ, მასთან კოალიციურ რეჟიმში თანამშრომლობს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახლა კი აცხადებს, — პუტინის შეჩერება მხოლოდ შუაგულ ევროპაში ომს შეუძლია... რისი დამტკიცება სურს თინა ხიდაშელს და ეს ქალბატონი ხომ არ დაგვაბრუნებს 2008 წელში, რატომ იწვევს პუტინს?**

– თინა ხიდაშელი ლაპარაკობს როგორც თავდაცვის მინისტრი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მიერ გაჟღერებული პოზიცია არის მთავრობის პოზიცია, თუმცა ვიდრე არ დარეგულირდება სიტუაცია, არ არის სასურველი, თავდაცვის მინისტრმა გააკეთოს რადიკალური განცხადებები. სასურველია, აქცენტები გადავიდეს კულუარულ საუბრებზე, კულუარულ დიპლომატიაზე, ვიდრე ხმამაღალ განცხადებებზე. დღეს არ არის მკვეთრი განცხადებების დრო, არავის არაფრის დამტკიცება უკვე აღარ სჭირდება. დღეს იწყება ახალი რეალობის ჩამოყალიბება, ამ ვითარებაში მთავარი წამყვანი ძალა, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერ ვიქნებით.

**— და მაინც, თინა ხიდაშელი მიხეილ სააკაშვილის რიტორიკის მემკვიდრედ იქცა, შესაძლოა, რუსეთს დღეს ჩვენთვის არ სცალია, მაგრამ ხვალ რომ მოიცალოს და ხიდაშელის განცხადებებზე პასუხი გვაგებინოს?**

– ამიტომ ვამბობ, რომ არ არის სასურველი ასეთი განცხადებების გაკეთება. შესაძლოა, რუსეთმა თავდაცვის მინისტრის ეს განცხადებები გამოიყენოს ჩვენს საწინააღმდეგოდ და მოახდინოს ქვეყნის ხელახალი ანექსია. ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არ მოხდეს პროვოცირება, რომ ტერორი გამოყენებული არ იქნას სამხედრო პროვოკაციისთვის. დღეს არის სხვა რეალობა და ხიდაშელმა თავი უნდა შეიკავოს აგრესიული რიტორიკისგან.

**— განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებთ დიპლომატიურ მოლაპარაკებას და კულუარულ პოლიტიკას, საქართველოს არცთუ ისე ძლიერი დიპლომატიური კორპუსი ჰყავს, მათი დიდი ნაწილი „ნაცმოძრაობაზე“ მუშაობს, ჯერ კიდევ 18 აგვისტოს წერდა „ალია“, რომ აუცილებლად შეიცვლებოდა დიდ ბრიტანეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი რევაზ გაჩეჩილაძე და აშშ-ში ელჩი არჩილ გეგეშიძე, ინფორმაცია დადასტურდა და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი ბრიტანეთში ელჩად დაინიშნება, დიპლომატიურ საკადრო პოლიტიკას როგორ აფასებთ?**

– როგორც ჩანს, ხელისუფლება თვლის, რომ ამ მიმართულებით გარღვევაა და თუ ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საჭიროა დიპლომატიური კორპუსის განახლება, ეს მათი გადასაწყვეტია, მე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან თქვენგან მესმის, რომ თამარ ბერუჩაშვილი ჩაანაცვლებს გაჩეჩილაძეს დიდ ბრიტანეთში.

**— რას ფიქრობთ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ გააქტიურებაზე, რამდენად უკავშირებთ მიხეილ სააკაშვილს მის გამოჩენას, ინტერნეტსივრცეში აიტვირთა ოდესაში პაატა ბურჭულაძის სააკაშვილთან და გია ბარამიძესთან ერთად გადაღებული ფოტოები, სოციალურ ქსელში უკრაინულმა „ვიკილიკსმა“ გამოაქვეყნა ადეიშვილისა და სააკაშვილის სტენოგრამა, სადაც ნათქვამია, რომ პაატა ბურჭულაძე — ეს არის სააკაშვილის პროექტი და მისგან შექმნიან მესამე პოლიტიკურ ცენტრს.**

– რა თქმა უნდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ, სად რა ქვეყნდება, მაგრამ შეუვალ არგუმენტად „ვიკილიკსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალების მიღება არ იქნება სწორი. შეიძლება სრულიად სხვა ძალა მუშაობდეს პაატა ბურჭულაძის სასარგებლოდ. სხვათა შორის, თუ „ვიკილიკსის“ მიერ გამოქვეყნებულ სტენოგრამას დავეყრდნობით, მიმართულია სწორედ ბურჭულაძის და ამ ახალი ჯგუფის საწინააღმდეგოდ და არა მის სასარგებლოდ, რადგან, თუ ეს თემა გაიშლება და მოსახლეობა ჩათვლის, რომ პაატა ბურჭულაძე არის სააკაშვილის მე-5 კოლონა ქართულ პოლიტიკაში, მაშინ მას წარმატების თითქმის ნულოვანი შანსი აქვს. ჩემი აზრით, პაატა ბურჭულაძე და მისი ჯგუფი „ქართული ოცნებისთვის“ დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, თანაც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ პაატა ბურჭულაძეს ჰქონდა კონსულტაციები ბიძინა ივანიშვილთან და ასევე, ირაკლი ალასანიასთან. ვნახოთ, რა იქნება. რა თქმა უნდა, წარმატებას ვუსურვებ ბურჭულაძეს, მაგრამ მეეჭვება, პაატა ბურჭულაძემ და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა 2016 წელს საარჩევნო ბარიერი დაძლიოს.

**— დაბოლოს, მართალია, თქვენ ამბობთ, რომ „ვიკილიკსის“ ინფორმაციები უტყუარ არგუმენტად არ უნდა მივიღოთო, მაგრამ ადეიშვილსა და სააკაშვილს შორის ასეთი საუბარიცაა, რომ ისინი დარწმუნებულები არიან, პრეზიდენტი მარგველაშვილი ახალ წელს შეიწყალებს მერაბიშვილსა და უგულავას. თქვენ გაქვთ ამის მოლოდინი?**

– არ მაქვს ასეთი მოლოდინი, ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ, თუკი პრეზიდენტი ამ ნაბიჯს გადადგამს, ეს იქნება გამანადგურებელი პრეზიდენტისთვის, ის დაამთავრებს თავის კარიერას, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. მარგველაშვილისთვის კატასტროფა იქნება ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფრასიძეების სისხლიანი სპეცოპერაცია ადგილობრივის თვალით

ლაშა ჯაფარიძის ბლოგი

ომეხ აფრასიძე – ადამიანი, რომლის სახელიც წლების განმავლობაში ბევრ ადამიანს შიშის ზარს სცემდა. დიახ, ეს კაცი ნამდვილად იყო საშიში და არ ვაპირებ, ის დანაშაულები ჩამოვწერო, რაც მან ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ჩაიდინა, მაგრამ...





მესტიაში დავიბადე და გავიზარდე. ალბათ, ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ომეხის სახელი პირველად გავიგე. ამ სახელს მორიდებით ახსენებდა ყველა, დიდიც და პატარაც, მისი ყველას ეშინოდა, ჩემი ინტერესი კი ამ პიროვნების მიმართ სულ უფრო იზრდებოდა. ძალიან მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა ადამიანი, რომელზეც ამდენ ცუდსა და ხშირად კარგ ამბავსაც ყვებოდნენ.

10 წლის ვიყავი, ჩემს სახლთან ახლოს მესტიაში სუპერმარკეტის მსგავსი მაღაზია გაიხსნა. „ედელვაისი“ დაარქვეს, ეს მესტიაში ყველაზე დიდი მაღაზია იყო და ბავშვებს ბავშვურად გვიხაროდა, რომ ეს მაღაზია სწორედ ჩვენს უბანში იყო. გაკვეთილების სწავლის შემდეგ მთელ დროს „ედელვაისთან“ ვატარებდით; ალბათ, იმიტომ, რომ აქ ყოველთვის ბევრი ხალხი ტრიალებდა.

ერთ დღეს მაღაზიასთან „ნივა“ გაჩერდა, ამ დროს სკოლიდან ვბრუნდებოდი, ავტომობილიდან გამხდარი შავგვრემანი კაცი გადმოვიდა, ფული მომაწოდა და მაღაზიაში რაღაცის საყიდლად შესვლა მთხოვა. უარი ვუთხარი... კაცმა თხოვნა უფრო მკაცრად გამიმეორა, ამ დროს მის ქამარში იარაღიც შევნიშნე, ძალიან შემეშინდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მესტიაში უცხო ვერაფერს დამიშავებდა და „ვილაცისთვის“ მომსახურების გაწევაზე ისევ უარი ვთქვი, ძალიან მეშინოდა. შავგვრემანმა კაცმა ჩაიცინა და მაღაზიაში შევიდა, მე ქუჩაში დავრჩი, ჩემზე უფროსი ბავშვები გარს შემომეხვივნენ და მთხოვეს, გავქცეულიყავი, რადგან ომეხ აფრასიძეს უარს ვერავინ ეუბნებოდა და მაღაზიიდან გამოსული აუცილებლად მომკლავდა. შიშისგან ფეხი ვერ მოვიცვალე, გამახსენდა ყველაფერი, რაც ამ კაცზე მსმენოდა, ფეხები მიკანკალებდა და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ადგილიდანაც კი ვერ ვიძვროდი. ომეხი მაღაზიიდან მალევე გამოვიდა, მისი ყველა ნაბიჯი დღემდე თვალწინ მიდგას, რამდენიმე წამი საუკუნესავით გაიწელა, სახეზე ცივი ოფლი მასხამდა, ის კი ჩემკენ მოდიოდა. მაშინ, როდესაც სიკვდილს ველოდი, შავმა კაცმა თავზე ხელი გადამისვა, რამდენიმე „სნიკერსი“ მომცა და მითხრა, ძმაკაცებთან ერთად გამეყო. როდესაც პირველად ამოვისუნთქე, ომეხი უკვე ძალიან შორს იყო.

ამის შემდეგ ამ კაცს თვალი რამდენჯერმე მოვკარი, ისევ მესმოდა მასზე ბევრი ცუდი და ხშირად კარგიც, მაგრამ დღე, როდესაც ის ბოლოს ვნახე, საბედისწერო აღმოჩნდა...

2004 წლის 23 მარტს დედაჩემთან ერთად გვიან ღამე სახლში ვბრუნდებოდი, უკვე 14 წლის ვიყავი და ბევრ რამეს სხვაგვარად ვაანალიზებდი. „ედელვაისთან“ ნივა იყო გაჩერებული, როგორც კი მივუახლოვდით, რამდენიმე მამაკაცი ავტომობილიდან გადმოვიდა და კამათი დაიწყო. მაშინვე ვიცანი ის შავი კაცი, რომლისაც ერთ დროს ძალიან მეშინოდა და რომლის ნახვაც ყოველთვის ძალიან მინდოდა. სიტუაცია რამდენიმე წამში დაიძაბა, შავი კაცი ძალიან მთვრალი იყო, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. ძალიან მთვრალები იყვნენ მისი თანმხლები პირებიც. ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ომეხი ეჩხუბებოდა, გაიქცა. „შავ კაცს“ სროლა უნდოდა, მაგრამ იმდენად მთვრალი იყო, რომ იარაღის ამოღებაც კი ვერ მოახერხა. ორმა თანმხლებმა მანქანაში ჩასვა, „ნივა“ ეცერისკენ დაიძრა. ეს ყველაფერი დაახლოებით ღამის ორ საათზე ხდებოდა. 14 წლის ბიჭიც კი მივხვდი, რომ ამ სამი ადამიანის დაკავებას იქვე ძალიან მარტივად შეძლებდა 3 პოლიციელი.

დილით საინფორმაციოს და მამაჩემის გინების ხმამ გამაღვიძა. გავიგე, რომ აფრასიძეებს 1200 კაცისა და ვერტმფრენების გამოყენებით გაუსწორდნენ. გავიგე, რომ სპეცოპერაციის ბრძანება მაშინდელმა პრეზიდენტმა პირადად გასცა. შემდეგ ადგილობრივებისგან ხშირად მესმოდა, რომ ომეხის მამა, ევგენი აფრასიძე ჩასაბარებლად აივანზე გამოსული სნაიპერმა მოკლა, რომ ომეხი 3 დღეში პოლიციას საკუთარი ნებით უნდა ჩაბარებოდა, ამაზე მოლაპარაკებები კი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დასრულებული იყო, რომ ომეხი უკვე დაპატიმრებული და ბორკილდადებული სპეცრაზმელებმა დახვრიტეს. რომ შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ კუბდარი მოითხოვა და რაც მთავარია, სპეცოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე საკუთარი თვალით ვნახე უგონოდ მთვრალი ომეხ აფრასიძე, რომლის დაკავებასაც 3 კაცი თავისუფლად შეძლებდა და რომლის მოკვლასაც 1200 სპეცრაზმელი და 6 ვერტმფრენი დასჭირდა...

როდესაც ამ ამბავზე ვფიქრობ, თავში მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებს, – რატომ? რატომ მოკლეს დაკავებული კაცი? რატომ მოჭრეს მკვდარ აფრასიძეს თითი? რატომ დაცხრილეს სახლი, სადაც 4 ბავშვი იმყოფებოდა და რაც მთავარია, რა სინდისით მოითხოვა ბარამიძემ კუბდარი?.. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ჰაიტ, როგორ ბედავთ მოსამართლის აუგად მოხსენიებას, გინდათ, ევროპა-ამერიკა შეაშფოთოთ?!



– მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილი არა თუ მიკერძოებულია, არამედ მან გააუპატიურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, – ამის შესახებ ნარკოდანაშაულისთვის ბრალდებული ირაკლი რამიშვილის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ განაცხადა. როგორც ჭკადუამ აღნიშნა, მოსამართლე დაცვის მხარეს უყვიროდა, რაც მიუღებელია. მისივე თქმით, ვახტანგ მრელაშვილმა ობიექტურად და ნეიტრალურად უნდა შეაფასოს მტკიცებულებები, როგორც მოსამართლემ, მაგრამ ის მიკერძოებული იყო.

– მოსამართლემ თქვა, რომ არსებითი დარღვევა რას ნიშნავს, ეს საერთოდ არ არის განმარტებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. აქედან გამომდინარე, თქვა, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ არსებით დარღვევასთან დაკავშირებით, ვერ ჩაითვლება არსებით დარღვევად და მან არ იცის, არის თუ არა ეს არსებითი დარღვევა. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ირაკლი რამიშვილის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთიერებაზე გამომძიებლები, რომლებიც დაიკითხნენ, ამბობდნენ, რომ ეს იყო მოთეთრო ფერის გრანულებიანი ნივთიერება. ექსპერტებმა კი გახსნეს და აღნიშნული ნივთიერება წარმოადგინეს, როგორც მცენარეული, მოყავისფრო ფერის ნივთიერება. მოსამართლემ კი თქვა, რომ ერთი და იგივეა ეს. ამის შემდეგ როგორ შეიძლება ჩაითვალოს ის მიუკერძოებელ და ობიექტურ მოსამართლედ. ის არა თუ მიუკერძოებელია, არამედ საერთოდ არ იცის, რა წერია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მან გააუპატიურა საპროცესო კოდექსი, – განაცხადა ირმა ჭკადუამ. (ინტერპრესნიუსი)

## პირველად საქართველოში – ონლაინტრეიდინგის პლატფორმა, რომელიც „გალტ ენდ თაგარტმა“ მომხმარებელს „საქსო ბანკთან“ ერთად შესთავაზა

გალტ&თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

„საქართველოს ბანკის“ შვილობილმა კომპანია „გალტ ენდ თაგარტმა“ ონლაინტრეიდინგის პლატფორმა – „ჯითი ტრეიდერი“ წარადგინა.

„ჯითი ტრეიდერის“ პლატფორმა, რომელიც „გალტ ენდ თაგარტისა“ და „საქსო ბანკს“ შორის ექსკლუზიური პარტნიორობის შედეგად შეიქმნა, რაც რეგიონში ამგვარი თანამშრომლობის პირველი შემთხვევაა!




ახლა განვმარტოთ, რას წარმოადგენს „ჯითი ტრეიდერი“ – ეს არის პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა, ჰქონდეს წვდომა გლობალურ ფინანსურ ბაზრებთან. ეს გულისხმობს იმას, რომ „გალტ ენდ თაგარტის“ კლიენტები სწორედ „ჯითი ტრეიდერის“ მეშვეობით ყოველგვარი შუამავლის გარეშე ონლაინ რეჟიმში სწრაფად და უსაფრთხოდ განახორციელებენ გლობალურ-ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციებს და ივაჭრებენ წამყვანი კორპორაციების ფასიანი ქაღალდებით.

„ჯითი ტრეიდერი“ საქმიან ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც ინტერნეტია, ლეპტოპის, პლანშეტის ან თუნდაც სმარტფონის გამოყენებით ივაჭროს სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებით: აქციები, ობლიგაციები, FOREX, CFD, ფიუჩერსები, ოფციონები.

**როგორც „საქსო ბანკის“ თანადამფუძნებელი და მთავარი აღმასრულებელი თანადირექტორი, ლარს სეიერ კრისტენსენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ისინი დაინტერესებულები არიან საქართველოსთან თანამშრომლობით, რადგან საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, ეკონომიკის თვალსაზრისით, შთამბეჭდავი ზრდა დაფიქსირდა:**

– ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს ბანკი“, ეს არის მთავარი და ძალიან ძლიერი რეპუტაციის მქონე ბანკი მსოფლიოს მასშტაბით და მას შეუძლია, აიყვანოს საქართველო უფრო მაღალ დონეზე საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების განვითარების თვალსაზრისით. აღსანიშნავია საქართველოს უფრო და უფრო მზარდი მნიშვნელობა ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკის თვალსაზრისით და ამიტომ ძალიან დაინტერესებულები ვართ და ვამაყობთ, რომ ჩვენც ვიქნებით ნაწილი ამ სწრაფი განვითარებისა საქართველოსთან ერთად. დიდი იმედი მაქვს, რომ ხელს შევუწყობთ საქართველოს ფინანსურ განვითარებას და იმედი მაქვს, რომ თანამშრომლობა საქართველოს მხარესთან იქნება ორმხრივად მომგებიანი და ქართველი პარტნიორებიც მიიღებენ სარგებელს ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობის შედეგად. რაც შეეხება ეროვნულ ვალუტას, ლარის კურსს აქვს ძლიერი პოტენციალი და ვფიქრობ, 2016 წლის პერსპექტივაში, ამერიკული დოლარი, რომელიც თავისი ზრდის პიკს უახლოვდება, ალბათ, უნდა შეჩერდეს. ეს ჩემი პროგნოზია, მაგრამ მთავარი არის ის, რომ საქართველოს ფინანსური ბაზარი ძალიან სწრაფად იზრდება და შესაბამისად, უფრო მეტი დაინტერესებაა ინვესტორების მხრიდან, რათა მოახდინონ ინვესტირება სხვადასხვა ინსტრუმენტებში და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები, რაც, ვიმედოვნებ, ორივე მხარეს სარგებლობას მოუტანს, – განაცხადა ლარს სეიერ კრისტენსენმა.

**BGEO ჯგუფის გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განცხადებით, ეს არის უნიკალური შეთავაზება საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთაც აინტერესებთ, რა ხდება საერთაშორისო ბაზარზე. მათ ასევე საშუალება ეძლევათ, შეიძინონ სხვადასხვა აქციები და პარალელურად თვალყური ადევნონ საერთაშორისო ბაზარზე აქციების ფასებს, თუ რატომ იზრდება ან იკლებს მათი ფასი.**

– მაგალითად, დღეს თქვენ გინდათ, რომ 5 დოლარით ოქროზე მიბმული ფასიანი ქაღალდი შეიძინოთ, ნებისმიერი თანხით. ამისთვის უნდა მიბრძანდეთ „გალტ ენდ თაგარტის“ ოფისში, დარეგისტრირდეთ ოფიციალურად და გახსნათ თქვენი ანგარიში. ეს ანგარიში შეგიძლიათ მართოთ ნებისმიერი ადგილიდან. ასევე, სახლიდან გაუსვლელად შეგიძლიათ თქვენს „გალტ ენდ თაგარტის“ ანგარიშზე, „საქართველოს ბანკის“ ინტერნეტ ბანკიდან გადარიცხოთ თანხა, – აცხადებს ირაკლი გილაური.

მისივე თქმით, „ჯითი ტრეიდერით“ სარგებლობისთვის კლიენტს საბროკერო ანგარიშის გახსნა შეუძლია როგორც „გალტ ენდ თაგარტში“ ასევე, SOLO ლაუნჯში, SOLO და პირადი ბანკირების მეშვეობით. დამატებით, ბანკირები მომხმარებელს საბროკერო ანგარიშის გახსნასთან ერთად კონსულტაციას გაუწევენ „ჯითი ტრეიდერ“ პლატფორმით სარგებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, „საქართველოს ბანკის“ დაგროვილი ქონების მართვისა და SOLO მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ბანკირის მეშვეობით მართოს როგორც საბანკო, ასევე, საბროკერო ანგარიშები და აქტივები.

„გალტ ენდ თაგარტი“ მსურველ კლიენტს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს ერთთვიანი უფასო დემო ანგარიშით და საკუთარ თავზე გამოსცადოს „ჯითი ტრეიდერ“ პლატფორმის შესაძლებლობები.

**მარიკა არღვლიანი**

# ფარმაცევტული მაფია და ლაბორატორიის ვირთხებად გამოყენებული ხალხი



ალბათ, ძნელი დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ კორპორაციულ დანაშაულთა 20 პროცენტი ფარმაცევტულ კომპანიებზე მოდის. სამწუხაროა, მაგრამ სიმართლეა ისიც, რომ რამდენიმე წლის წინათ 100 ყველაზე მძიმე კორპორაციულ კრიმინალთა სიაში 19 ყველაზე მსხვილი ფარმაცევტული კომპანია მოხვდა და დღეისთვის ეს ციფრი კიდევ უფრო დიდია.

ფარმაცევტული კომპანიების მიერ ჩადენილ დანაშაულთა სია ვრცელია და არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ფაქტებით, როგორიცაა გაყალბებული კვლევის მონაცემები, ქსელში ისეთი პრეპარატების გასაყიდად გაშვება, რომლებსაც რეალურად არანაირი სამკურნალო მოქმედება არ აქვს და ამის შესახებ მწარმოებლებმა შესანიშნავად იცოდნენ. გამოავლინეს, ასევე, უამრავი კორუფციული გარიგების სქემა მედიკამენტების სალიცენზიო სახელმწიფო ინსტიტუტებთან, აგრეთვე, იმ ექიმთა სია, რომლებმაც უარი თქვეს ამა თუ იმ მწარმოებელთან თანამშრომლობაზე და რომლებიც ფარმაცევტული კომპანიის მიერ მოწყობილი „უბედური შემთხვევების“ მსხვერპლნი უნდა გამხდარიყვნენ.

ის, რომ მრავალი მედიკამენტი სერიოზულ გვერდით მოვლენებს იწვევს, არავისთვის უცხო აღარ არის. თუმცა, ფარმაცევტული ბიზნესის ისტორიაში უამრავი ისეთი შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც მედიკამენტების მიღებამ სერიოზულად დააზიანა ადამიანთა ჯანმრთელობა და ზოგ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზიც გახდა. ამის გამო „ფორბსმა“ ერთ-ერთ გამოცემაში ფარმაცევტული მაფია ნარკოტიკების ბიზნესს შეადარა და წერდა, განსხვავება ამ ორს შორის მხოლოდ ის არის, რომ პირველი კანონიერად ხოცავდა ხალხს, ხოლო მეორე – უკანონოდ. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ უმსხვილესი ფარმაცევტული მაგნატის, „მერკის“ მიერ წარმოებულმა ტკივილგამაყუჩებელმა „ვიოქსმა“ 600 000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, სანამ მას წარმოებიდან ამოიღებდნენ. ასეთი მავნე პრეპარატების სია უზარმაზარია და ფარმაცევტებისა და ექიმების მიერ დაზარალებულთა ოდენობა პანდემიურ მასშტაბებს აღწევს.

ერთი სტატიის ფარგლებში ძნელი იქნება ფარმაცევტული კომპანიების მიერ ჩადენილ დანაშაულთა დეტალური განხილვა, ისევე, როგორც შეუძლებელია მედიკამენტების უსასრულო სიიდან თითოეულის დამაზიანებელ შედეგებზე საუბარი. თუმცა, პრობლემის არსში უფრო ღრმად ჩასახედად, ურიგო არ იქნება, შედარებით კონკრეტული მაგალითების მოყვანაც. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია სინთეზური ჩასახვის საწინააღმდეგო და ჰორმონული პრეპარატები.

პირველი სინთეზური ჰორმონი „დიეთილსტილბესტროლი“ 1938 წელს შეიმუშავეს და მისი დანიშვნა მენოპაუზური და ორსული პაციენტებისთვის 1975 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ კი, დაზარალებულთა ოჯახების პროტესტის შედეგად, წამლის მარეგულირებელმა სააგენტომ ის წარმოებიდან ამოიღო. სამწუხაროდ, პრეპარატი ჩვეულებრივი კარცენოგენული მონსტრი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ფარმაცევტულმა კომპანიებმა მოხმარებაში გაუშვეს ახალი ჰორმონული პრეპარატი „პრემარინი“ (სინთეზური ქალური ჰორმონი ესტროგენი). „პრემარინის“ შედეგები კიდევ უფრო სავალალო იყო. 5-წლიანი მოხმარების შედეგად ენდომეტრიუმის ავთვისებიანი სიმსივნე 50 000 ქალს გაუჩნდა, 40 პროცენტით გაიზარდა ღვიძლისა და ნაწლავის კიბო, ხოლო 200 პროცენტით თრომბო-ემბოლიურ დაავადებათა და თრომბით გარდაცვალების რისკი, მკერდის სიმსივნით დაავადებულთა რიცხვმა კი 65 პროცენტს მიაღწია. დაზარალებულმა ქალებმა თავი საშინლად, მოტყუებულად იგრძნეს და მიხვდნენ, რომ მათ სახელმწიფო, ისევე, როგორც წამლის მარეგულირებელი სააგენტო, ვერ იცავდა. დაზარალებულთაგან 30 ათასმა ქალმა სასამართლოს მიმართა. მათ მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ სასამართლო პროცესების შემდეგ მწარმოებლები დაავალდებულეს, მედიკამენტებზე მათი შესაძლო რისკების შესახებ გამაფთხილებელი წარწერები გაეკეთებინათ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მსოფლიოში მოხმარებული მედიკამენტების 50 პროცენტი არამიზნობრივად ინიშნება, რაც შემდეგ შესაბამის ასახვას ჰპოვებს




ადამიანების ჯანმრთელობაზე. მხოლოდ ამერიკაში, მედიკამენტების სავალალო და გამოუსწორებელი გვერდითი მოვლენების შედეგად ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ადამიანის ჯანმრთელობა ზიანდება. დღესდღეობით წამლის რეგულირების სააგენტომ წარმოებიდან უკვე ამოიღო 150 სხვადასხვა პრეპარატი, რადგან ისინი რამდენიმე ათეული წლის მოხმარების შემდეგ სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდნენ. უამრავი ასეთი პრეპარატი კი, რომელთა შორისაა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები („დიკლოფენაკი“), სიმსივნის სამკურნალო პრეპარატები, ტკივილგამაყუჩებლები ა.შ. კვლავ ბაზარზეა და მომხმარებელს წარმოდგენაც არ აქვს, რომ გადახდილი თანხით აფთიაქში, ფაქტობრივად, ავადმყოფობას ყიდულობს.

ფარმაცევტული ბიზნესი თავისი ყველა ბნელი გამოვლინებით არც საქართველოსთვისაა უცხო. უფრო მეტიც, მდგომარეობა ჩვენთან კიდევ უფრო მძიმე და სრულიად უკონტროლოა.

წლების განმავლობაში ხდებოდა დამამშვიდებელი პრეპარატების ურეცეპტოდ მიყიდვა ახალგაზრდებზე, რომლებიც შემდეგ ამ წამლებს ნარკოტიკული თრობის მისაღწევად იყენებდნენ. ახლაც, რეცეპტის ქონის სავალდებულო წესის შემოღების შემდეგ, ფარმაცევტული კომპანიების მიერვე აფთიაქებში დასმული ექიმები საკუთარი ხელით უწერენ მოზარდებს სიკვდილს.

ცხადია, ქართულ ფარმაცევტულ კომპანიებს მორალი არ შეაწუხებთ, თუმცა სამწუხაროა ის ფაქტი, როდესაც არც ერთ მაკონტროლებელ ინსტიტუტს არ მოსდის აზრად, დასვას კითხვა, რატომ არის გაყიდვაში ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი „ნიმესილი“ ჩვენთან, როდესაც ის 1999 წლიდან ევროპის ყველა ქვეყანაში ამოიღეს გაყიდვიდან. არც არავინ ინტერესდება იმ ფაქტით, რატომ იყიდება მედიკამენტები 100 და 200-პროცენტიანი ფასნამატით მაშინ, როდესაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში მედიკამენტებზე დაკანონებული მოგების მარჟა 20 პროცენტს არ აღემატება.

მთავრობა დუმს, ხალხი აგრძელებს მედიკამენტების შეძენას, ექიმები კი კვლავ წარმატებით თანამშრომლობენ ფარმაცევტულ კომპანიებთან და გამოწერილი მედიკამენტების სანაცვლოდ სოლიდურ გასამრჯელოსაც იღებენ.

მულტიმილიარდიანი ფარმაცევტული ბიზნესი ყვავის, ჩვენ კი ლაბორატორიის ვირთხებად ისე გვიყენებენ, რომ ამის შესახებ წარმოდგენაც არ გვაქვს. ეჭვგარეშეა, რომ ქიმიური პრეპარატებისა და სამკურნალო მედიკამენტების როლი ძალიან გაზვიადებულია და გარდა უკიდურესად საჭირო მდგომარეობისა, უმჯობესი იქნება, არჩევანს ბუნებრივ და ტრადიციულ სამკურნალო საშუალებებზე თუ შევაჩერებთ. ალბათ, არ ცდებოდა ამერიკელი ექიმი უილიამ ოსლერი, როდესაც ამბობდა: „ადამიანებისთვის შესანიშნავი იქნებოდა, ხოლო თევზებისთვის – ძალიან ცუდი, თუ ყველა ქიმიურ პრეპარატს ოკეანის ფსკერზე მოისროდნენ“. (metronome.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## SOS! სკოლის მერხიდან „გამქრალი“ გოგონები – გზა, რომელიც ხშირ შემთხვევაში თვითმკვლელობამდე მიდის



ჩვენს ქვეყანაში ნაადრევი ქორწინების საკითხი დღემდე მწვავედ დგას.

საქართველო გოგონების ნაადრევი ქორწინებებით აღმოსავლეთ ევროპაში მოლდოვის შემდეგ მეორე ადგილზეა.

უახლესი კვლევების თანახმად, საქართველოში ყოველდღე 4 არასრულწლოვანი გოგონა ხდება დედა.

ექსპერტთა და ფსიქოლოგთა აზრით, ნაადრევ ქორწინებას თან სდევს პრობლემათა ფართო სპექტრი. ისეთი, როგორიცაა: ორსულობის გართულება, ძალადობის დიდი რისკი და როგორც აღვნიშნეთ, განათლების შეწყვეტა...

აღსანიშნავია, რომ პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ დგას ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში.

ლიკა იმერლიშვილი, თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი:

– კახეთში, პანკისის ხეობაში, ასევე, თელავთან ახლოს, ყარაჯალაში, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს, ხშირად ძალადობენ არასრულწლოვან გოგონებზე მათი გათხოვების მიზნით. რამდენიმე შემთხვევაც იყო, როდესაც ამის გამო გოგონებმა თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე...

ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის სიმწვავეზე საუბრობს სახალხო დამცველის აპარატიც.

უჩა ნანუაშვილის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 265 ასეთი ქორწინება დარეგისტრირდა, თუმცა ომბუდსმენის ოფისის განცხადებით, სტატისტიკა ამ მხრივ სრულყოფილი არ არის, რადგან გაცილებით მაღალია არაფორმალური ქორწინებები, შემაშფოთებელია არასრულწლოვან დედათა სტატიკური მონაცემებიც – 2014 წელს 1527 არასრულწლოვანი დედა დარეგისტრირდა.

– არ შემიძლია, არ აღვნიშნო გოგონათა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ადრეულ ასაკში ქორწინება. ძალიან მაღალია ადრეული ქორწინების შემთხვევები, რაც, სამწუხაროდ, სტატისტიკის გარეთ დარჩენილი ციფრებია. 2015 წლის პირველ ნახევარში, 16-დან 18 წლამდე პირთა (როდესაც ერთი პირი მაინც იყო არასრულწლოვანი) 265 ქორწინება დარეგისტრირდა. თუმცა, გაცილებით მაღალია ადრეულ ასაკში არაფორმალური ქორწინებები. ამაზე მეტყველებს იმ გოგონათა რიცხვი, რომლებიც შვილის გაჩენის მომენტში არასრულწლოვნები იყვნენ.

2014 წელს ასეთი 1527 არასრულწლოვანი დედა დარეგისტრირდა. სამწუხაროა, რომ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა და მოწოდების მიუხედავად, საქართველოში დღემდე არ არსებობს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით შემუშავებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებებს შორის საქმიანობის კოორდინირებაც საკმაოდ სუსტია, – ამბობს უჩა ნანუაშვილი.

ქალთა მოძრაობის წევრთა განცხადებით, „16 წლამდე გოგონებთან სრულწლოვანი ქმრების სექსუალური კავშირი სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელზეც სახელმწიფო თვალს ხუჭავს!“

მათი ინფორმაციით, საქართველოში ყოველდღე 4 არასრულწლოვანი გოგონა ხდება დედა. საგანგაშოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, 2011 წლიდან 2013 წლის იანვრამდე, 7367-მა გოგონამ მე-7-9 კლასში განათლების მიღება შეწყვიტა, დიდწილად ადრეული ქორწინების და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

„ნუ გაათხოვებთ! მიეცით გოგონებს ის, რაც ეკუთვნით: საკუთარი ცხოვრება, არჩევანი, სწავლა, დამოუკიდებლობა!“ – ამ დევიზით ორგანიზაციამ გამაფრთხილებელი აქცია საქართველოს 14 ქალაქში უკვე გამართა. საგანგაშო ტენდენციისა და შემაშფოთებელი სტატისტიკის დასამარცხებლად, პრობლემის ირგვლივ გაერთიანებულ საზოგადოებას ხელისუფლების გააქტიურების იმედი აქვს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თბილისში არასრულწლოვანი დაჭრეს




მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ არასრულწლოვანი ბიჭი ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრეს.

არსებული ინფორმაციით, 3 უცნობი მამაკაცი მოზარდისთვის მობილური ტელეფონის წართმევას ცდილობდა, რა დროსაც დაჭრილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და შელაპარაკების დროს ის ზურგის არეში დაჭრეს.

მომხდარ ფაქტს ადასტურებენ შს სამინისტროშიც. უწყების ინფორმაციით, ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 118-ე მუხლით, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე აღიძრა და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

რაც შეეხება ეჭვმიტანილებს, ისინი ადგილიდან მიიმალნენ. (ნიუპოსტი)

## „არტისტული ემბარგო“ – რუსული შოუბიზნესის წევრები თურქეთში ჩასვლას აღარ აპირებენ



რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავები თურქეთში გამგზავრებაზე უარს აცხადებენ. ამის მიზეზი კი თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებაა. ნიკოლაი ბასკოვის განცხადებით, მას ამჟამად თურქეთში არც სამუშაოდ და არც დასასვენებლად წასვლის არანაირი სურვილი არ აქვს. ბასკოვს სოლიდარობას უცხადებს ბალერინა ანასტასია ვოლოჩკოვაც. როგორც ცნობილი გახდა, თურქეთში კორპორაციულ და საკონცერტო მიწვევებზე უარის თქმას აპირებენ ფილიპ კირკოროვი, დიმა ბილანი და სერგეი ლაზარევიც. (ნიუპოსტი)

# ვინ მფარველობს საქართველოში ბავშვებით უკანონო ვაჭრობას?

## უცხოელი გეი წყვილებისთვის ქართველი ბავშვების გაშვილება გრძელდება




დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


„ალია“ რამდენიმე თვის წინ იმ სქემაზე წერდა, რომლის მეშვეობითაც საქართველოდან გეი წყვილებს ქართველი ბავშვების საზღვარზე გაყალბებული დოკუმენტაციით გადაჰყავდათ. ასოციაცია „მომავლის იმედის“ თავმჯდომარე თამარ ხაჭაპურიძე მაშინ ჩვენთან საუბარში ამბობდა, რომ დამნაშავეების დასასჯელად ყველანაირი მტკიცებულება არსებობდა, თუმცა დაუსჯელები იყვნენ. საკითხზე პროკურატურა დუმდა და ალბათ, კვლავაც გააგრძელებდა ამ სიჩუმეს, რომ არა ახალი პროკურორის, ირაკლი შოთაძის პარლამენტში მოსმენა.

გუშინ, როცა პარლამენტში ირაკლი შოთაძეს უსმენდნენ, თამარ ხაჭაპურიძემ აღნიშნული საკითხი წამოწია და პროკურორ შოთაძისგან დაპირება მიიღო, რომ შეხვდებოდა და საქმით დაინტერესდებოდა.

**ვინ მფარველობს საქართველოში ბავშვებით უკანონო ვაჭრობას? რა მასალები მიაწოდა პროკურატურას თამარ ხაჭაპურიძემ? ვინ ლობირებს დამნაშავეებს?**

**„ალიას“ ასოციაცია „მომავლის იმედის“ თავმჯდომარე თამარ ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

– პროკურატურას არაერთხელ მივმართე და მივაწოდე საკითხზე დეტალური ინფორმაცია – თავისი ვიდეო და აუდიოჩანაწერებით. პროკურატურამ ამ საქმეზე დაასრულა კიდეც გამოძიება, რომელიც 362-ე მუხლით მიმდინარეობდა, რაც დოკუმენტების გაყალბებას ითვალისწინებს. მიწოდებული ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ კონკრეტულმა პირებმა, რომელთა სახელები და გვარებიც იყო დასახელებული, გააყალბეს დოკუმენტები. ასევე, არსებობს საზღვრის მონაცემები, რომ ეს ბავშვები ამ ყალბი დოკუმენტებით უცხოელმა მამაკაცებმა, გადაიყვანეს საქართველოს საზღვარზე, რაზეც საქმე აღძრულია 344-ე პრიმა მუხლით – რაც გულისხმობს საზღვრის ყალბი დოკუმენტებით გადაკვეთას. ამ დოკუმენტების გამყალბებლები თავისთავად არიან ორგანიზატორები საზღვარზე ამ ბავშვების ყალბი დოკუმენტებით გადაყვანის. ამას თავად ის ქალებიც ადასტურებენ, რომლებმაც ეს ბავშვები გააჩინეს. ამბობენ, რომ გაყალბდა დოკუმენტები ბავშვების საზღვარზე გადაყვანის მიზნით... ანუ სახეზეა მოწმეთა ჩვენებები, დოკუმენტები, რეესტრის ჩანაწერები, საზღვრის ჩანაწერები, საუბარია კონკრეტულ ბავშვებზე. მითითებული გვაქვს კონკრეტული დაბადების მოწმობები.... ეს ყველაფერი 2 წელზე მეტია, დევს პროკურატურაში. გამოსაძიებელი აღარაფერია, მაგრამ არ ხდება ბრალის წარგენა, იმიტომ რომ ეს დამნაშავისთვის 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს – საუბარია ბავშვის საზღვარზე ყალბი დოკუმენტებით გადაყვანაზე.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს დანაშაული დღემდე გრძელდება და 2 წლის განმავლობაში არავინ დაინტერესდა ამ საკითხით. გადიოდა სოციალური კლიპები ამ საკითხზე. თავისუფლების მოედანზე იდგა ბანერიანი მანქანა, რომელსაც ეწერა, რომ საქართველოდან ყალბი დოკუმენტებით ჩვილი ბავშვები გაჰყავთ და ხელისუფლება არ სჯის დამნაშავეებს. ამ ყველაფერზე ხელისუფლება თვალს ხუჭავდა. არ გრძნობდა არანაირ ვალდებულებას, რომ განმარტება მაინც მიეცათ საქართველოს მოსახლეობისთვის ამ კლიპთან დაკავშირებით, სადაც ვამბობდით, რომ კანონი არ იყო ყველასთვის ერთი და ქართველი ბავშვები ყალბი დოკუმენტებით გაჰყავდათ საქართველოს საზღვრებს მიღმა.

აი, ეს პრეტენზიები მქონდა გუშინ მე. ეს უცხოელი მამაკაცები, ძირითადად გეები არიან. 2015 წელს ასეთმა პირმა სასამართლოსაც მიმართა და მამად რეგისტრაციას ითხოვდა და იქ მოსამართლე ნანა დარასელიამ არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი, იმიტომ, რომ უკანონოდ იყო გამოყენებული სუროგაციის მეთოდიც, დონაციის მეთოდიც და ამ კაცს, საერთოდაც, ცოლი არ ჰყავდა. ეს ყველაფერი კი საქართველოს კანონმდებლობით არის აკრძალული. საქართველოს კანონმდებლობით არათუ გეი პირების, არამედ მარტოხელა მამაკაცების მომსახურებაც კანონდარღვევაა დონაციისა და სუროგაციის მიზნით. თუმცა ეს დანაშაული დღემდე გრძელდება.

**— რას ნიშნავს — გამოძიება ანზორ ჩუბინიძემ გააჩერებინა?**

– ანუ საქმე აღძრულია, მაგრამ რეალურად აღარ მიმდინარეობს ამ საქმეზე გამოძიება. როგორც გითხარით, ყველაფერი გამოძიებულია, უბრალოდ, არ ხდება ბრალის წაყენება.

თუნდაც ის ფაქტი, რომ 2015 წელსაც კი ვიღაც უცხოელ მამაკაცებს აქვთ პრეტენზიები, რომ საქართველოდან ბავშვი გაიყვანონ, მიუთითებს იმაზე, რომ ამ დამნაშავეებს კვლავ ეძლევათ იმის საშუალება, რომ თავიანთი კრიმინალური საქმიანობა გააგრძელონ და ამის მოტივაციას მათ აძლევთ პროკურატურის უმოქმედობა. ანუ მათ ხელშეწყობა აქვთ.

**— ვისი მხრიდან აქვთ ხელშეწყობა?**

– ამ საქმეში არ არის ჩართული 2-3 ადამიანი. ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული ამ სქემაში და მათგან ძალიან ბევრს ჰყავს ისეთი პატრონი, რომელთა ხელის შეხებაც არ შეიძლება. ამაზე დეტალურად ვსაუბრობ ჩვენ მიერ მომზადებულ ფილმში, – „რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილს ბავშვებით ვაჭრობასთან“. იქ დევს კონკრეტული ფაქტები და მტკიცებულებები.

**— კონკრეტულად ვისზეა საუბარი?**

– ეს დოკუმენტები გაყალბებულია სამოქალაქო რეესტრის მეშვეობით, რა თქმა უნდა, სახელმწიფო გასცემდა ამ დოკუმენტაციას. ვინ აყალბებდა დოკუმენტებს, არაა აუცილებელი, ეს მე ვთქვა. არსებობს პროკურორ შალვა ცერცვაძის დადგენილება, რომელიც დათარიღებულია 2013 წლის 7 მაისით და ვისაც ასე დეტალურად აინტერესებს ეს საკითხი, ნახავს მანდ. სახელები და გვარებია ჩამოყალიბებული გამყალბებლების. ვინ გადაიყვანა ეს ბავშვები, ამაზე არსებობს საზღვრის მონაცემები, რომელიც შს სამინისტრომ მოგვაწოდა. ვითხოვ, პროკურატურამ დამისახელოს მტკიცებულება, რომელიც აკლიათ 344 პრიმა მუხლით ბრალის წარდგენისთვის. ვერ დაასახელებენ ასეთს, იმიტომ, რომ ყველა მტკიცებულება მოპოვებულია უკვე.

**— ირაკლი შოთაძე დაგპირდათ, რომ შეგხვდებოდათ. როდის ხვდებით, შეთანხმდით?**

– დიახ, უკვე შევთანხმდით, რომ ორშაბათს 13:00 საათზე შევხვდებით. ბატონმა შოთაძემ განაცხადა, რომ ამ საქმეს მიექცევა ყურადღება. მან ისიც აღნიშნა, რომ მისი შეცდომა იყო, ამ საქმეს ამ ხნის განმავლობაში ყურადღება რომ არ მიექცა. ის ამბობდა, რომ ის საქმის დეტალებს არ იცნობს და ა.შ. საქმეც ამაშია – რატომ არ იცნობს საქმის დეტალებს? რატომ არ დაინტერესდა იმ საკითხით, რომელიც ასე გახმაურებულია?! მაშინ რისთვის გვჭირდება პროკურატურა? ხომ იყო ამ ხნის განმავლობაში მთავარი პროკურორის მოადგილე?!

ფილმში – „რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილს ბავშვებით ვაჭრობასთან“ – ნათქვამია, რომ გაყალბების სპეციალური სქემით, კერძოდ, მამად უკანონო რეგისტაციის მიზნით, 2011 წლიდან დღემდე, უცხოელ მამაკაცებს, გეი პირებს, საქართველოდან გააყვანინეს სუროგატი დედების მიერ გაჩენილი ათეულობით ბავშვი. კლიპშივეა ნათქვამი, რომ თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე, წლებია ფუნქციონირებს სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯია“, რომელიც იმ მსოფლიო ქსელის სათავო ოფისია, რომელსაც აქვს 7 სხვადასხვა ფილიალი სხვადასხვა ქვეყანაში და უცხოელ ჰომოსექსუალებს სთავაზობს ქართველი დონორებისა და სუროგატების მეშვეობით, ქართველი ბავშვების ჩასახვას და ამა თუ იმ ქვეყანაში გაყვანას.

კლიპში ამ სააგენტოს ხელმძღვანელი, მარიამ კუკუნაშვილი ამბობს, რომ საქართველოშიც არიან ერთსქესიანი წყვილები, ასევე, ორი შემთხვევა იყო, როცა ტრანსგენდერი პაციენტი გვყავდა და ამ ადამიანებს ვეხმარებითო.

კლიპში ჩამოთვლილია კონკრეტული სახელები და გვარები, რომლებიც უცხოელებისთვის ბავშვებს აჩენდნენ. მასშივეა აღნიშნული, რომ გაყალბებული დოკუმენტები გაცემულია იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, რაზეც პროკურორი შალვა ცერცვაძე დადგენილებაში საუბრობს.

„მოცემული დადგენილება და სამოქალაქო რეესტრიდან გაცემული გაყალბებული დაბადების მოწმობები, წარმოადგენს იმ უტყუარ მტკიცებულებებს, რომელთა არსებობაც დაფარა მინისტრ თეა წულუკიანის უწყებამ და ამგვარად ცრუ ინფორმაცია გაავრცელა მასმედიის საშუალებით“. – ნათქვამია ფილმში.

იქვეა საუბარი, რომ მიუხედავად გავრცელებული სოციალური კლიპებისა და სხვა ინფორმაციებისა, ამ საკითხით არ დაინტერესებულა ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური მომსახურების სამინისტრო და დღემდე არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. კლიპში დასმულია კითხვა, საიდან მოდის დირექტივები ჩვილთა უკანონო გაშვილებაზე?



**ფილმში — „რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილს ბავშვებით ვაჭრობასთან“ — ნათქვამია, რომ გაყალბების სპეციალური სქემით, კერძოდ...**



**„მოცემული დადგენილება და სამოქალაქო რეესტრიდან გაცემული გაყალბებული დაბადების მოწმობები, წარმოადგენს იმ უტყუარ მტკიცებულებებს, რომელთა არსებობაც დაფარა მინისტრ თეა წულუკიანის უწყებამ და ამგვარად ცრუ ინფორმაცია გაავრცელა მასმედიის საშუალებით“**

კლიპშივეა საუბარი, რომ 2010-2013 წლებში, როცა მოხდა ჩვილი ბავშვების დოკუმენტების გაყალბება, სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ დირექტორი იყო მაკა ლაბაური, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ინგლისური ენის სპეციალისტად ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან.

„მასთან ერთად მუშაობდნენ ივანიშვილთან – ამჟამინდელი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე. მაკა ლაბაურმა ძალიან ბევრი რამ იცის ბიძინა ივანიშვილზე, როგორც მისმა პირადმა თარჯიმანმა წლების განმავლობაში. პროკურატურაში კვლავ სჭარბობენ „ნაციონალების“ მიერ დატოვებული კადრები, რომელთათვისაც მაკა ლაბაურისგან ბიძინა ივანიშვილზე ინფორმაციის მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ყველაზე უსაფრთხო მეთოდი საქმის თაროზე შემოდება. დამნაშავეები კი აგრძელებენ საქმიანობას, რადგანაც ფიქრობენ, რომ ვიდრე სათავეში ივანიშვილია, მათ ხელს ვერავინ ახლებს“. – განმარტებულია ფილმში.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „ცოცხების რევოლუციის შემდეგ, ღირსების დაცვის საშუალება კი გვაქვს, მაგრამ თავად ღირსება — აღარ“



„ცოცხების რევოლუციის შემდეგ, გვყავს უთავმოყვარეო და კოლაბორაციონისტული ხელისუფლება: ანუ ღირსების დაცვის საშუალება კი გვაქვს, მაგრამ თავად ღირსება – აღარ“, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ზაზა ბიბილაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

იგი თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებას გამოეხმაურა: „თურქეთს აქვს ერთიც და მეორეც. რას ვსაყვედურობთ? რაც მთავარია, ნუ ავყვებით რუსული კლოაკიდან გაჟღერებულ ვითომ პრაგმატულ შიშებს რუსეთ-თურქეთის ომის თაობაზე, რომელშიც ჩვენ გავიჭყლიტებით. რუსეთ-თურქეთის ომი ვერ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში რუსეთს მოუწევს, დაუპირისპირდეს მთლიანად ნატო-ს, რასაც, ცხადია, ვერ გაბედავს, რადგან კარგად იცის, რომ ამ დაპირისპირებაში მისი შანსები ნულის ტოლია“. (news.ge)

### „დასავლეთის ფასებსა და მოტივებზე სანამ გადახვალ, გუგულო, მანამდე ეგებ დასავლეთისნაირ შემოსავალზე გეზრუნა ხალხისთვის და არა თქვენთვის!“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი სიგარეტზე აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის გუგული მაღრაძის განცხადებას ეხმაურება.

ცნობისთვის, მაღრაძემ განაცხადა, რომ, თუ მწეველები სიგარეტის ყიდვას გაძვირების გამო ვერ შეძლებენ, ეს კარგი იქნება.

„ჩვენს პირობებში სიგარეტის გაძვირება და მერე ამისთვის ჯანმრთელობაზე ზრუნვის დარქმევა ზღვარსგადასული ცინიზმია, სხვა არაფერი. დასავლეთის ფასებსა და მოტივებზე სანამ გადახვალ, გუგულო, მანამდე ეგებ დასავლეთისნაირ შემოსავალზე გეზრუნა ხალხისთვის და არა თქვენთვის!

სანამ მდიდრული კაბით შეიმოსები, საცვლებზე უნდა იზრუნო! სანამ სუნამოს დაისხამ, უნდა იბანაო! სანამ ფასს აუწევ, შემოსავალი უნდა გაზარდო!

თქვენ კი ყველაფერს პირიქით აკეთებთ! ისე იქცევით, როგორებიც ხართ!“, – წერს სარიშვილი „ფეისბუკში“. (news.ge)

## როგორ სპეკულირებენ რელიგიური თემებით ქართველი პოლიტიკოსები



ხშირად პოლიტიკოსები ხალხის ნდობისა და სიმპათიის მოსაპოვებლად რელიგიური თემებით აქტიურად სპეკულირებენ. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ეკლესია და სასულიერო პირები მოსახლეობის უმეტეს ნაწილში დიდი ნდობით სარგებლობს, ბევრი პოლიტიკოსი ამას თავის სასარგებლოდ იყენებს, რათა ამომრჩეველში პოლიტიკური ქულები დაიწეროს.

იმის გასარკვევად, რამდენად ხშირია პოლიტიკოსების მხრიდან რელიგიური თემებით სპეკულირება და ყველაზე აქტიურად რომელი პოლიტიკური პარტიები იყენებენ ადამიანების მანიპულირების ამ გზას, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ ელენე ხოშტარიას, ასევე, თეოლოგ ბექა მინდიაშვილს ვესაუბრეთ და საპატრიარქოს პოზიციაც მოვისმინეთ.

– ზოგადად, საქართველოში არის მიდრეკილება, რომ რელიგიური თემებით პოლიტიკური ქულები დაიწერო. ზოგჯერ თავიანთ საქმიანობაში პირდაპირ სასულიერო პირებს რთავენ ხოლმე, რაც პოლიტიკური პარტიის მხრიდან არაკეთილსინდისიერი საქციელია. ამას გარდა, ეს ეკლესიისთვისაც დამაზარალებელია, რადგან ეკლესიას სხვა ფუნქცია აქვს და პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში არ უნდა იყოს, – ამბობს ელენე ხოშტარია. მისივე თქმით, ხშირად პარტიები ეკლესიურ დოგმებს არასწორად იყენებენ, რათა ხალხის არჩევანზე გავლენა მოახდინონ. მაგალითად კი ანტიდისკრიმინაციულ კანონს ასახელებს, რომლის შესახებაც, როგორც ხოშტარია ამბობს, პოლიტიკოსები პირდაპირ ტყუილს ამბობენ ხოლმე.

კითხვაზე, რომელი პარტიები სპეკულირებენ ყველაზე ხშირად რელიგიური თემებით, ელენე ხოშტარია ამბობს, რომ ამას თითქმის ყველა პარტია ცდილობს.

– „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძალიან ბევრი არასწორი ნაბიჯი გადადგა, იმ მხრივ, რომ კატასტროფულად გაიზარდა ეკლესიის დაფინანსება და ეს უკანასკნელი საკმაოდ არაგამჭვირვალეა, თუმცა ეს კიდევ ცალკე თემაა.

„ქართული ოცნება“ არა მხოლოდ სპეკულირებდა, არამედ პირდაპირ იყენებდა ეკლესიას. ანტიდისკრიმინაციულ კანონზე მუშაობის დროს ერთ-ერთი სასულიერო პირი, თუ არ ვცდები, ეკა ბესელიას ემუქრებოდა, რომ აი, კიდევ მოგინდებათ თქვენ არჩევნებში მონაწილეობაო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არჩევნებში სასულიერო პირებს აქტიურად იყენებდნენ.

ამ კუთხით კიდევ ერთი აქტიური პარტია ირმა ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსია“. ყველაზე ცუდი, რასაც ირმა ინაშვილი აკეთებს, არის ის, რომ საზოგადოებას ატყუებს, თითქოს რელიგიური თემები ჩვენს ევროპულ მომავალს ეწინააღმდეგება, თითქოს ამერიკა ჩვენი რელიგიის და ქართველობის მოწინააღმდეგეა, – ამბობს ელენე ხოშტარია.

– ბოლო ოცწლეულს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, თითქოს მათ საქმიანობას სჭირდება დამატებითი რელიგიური ლეგიტიმაცია, – ამბობს თეოლოგი ბექა მინდიაშვილი და მაგალითისთვის საქართველოს სამივე ყოფილ პრეზიდენტს ასახელებს, რომლებიც, მისი თქმით, რელიგიური თემებით საზოგადოებაში აქტიურად სპეკულირებდნენ.

– ზვიად გამსახურდია მუდმივად რელიგიურ რიტორიკას იყენებდა. შევარდნაძე პირდაპირ მოუხმობდა პატრიარქს საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციისკენ და ამის სანაცვლოდ ეკლესიას ბევრ პრივილეგიას ანიჭებდა. ამ კუთხით გამოირჩეოდა მიხეილ სააკაშვილიც, განსაკუთრებით მისი მეორე საპრეზიდენტო მმართველობის პერიოდში, რომელიც საქართველოს პატრიარქს აქებდა და ადიდებდა. ჩვენ გვახსოვს 2012 წლის არჩევნები, როდესაც ეკლესია ღიად ჩაერთო პოლიტიკურ მეტოქეობაში და სასულიერო პირები მიტინგებშიც კი მონაწილეობდნენ, განსაკუთრებით ეს ეხება კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივიზმს, – ამბობს მინდიაშვილი.

თეოლოგის თქმით, ყველაზე აქტიურად მაინც პრორუსული პარტიები სპეკულირებენ, და „ისინი მუდმივად აკეთებენ აქცენტს მართლმადიდებლური ტრადიციების დაცვაზე“, რითაც საზოგადოებაში სიმპათიის მოპოვებას ცდილობენ.

მისივე თქმით, დღევანდელი ხელისუფლების მიერ ეკლესიის მიმართ განხორციელებული აქტივობები მიმართულია იქითკენ, რომ, საბოლოო ჯამში, „წინასაარჩევნო პროცესში მართლმადიდებელი ეკლესიის ლოიალობა მოიპოვონ“.

ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ თეოდორე გიგნაძის თქმით, პოლიტიკოსების მხრიდან ქველმოქმედება, ტაძრების მშენებლობა და მსგავსი რელიგიური თემებით მანიპულირება არასწორი და არაჯანსაღი საქციელია.

– საერთოდ, სარწმუნოება იმდენად ღრმა და ფაქიზია, მისი ასე აფიშირება ღრმად მორწმუნე ქრისტიანს ყოველთვის ეუხერხულება. ამას გარდა, როდესაც პოლიტიკოსები წინასაარჩევნო კამპანიის დროს რელიგიურ მოტივებს იყენებენ, არასწორი საქციელია. ჩვენი ხალხი ასეთი ბრიყვი არ არის, რომ ამას ვერ ხვდებოდეს.

საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის გულის მოსაგებად შესაბამისი დაპირებების მიცემა და სიმპათიების გამოვლენა, ზოგადად, პოლიტიკოსებს სჩვევიათ და ეს გასაგებია, რადგან პოლიტიკოსისთვის უცხო არ არის, მაგრამ საქართველოში ქრისტიანობით ასე მანიპულირება ნამდვილად ცუდი ტონია.

როგორც მღვდელი, ვიტყვი, რომ უფალს ეს არ მოსწონს იმიტომ, რომ სახარებაში თვითონ უფალი გვასწავლის, როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს სარწმუნოებასთან და აქედან გამომდინარე, მათი ეს საქციელი არ არის სწორი, – ამბობს მოძღვარი.

ამ თემაზე კომენტარისთვის საპატრიარქოსაც მივმართეთ. როგორც ჩვენთან საუბარში პატრიარქის მდივანი მამა მიქაელ ბოტკოველი ამბობს, ეკლესია ემიჯნება პოლიტიკოსების მიერ რელიგიური თემებით სპეკულირების საკითხს.

– ხომ იცით, თვითონ საზოგადოებაც ძალიან გონიერია და მიხვდება, რომ ეს ტყუილია და სწორი არ არის, იმიტომ რომ პოლიტიკოსმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, სასულიერო პირმა – თავისი. ჩვენ, რა თქმა უნდა, კონტაქტი გვაქვს ყველა პოლიტიკოსთან, მაგრამ ის, რომ ვინმემ თავისი მიზნებისთვის გამოგვიყენოს, ამას არ გავაკეთებთ, რადგან ეს ჩვენი გზა არ არის, – ამბობს მამა მიქაელ ბოტკოველი.

კითხვაზე, რა პასუხი აქვს საპატრიარქოს იმაზე, რომ ზოგიერთი სასულიერო პირი აქტიურად იყო ჩართული, მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, პატრიარქის მდივანი პასუხობს, რომ რომელიმე მოძღვარს პოლიტიკურ პარტიასთან ან პოლიტიკოსთან მეგობრობას ვერ დაუშლიან.

– ეს მათი პირადი, სუბიექტური გადაწყვეტილებებია, ჩვენ მათ ყოველთვის ვთხოვთ, რომ ასეთ რაღაცებში მონაწილეობა არ მიიღონ, მაგრამ ვერავის ავუკრძალავთ. ის, რომ სასულიერო პირები ხანდახან ჩნდებიან რომელიმე პოლიტიკური პარტიის გვერდით, იმას არ ნიშნავს, რომ ამას საპატრიარქოს პოლიტიკა განსაზღვრავს, ეს არ არის ჩვენი საქმიანობა. პირიქით, პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ, მეგობრობისკენ და სიყვარულისკენ მოვუწოდებთ ხოლმე, – ამბობს მამა მიქაელ ბოტკოველი.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის და რელიგიური თემებით ხშირად დასავლელი პოლიტიკოსებიც სპეკულირებენ და არჩევნების პერიოდში ხშირად იყენებენ რელიგიურ ფრაზებს ხალხის ნდობისა და ხმების მოსაპოვებლად. (ambebi.ge)

## არა, ეს თუ იცოდით, აქამდე რატომ არ ამხელდით, თქვე ფურუნკულებო?!



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, თურქეთის გარკვეულ ტერიტორიებზე ტერორისტები ადამიანის ორგანოების ბიზნესით არიან დაკავებულნი. ლავროვის თქმით, ადამიანის ორგანოების შემოტანა ISIS ტერორისტების მიერ სირიიდან ხდება, ორგანოებს კი დახოცილ სირიელებს აცლიან:

– ზოგიერთი ინფორმაციით, რომლის გადამოწმებაც ახლა ხდება, თურქეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც ტერორისტები თავს მშვიდად გრძნობენ, დადგინდა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ფაქტებიც, რომლებსაც მათ მიერ დახოცილი სირიელებისგან იღებენ და ISIS-ისა და სხვა დაჯგუფებების ტერორისტებს თურქეთში შემოაქვთ. ამ თემაზე გაეროს უშიშროების საბჭომ რამდენიმე რეზოლუცია მიიღო, რომელიც ნავთობით კონტრაბანდული ვაჭრობისა და ტერორისტებთან ფინანსური თუ სხვა ურთიერთობების აკრძალვას ისახავს მიზნად, – განაცხადა ლავროვმა.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა, რუსეთის პრეზიდენტის მოთხოვნას უპასუხა და განაცხადა, რომ რუსეთისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა „სიენენ“-თან ინტერვიუში ისაუბრა.

– ვფიქრობ, თუ რომელიმე მხარემ ბოდიში უნდა მოიხადოს, ეს მხარე არა ჩვენ, არამედ ისაა, ვინც ჩვენი საჰაერო სივრცე დაარღვია. ჩვენმა პილოტებმა და შეიარაღებულმა ძალებმა, უბრალოდ, შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, რომელიც საჰაერო სივრცის დაცვას მოიცავდა, – განაცხადა ერდოღანმა. (ნიუპოსტი)

## „მანქანა რომ მოგეწონებოდათ, ართმევდით პატრონს, მიგყავდათ და კატაობდით“



„ტვ-პირველის“ გადაცემა „რვიანის“ ეთერში შოთაძის გენერალურ პროკურორად არჩევასთან დაკავშირებული დისკუსიის დროს ყოფილმა დეპუტატმა ხათუნა ხოფერიამ უფლებადამცველ გაგა ონიანს 2009 წელს მომხდარი ფაქტი შეახსენა. ხოფერიას თქმით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ონიანმა მოქალაქე მარინა შენგელია ავტომობილიდან გადმოსვა და ძვირად ღირებული მანქანა პოლიციის სამმართველოში წაიყვანა.

– ბატონო გოგა, თუ გახსოვთ, 2009 წელს, პეკინის 29 ნომერთან მარინა შენგელია (არის ასეთი პიროვნება) თავისი შავი „ინფინიტით“ მოდიოდა და პირადად თქვენ გადმოსვით მანქანიდან და წაიყვანეთ მისი მანქანა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა. ეს ყველაფერი იწვევს კითხვის ნიშნებს და ეს კითხვის ნიშნები უნდა გვქონდეს ჩვენ ყველას, ოღონდ არა „ნაციონალურ მოძრაობას“. არც ერთ კითხვას, რომელსაც სვამს „ნაციონალური მოძრაობა“, შოთაძის ადგილზე მე პასუხს არ გავცემდი. თქვენ პასუხს არავინ არ გაგცემთ იმიტომ, რომ ყველა კითხვა თქვენთან ამოწურულია, – განაცხადა ხათუნა ხოფერიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ამ ფაქტს ადგილი, ონიანმა უპასუხა, რომ არ ახსენდება, თუმცა იმ დროს მკვლელობის განყოფილებაში მუშაობდა და თუკი ეს მანქანა იყო დაფიქსირებული მკვლელობის ადგილზე, მას ამის გაკეთების უფლება ჰქონდა.

– მკვლელობების სამმართველო, სადაც მე ვმუშაობდი, ქალაქის სამმართველოში იყო და ალბათ, ამიტომაც გადავიყვანდი ყველა წესის დაცვით, – განაცხადა გაგა ონიანმა.

– მარინა შენგელიას ჰყავდა ვინმე მოკლული? არა, ჩემო კარგო, მანქანა რომ მოგეწონებოდათ, ართმევდით პატრონს, მიგყავდათ და კატაობდით. ეს საკითხი ძალიან მაღალი რანგის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მიიტანა ნინო ბურჯანაძემ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნეთ პატრონს. ყველა, ვინც მაშინ ზონდერი იყო, დღეს ან ადვოკატია, ან უფლებადამცველი და ეს არის უბედურება, თქვენ რომ ამის უფლებას გაძლევენ, – განაცხადა ხათუნა ხოფერიამ. (postalioni.com)



## ჩვენც მაგას გჩივით, ხალხთან კომუნიკაცია რომ საერთოდ არ აქვს „ოცნებას“, სხვას კი არაფერს?!



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გიორგი ვოლსკის განცხადებით, გამოძიებულია ძალიან ბევრი საქმე, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არ იცის.

ამის შესახებ ვოლსკიმ გადაცემა „20/30“-ში განაცხადა:

– შოთაძემ, ბადაშვილთან ერთად, პროკურატურაში მოქნილი სისტემა შექმნა. გამოძიებულ იქნა ძალიან ბევრი საქმე, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არ იცის. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი შენიშვნა, რომ მეტი გამჭვირვალობაა საჭირო. პროკურატურაში მოსული ახალგაზრდა კადრები ის რეზერვია, რომელმაც მომავალში უწყების კარგად მუშაობა უნდა უზრუნველყოს. წარსულს უნდა ჩაბარდეს ის პრაქტიკა, როცა პროკურატურა ნებისმიერი ადამიანის ბედს ერთი მუშტის დაკვრით წყვეტდა. შოთაძის გეგმა ჩვენთვის მისაღებია. მან დეპუტატთა შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა, – აცხადებს ვოლსკი. (რეპორტიორი)

**ეს გამოძიებული საქმეებიც პრემია-დანამატი ხომ არ არის, ეს ოხერი, სახლში რომ წაიღონ? თუ რამე მართლა გამოიძიეთ, გვითხარით, გაგვაგებინეთ, გვარიშვილობას დაკარგავთ, კაცო? ისე, 5 მანქანა რომ დაუბრუნეთ სააკაშვილის მიერ დატერორებულ ადამიანებს, ეგ გაახმაურა პროკურატურამ და როგორ დავიჯეროთ, რამე მნიშვნელოვანი საქმე გახსნეს და მალავენ? რა ვიცი, რა ვიცი...**



## აზერბაიჯანში ისლამისტებსა და პოლიციას შორის სროლების დროს ექვსი ადამიანი დაიღუპა



ბაქოდან 25 კილომეტრში მდებარე დასახლებულ პუნქტ ნარდარანში პოლიციასა და რელიგიური დაჯგუფების წევრებს შორის მომხდარი სროლების შედეგად, სულ მცირე, 6 ადამიანი დაიღუპა.

„ბიბისის“ ინფორმაციით, მათგან 4 დაღუპული ადგილობრივი მკვიდრია, 2 კი – პოლიციის თანამშრომელი. დაკავებულია 14 ადამიანი, რომლებიც, ხელისუფლების ინფორმაციით, გადატრიალებას აპირებდნენ.

ქვეყნის შსს-სა და გენერალურ პროკურატურაში განაცხადეს, რომ შეიარაღებული რადიკალური ისლამური დაჯგუფება პროვოკაციების სერიას, ტერაქტებსა და მასობრივ არეულობებს გეგმავდა. მათივე მტკიცებით, დაგეგმილი იყო ძალადობრივი გზით კონსტიტუციური წყობის შეცვლა და ქვეყანაში შარიათის კანონების შემოღება. (ინტერპრესნიუსი)

# რა გაიაფდება და რა გაგვიძვირდება, თუკი რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი გაგრძელდება?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

2016 წლიდან დოლარი გაუფასურდება და ლარი დაიწყებს გამყარებას. საქართველოში არსებულ ფინანსურ მდგომარეობას ასე აფასებს მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი „საქსო ბანკის" მთავარი ეკონომისტი, სტინ იაკობსენი:

**„ლარი 10%-ით გამყარდება. ამის ძირითადი მიზეზი ის იქნება, რომ ამერიკული დოლარი შეწყვეტს გამყარებას. აქ გასათვალისწინებელია ერთი ტენდენცია, რომელიც ყველას ყურადღების მიღმა რჩება, დოლარის კურსი უარყოფით კორელაციაშია შეერთებული შტატების მონეტარულ პოლიტიკასთან. შესაბამისად, ინვესტორებს ლარი უდიდეს შესაძლებლობებს უხსნის, რადგან სახეზეა ინვესტორებისთვის აუცილებელი ორივე კომპონენტი — ღირებულება და ფასი. საუკეთესო მაკროეკონომიკური განვითარება, რასაც 30 ქვეყანაში ჩემი ვიზიტის დროს დავაკვირდი, არის საქართველოს შემთხვევაში. ალბათ, ბევრი ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს, მაგრამ ვფიქრობ, ლარს დიდი შესაძლებლობები აქვს კურსის გამყარების თვალსაზრისით, ანუ მაღალპროდუქტიულობის წყალობით, ასევე, ჰიდროენერგეტიკული და სხვა პროექტების საშუალებით".**

იაკობსენი არ გახლავთ ხელწამოსაკრავი ბანკის წარმომადგენელი, ეს ორგანიზაცია დანიურია და მოქმედებს როგორც დიდ ბრიტანეთში, სინგაპურში და ევროპის ქვეყნებში – სულ 26 ქვეყანაში. კი, ბატონო, დონე გასაგებია, მაგრამ ჩვენ მაინც გვიჩნდება შეკითხვა: ეს კაცი მოგზავნილია თუ სიმართლეს ლაპარაკობს? ჯერ ამბობს, ლარი იმიტომ გამყარდება, რომ დოლარის კურსი დაეცემაო, ბოლოს ამტკიცებს, ამაში ლარს თქვენი ჰიდრორესურსები დაეხმარებაო. რატომ აალაპარაკეს უცხოელი ეკონომისტი, ჩვენს თავზე შავი ღრუბლები ტრიალებს და თავისებურად გვამშვიდებს?

როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა ამბობს „ალიასთან" საუბარში, ეტყობა, ამ ადამიანმა ჯერ არ იცის, რა ხდება თურქეთსა და რუსეთს შორის: „მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები აცხადებენ, რომ 2016 წელს დოლარს კვლავ ექნება გამყარების ტენდენცია. ასეთ სიტუაციაში ლარის გაუფასურება არის გარდაუვალი. ეკონომისტებს აქვთ თავიანთი მოსაზრებები: პირველი – დეკემბერში შეერთებული შტატები აპირებს, გადახედოს მონეტარულ პოლიტიკას და გაზარდოს საპროცენტო განაკვეთები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციები, რომლებიც ახლა გაბნეულია განვითარებად ქვეყნებში, დაბრუნდება ამერიკაში. რასაკვირველია, ეს პროცესი აუცილებლად დაარტყამს საქართველოს საფინანსო სისტემას. კაპიტალის საქართველოდან ნაწილობრივმა გაქცევამ უკვე იმოქმედა უარყოფითად ლარის კურსზე".

მთავარი პრობლემა, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ქალბატონი ლია ელიავა, არის თურქეთში შექმნილი რთული მდგომარეობა. ვინაიდან თურქეთი ჩვენი ერთ-ერთი უმსხვილესი პარტნიორია, მისი ეკონომიკური კრიზისი ჩვენც დაგვარტყამს:

„რა თქმა უნდა, ეს ჩვენზე აუცილებლად იმოქმედებს, თურქეთს რუსეთთან კონფლიქტის გამო დააკლდება ფინანსები. ეს ქვეყანა მიბმული იყო რუსეთთან ტურისტულ და სავაჭრო ურთიერთობაზე, არსებობს დიდი ალბათობაც, რომ კაპიტალი ასევე გაექცეს ქვეყნიდან. დიდი ალბათობით, ამიერიდან თურქეთის ხელისუფლება შეეცდება, უფრო მეტად ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ინვესტიციებს, რამაც შეიძლება საქართველოდან თურქული კაპიტალის გადინება გამოიწვიოს. აქ უამრავი ნიუანსია, ამ პოლიტიკური კრიზისის შედეგად თურქული ლირა დავარდა. უკვე ვხედავთ, ეროვნულმა ბანკმა როგორ განახორციელა სასწრაფოდ 20 მილიონი დოლარის ინტერვენცია იმიტომ, რომ ლარსაც შეერყა მდგომარეობა. წინა გამოცდილებიდან ვიცით, რომ ლარის ვარდნის ტრაექტორია პრაქტიკულად იმეორებდა ლირას ვარდნის ტრაექტორიას. ასევე, მოხდება ახლაც".

რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ მაშინ, როცა რუსეთი გაშმაგებით უტევს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორის, თურქეთის ეკონომიკას, როცა რუსეთიდან ანტალიაში თვითმფრინავები ტურისტების გარეშე ბრუნდება, როცა ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე დატვირთულ თურქულ ტრაილერებს აღარ ატარებენ? რუსეთის ხელისუფლებას ისიც კი შეუძლია, ერთ დღეს საერთოდ გამოყაროს თურქული საქონელი თავისი ბაზრიდან და დაწვას. ვლადიმერ პუტინი კიდევ რას მოიმოქმედებს, ჯერ კიდევ არავინ იცის. ბოლოს და ბოლოს, რას უზამს თურქეთი თავის ჭარბ საქონელს, ისევ ჩვენ წაგვლეკავს და დაასამარებს ისედაც გაჭირვებულ ადგილობრივ წარმოებას?

ლია ელიავას თქმით, თუკი თურქეთში დაიწყება მძაფრი ეკონომიკური კრიზისი, საქართველო ამით ნამდვილად ვერ იხეირებს: „ის პროდუქცია, რომელიც არ შევა რუსეთის ბაზარზე, აუცილებლად სადღაც უნდა შევიდეს. ბუნებრივია, გაიაფებული სახით აუცილებლად მოაწვება ჩვენს ქვეყანას. ეს კონკურენციას გაუწევს ქართულ პროდუქციას და ჩაკლავს. საქართველოს არ გააჩნია სხვისი პროდუქციისგან ადგილობრივის დაცვის მექანიზმები. აი, სწორედ ეს მექანიზმებია შესამუშავებელი და სასწრაფოდ დასანერგი. საქართველოში დღემდე უამრავი საწარმო დაიხურა, რადგან ვერ გაუძლო იაფ იმპორტს. იმპორტის მოძალება დაიწყება უახლოეს ხანში და მთელი ქვეყანა გადავა მხოლოდ ვაჭრობაზე. რუსების გათვლებით, ამ საპასუხო დარტყმის შედეგად თურქეთმა უნდა იზარალოს დაახლოებით 10 მილიარდი დოლარით. ახლა ასევე ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთმა შეიძლება უარი თქვას სამხრეთ ნაკადის მშენებლობაზე, შეიძლება შეუმციროს გაზის მიწოდება, თურქეთი 60 პროცენტით რუსულ გაზს მოიხმარს. კიდევ, რუსეთი თურქეთს უშენებს ატომურ ელექტროსადგურს, რაც ჯდება 32 მილიარდი დოლარი. თუ პუტინი ამაზეც იტყვის უარს, ჩვენი მეზობელი დადგება ძალიან რთული ეკონომიკური პრობლემების წინაშე. პლუს, ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერდოღანს ევროპა უკვე აღარ უყურებს კარგი თვალით. ის თავს იმართლებს, „ისლამური სახელმწიფოსგან" ნავთობს იაფად არ ვყიდულობთო".

საინტერესოა, რატომ ანაცვალა თურქეთმა ეკონომიკური სტაბილურობა ერთ თვითმფრინავს? ბუნებრივია, მათ უნდა ულირდეთ, რაც გააკეთეს. თურქეთი ძალიან დიდ მოგებას ნახულობდა იაფი გაზისა და ნავთობის სახით, რასაც „ისლამური სახელმწიფო" აძლევდა.

ლია ელიავას თქმით, რუსეთმა, ასევე, საფრთხე შეუქმნა ნარკოტიკების მოძრაობას და ამ გზების გადაკეტვამ ძალიან აანერვიულა თურქეთის ხელისუფლება: „როცა ერდოღანმა უკვე დაიწყო თავის მართლება, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ბრალდებები არა მხოლოდ რუსეთიდან მოდის, არამედ ევროპიდანაც. თვით თურქეთის ოპოზიციური პარტიების ლიდერები ამბობენ, ამაზე დიდი ხანია ვლაპარაკობთ, მაგრამ აქამდე არავის სჯეროდაო. ამ ეტაპზე ჩვენ განსაკუთრებულს ვერაფერს გავაკეთებთ, უნდა დავიცვათ ადგილობრივი წარმოება და ხმა არ ამოვიღოთ. ჩვენ გავიჭყლიტებით ნებისმიერ შემთხვევაში. მართალია, ამ შემთხვევაში რუსეთიც დაზარალდება, მაგრამ ჩვენ ვზარალდებით ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც, ორივე ქვეყნის ეკონომიკის გაუარესება მომენტალურად აისახება ჩვენზე. უკვე დაიწყო ვარდნა რუბლმა და ლირამ. პოლიტიკური პრობლემები ძალიან მგრძნობიარედ აისახება ეკონომიკაზე, დაუკვირდით, ჩვენს ქვეყანაში თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ ლარის კურსი დღეში რამდენიმეჯერ იცვლება".

ლარს აშკარად სჭირს „მოციმციმე არითმია", ეკონომიკის ექსპერტების თქმით, ეს გამოწვეულია ფინანსური და ბიზნესწრეების ნევროზული მდგომარეობით. ეკონომიკის ექსპერტის, დემურ გიორხელიძის თქმით, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა საკმაოდაა მიბმული თურქეთზე, რა თქმა უნდა, იქაური პრობლემები ავტომატურად აისახება ჩვენს ეკონომიკაზე და არ არის გამორიცხული, ლარის კურსმაც დაიწყოს ვარდნა:

„ამ დროს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული გეგმა, აუცილებლად გასაკონტროლებელია იმპორტი. შემცირდება თუ ჭარბი წამოვა, ორივე შემთხვევაში პრობლემაა. 20 მილიონი დოლარის ინტერვენციაც იმაზე მიანიშნებს, რომ ლარს ემუქრებოდა საფრთხე და ამით შეაჩერეს. ეროვნულ ბანკს პერიოდულად ამის გაკეთება მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ეროვნული ვალუტის ტოტალური დაცემა".

როგორც ხედავთ, მისტერ იაკობსენი აშკარად გვატყუებს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, გვანუგეშებს. არადა, ჩვენ კიდევ ტყუილების მოსმენა გვინდა?!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვფიქრობთ, რომ ირაკლი შოთაძე რეალურად სისტემას ვერ შეცვლის"




„ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია" მთავარი პროკურორის კანდიდატურას, ირაკლი შოთაძეს, მხარს არ უჭერს.

როგორც ასოციაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა, შოთაძის კანდიდატურა მათთვის მიუღებელია იქიდან გამომდინარე, რომ ის მთავარ პროკურატურაში წინა ხელისუფლების დროიდან, 2006 წლიდან მუშაობს და შესაბამისად, კობაიძის განმარტებით, შოთაძე იმ საქმეებში მონაწილეობდა, რასაც ყოფილი ხელისუფლება სჩადიოდა.

„ირაკლი შოთაძე ის ადამიანია, რომელზეც საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ რეალურად მოახდენს ძირეულ რეფორმებს, თუმცა, თუ მის ბიოგრაფიას გადავხედავთ, არ შეიძლება, ეს ვარაუდი გამართლდეს. აღნიშნული პიროვნება ჯერ კიდევ 2006 წლიდან არის მთავარ პროკურატურაში პროკურორად, შესაბამისად, ის წინა ხელისუფლების დროს ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს ისეთ სიტუაციებში, როდესაც ადამიანებს ართმევდნენ ქონებას, ადამიანებს უსჯიდნენ სამუდამო სასჯელს და ირაკლი შოთაძე ამ ყველაფერში მონაწილეობდა", – აღნიშნა კობაიძემ.კობაიძემ გამოთქვა იმედი, რომ შოთაძე შეძლებს თავის წარსულს გაექცეს და რეალურად სამართლიანობის აღდგენა მოახდინოს.

„ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კადრი რეალურად სისტემას ვერ შეცვლის, თუმცა იმედს გამოვთქვამთ, შოთაძე მოინდომებს, იმ კუთხით იმუშაოს, რომ სამართლიანობა აღდგეს ჩვენს ქვეყანაში და იყოს ობიექტური. გასათვალისწინებელია ის, რომ შოთაძეს სრული კარტ-ბლანში აქვს და ეძლევა შესაძლებლობა, დაამტკიცოს, მისი წარსული არაფერ შუაშია, რომ აღადგინოს სამართლიანობა", – განაცხადა კობაიძემ.

(pia.ge)

## სამცხე-ჯავახეთის მუფთს ბრალი მეზობლის ცემაში ედება



ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის მუფთის მამუკა ვაშაყმაძის წინასასამართლო სხდომა გაიმართა. მუფთი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მუფთს ბრალი ედება ოჯახის ახლობლის ცემაში, რომელიც ამავდროულად, მისი მეზობელიცაა. მამუკა ვაშაყმაძე ყვება, რომ დაპირისპირება ბაკურ მარკოიძესთან ავტომანქანის გამო მოხდა.

„ჩემი ძმის კუთვნილი მანქანით გადაადგილდებოდა ჩემი ახლო ნათესავი, გავაფრთხილე, რომ იმ დღეს მე მჭირდებოდა ავტომობილი. მაინც წაიყვანა დაუკითხავად, სიტყვიერი შელაპარაკება მოგვიხდა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა". – ამბობს ვაშაყმაძე. (pia.ge)

## უცხოელი ექსპერტები „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებულ ქართულენოვან გზავნილებს აფასებენ

„ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ქართულ ენაზე გავრცელებული ვიდეორგოლის სავარაუდო გზავნილებზე, რადიკალიზმის გავრცელებასა და ქართველი მუსლიმანების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, „ამერიკის ხმამ“ ექსპერტების შეფასებები მოისმინა.

„ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურის ინფორმაციით, ილან ბერმანი ვაშინგტონში დაფუძნებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი და აღნიშნულ საკითხებში განსწავლული მკვლევარია. მაირბეკ ვაჩაგაევი კი ჩეჩენი ისტორიკოსია, ამჟამად ვაშინგტონში არსებული ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსი და სორბონის უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორი.

გამოცემის ინფორმაციით, რა დგას მოხდება. თუმცა საქართველოს ჩართულობა გლობალურ ძალისხმევაში ამ ქვეყანასაც მოუტანს სარგებელს, რამეთუ ტერორის ქსელის ბრძოლისუნარიანობის შეზღუდვა მის გავრცელებასაც აღმოფხვრის საქართველოში.

ვაჩაგაევს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ქართველებმა პანიკისგან თავი უნდა შეიკავონ და რომ ვიდეორგოლის გავრცელება და მისი მესიჯი, სავარაუდოდ, არ გულისხმობს ბოევიკთა მყისიერ მოქმედებებს. ვაჩაგაევი დარწმუნებულია, რომ ანალოგიურ გზავნილებს „ისლამურ სახელმწიფოს“ შეფიცული სხვადასხვა ეროვნების წევრები მთელ მსოფლიოში აგზავნიან და ეს ერთგვარი მოვალეობაა ყველასთვის, ვინც „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ ერთიანდება.

ვები ამოძრავებს. რაც შეეხება ქართველი საზოგადოებისა და მთავრობის გამოხმაურებას, მე გეტყვით, რომ „ალ-ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“ განსაკუთრებით იმიტომ გაძლიერდნენ, რომ ქვეყნებში მუსლიმანებს შესატყვისი შესაძლებლობები არ გააჩნდათ, ისინი არც საკმარისად ინტეგრირებული ყოფილან საზოგადოებაში. რაც არ უნდა მცირე ზომის იყოს საქართველოს მუსლიმანური თემი, გასაკეთებელი ბევრია იმისთვის, რათა ამ თემმა თავი სრულად რეალიზებულად, ინტეგრირებულად იგრძნოს ქვეყნის ცხოვრებაში...

**მაირბეკ ვაჩაგაევი:**

– საუბარი იმაზე, როგორ შეწყვიტონ მსგავსი გზავნილების გავრცელება ან ის, რომ სპეცსამსახურები რაღაცას აკეთებენ



ქართულ ენაზე გავრცელებული ვიდეომიმართვის უკან და როგორ უნდა აღიქვან ის საქართველოში, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გზავნილი მრავალმხრივია.

**ილან ბერმანი:**

– „ისლამური სახელმწიფოს“ ვიდეომიმართვა ნათელი სიგნალია იმისა, რომ ეს ორგანიზაცია სტრატეგიულ ხედვას აფართოებს სირიისა და ერაყის საბრძოლო ტრაექტორიის მიღმა იქ, სადაც მას პოტენციალი და ინტერესი აქვს პოლიტიკური სტრუქტურების დამხობის მიზნით. ასე ხდებოდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში. ახლა, გზავნილი საქართველოსადმი აშკარა ინდიკაციაა, რომ ეს ორგანიზაცია პოსტსაბჭოთა სივრცეს აკვირდება და გაფართოებას ცდილობს. პარიზსა და სხვაგან განვითარებული მსგავსი თავდასხმების შემდეგ დავრწმუნდით, რომ ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სინამდვილეში ახლო აღმოსავლეთში არ არის კონცენტრირებული, არამედ ევროპისა და ევრაზიის რეგიონებში მიმდინარეობს. ის, რასაც საქართველოს მთავრობა აკეთებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო ძალისხმევის ეგიდით, საბოლოო ჯამში, შედეგს გამოიღებს და ამ დაჯგუფების ბრძოლისუნარიანობას შეამცირებს, მაგრამ ეს გრძელვადიან პერსპექტივაში

**მაირბეკ ვაჩაგაევი:**

– ყველაფერი ეს უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რომ დაჯგუფების ყველა უცხოელმა წევრმა ერთგვარი ანგარიში უნდა ჩააბაროს, თუ რას ეკეთებს ხალიფ აბუ ბაქრ ალ ბაღდადის სამსახურში. ამ ტიპის ჩანაწერი მე აღვიქვი, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი წევრების პროპაგანდა...

რადიკალიზმის ნიშნების გადატანას პანკისის საზღვრებს მიღმა და შესატყვისი მუშაობის საჭიროებას საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდან, ორივე ექსპერტი ანალოგიური ხასიათის განცხადებებით ეხმიანება. ილან ბერმანი:

– ისლამური რადიკალიზმის და არა ჯიჰადის საფრთხე საქართველოში მხოლოდ გარედან არის პროვოცირებული. რა თქმა უნდა, ბოლო ათი წელია, პანკისის ხეობაში ისლამური რადიკალების შესვლით დღევანდელმა სიტუაციამ მოიგო და ერთგვარად, ამ ახალი ნაკადის წევრებიც პანკისის სიტუაციამ მოამზადა, მაგრამ მუსლიმანი თემი არც ისე დიდია და როგორც ჩანს, ყველა ეს ადამიანი „ისლამურ სახელმწიფოში“ გაერთიანებას არ ფიქრობს. ვიტყოდი პირიქით: ის, რაც ხდება, პირველ რიგში, „ისლამური სახელმწიფოს“ ამბიციის გამოვლინებაა, რომ მას რეგიონული ხალიფატის შექმნა სურს და უნდა რეგიონის მთავრობები გააფრთხილოს, რომ სწორედ ასეთი ზრახამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, არასერიოზულია და ისინი ქართველი ხალხის ყურადღებას არ იმსახურებენ. არც სპეცსამსახურებმა, არც არავინ მთავრობაში არ იცის, რასთან აქვს საქმე. ერთადერთი საღი აზრი, რომელიც არსებობს ამ თემასთან მიმართებაში, პატრიარქმა ილია მეორემ გააჟღერა, რომელმაც ბრძანა, რომ არ ღირს ისლამის, როგორც რელიგიის, გაშავება და რომ ტერორისტებს რელიგია ან ეროვნება არ გააჩნიათ. სხვა სიტყვებით, ქართველი საზოგადოება უნდა განთავისუფლდეს არაკორექტული ბრალდებებისგან ისლამის მიმართ.

რაც შეეხება საჭირო ძალისხმევას, საქართველოში უნდა იბრძოლონ თითოეული ახალგაზრდა ადამიანის გადასარჩენად, და გააცნობიერონ, რომ თითოეულ ადამიანს მთელმა საზოგადოებამ უნდა უშველოს, გაკეთდეს ყველაფერი, რათა ის მარტო არ დარჩეს, როცა საზოგადოებისგან იმედგაცრუებული აღმოჩნდება. სასურველი იქნებოდა, რომ მთელი ქართული სამოქალაქო საზოგადოების ყურადღება გადაერთოს მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებზე იმისთვის, რათა მათ თავი საზოგადოების პასუხისმგებლიან ნაწილად იგრძნონ და მათ, როგორც ქვეყნის მოქალაქეებმა, დაინახონ სამოქალაქო საზოგადოების შემხვედრი ინტერესი და პასუხისმგებლობა. (ინტერპრესნიუსი)

## პეტრე ცისკარიშვილი — საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მახინჯი, მავნებელი პროგრამაა



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის პეტრე ცისკარიშვილის შეფასებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მახინჯი, მავნებელი პროგრამაა, რომელიც არტყამს ეკონომიკას, ბიუჯეტს და საბოლოოდ ჩამოშლის მას.

კრიტიკული პოზიცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებით ცისკარიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის განხილვისას დააფიქსირა. საბიუჯეტო ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსების 96.0 მლნ ლარით გაზრდა, „ჯანმრთელობის საყოველთაო დაცვის“ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით.

– როცა ერთ სულ მოსახლეზე 3000-დოლარიანი ეკონომიკაც არ გვაქვს, შეუძლებელია, ჯანდაცვას ყველას ვუფინანსებდეთ. ხალხი, ვინც ეფექტურად მუშაობს და ბიუჯეტში გადასახადს იხდის, აფინანსებს ჯანდაცვის პროგრამას ყველა დანარჩენისთვის. ასეთი რამ ერთ სულ მოსახლეზე 30-ათას დოლარიან ეკონომიკებშიც კი პრაქტიკულად, შეუძლებელია. ასეთ ქვეყნებში ხალხს კანონით ავალდებულებენ, რომ წავიდნენ და ჯანდაცვის კერძო დაზღვევა შეიძინონ – განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვთ და ხელმოკლედ არ ცხოვრობენ. ამის შემდეგ ვინც დარჩება და სოციალურად დაუცველია, იმას ჯანდაცვის პოლისს სახელმწიფო უფინანსებს. პოლიტიკოსისთვის მომგებიანი არ არის იმ პროგრამაზე უარყოფითად საუბარი, რომელსაც კვლევებით და რეიტინგებით კარგი მაჩვენებელი აქვს და ამომრჩევლის დიდ ნაწილს მოსწონს, მაგრამ ჩვენ ახლავე გეუბნებით, რომ ეს არის მახინჯი, მავნებელი პროგრამა, რომელიც უკვე არტყამს ეკონომიკას, აძვირებს ყველაფერს და აუფასურებს ლარს. მომავალში კი საერთოდ ჩამოშლის ბიუჯეტს და ეკონომიკის კრახი და ძალიან ღრმა რეცესია დადგება. ეს იქნება ამ პროგრამის შედეგი, რადგან მასში თავიდანვე არასწორი დნმ-ია ჩადებული, – განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. (ინტერპრესნიუსი)

**ადრეც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ — „ნაცმოძრაობის“ ასეთ გალაშქრებებს ჯანდაცვის სამინისტრო ადეკვატურად, არგუმენტირებულად არ პასუხობს ხოლმე, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ ეჭვებს აჩენს.**

**რამდენჯერმე „ალიამაც“ სცადა, ჭიაბერაშვილის კრიტიკულ არგუმენტებზე ჯანდაცვის სამინისტროს კომენტარი მოეპოვებინა, თუმცა უშედეგოდ.**

**პატივცემულო სამინისტრო, გამოდით და უპასუხეთ „ნაცმოძრაობას“ — თუ მორიგი ცილისწამებაა, თითი დაუქნიეთ, ციც-თქო, უთხარით, მაგრამ თუ არ არის ცილისწამება... ოოო, ესე იგი ძალიან ცუდად გვაქვს საქმე და ამის გამო ინარჩუნებთ დუმილს.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტში ადეიშვილსაც ხშირად ვხედავდით თავის დროზე, ვახტანგ ბატონო, მაგრამ რა ხეირი, რო?!




– იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ პროკურატურაში გაგზავნილ არაერთ წერილზე ან პასუხი არ იყო, ან იყო ძალიან დაგვიანებით, ან პასუხი იყო არაარსებითი, – ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ მთავარი პროკურორის პოსტზე წარდგენილ ირაკლი შოთაძის მოსმენისას განაცხადა.

დეპუტატის თქმით, ასეთ ვითარებას ბოლო უნდა მოეღოს, რის საფუძველსაც კანონში განხორციელებული ცვლილებები იძლევა.

– მინდა იმედი გამოვთქვა, რომ არა თუ გაძლიერდება, არამედ მკვეთრად გაუმჯობესდება პროკურატურის კომუნიკაცია პარლამენტთან. თვითონ ის ვითარებაც, რომ პროკურატურა უკვე ხდება ანგარიშვალდებული საქართველოს პარლამენტის წინაშე, რაც აქამდე არ იყო, ბუნებრივია, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმიც უფრო ძლიერი იქნება, როგორც კი მთავარ პროკურორს ავირჩევთ. თქვენც მოგიწევთ არც თუ იშვიათად პარლამენტში ყოფნა და ამ თანამშრომლობამ საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოიტანოს, – მიმართა შოთაძეს ვახტანგ ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ჰაიტ, თქვენი შუბა გავხიე, თქვენი!!!



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთი სამხრეთ ოსეთს ყოველთვის დაეხმარება და მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

როგორც „რია ნოვოსტი“ წერს, ამის შესახებ პუტინმა ელჩებისთვის რწმუნებათა სიგელის გადაცემის ცერემონიაზე განაცხადა.

– ამა წლის მარტში რუსეთმა და სამხრეთ ოსეთმა მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმება დადეს. ამის მიზანია თანამშრომლობის ეტაპობრივი გაღრმავება ეკონომიკურ, სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროში, ასევე, თავდაცვის საკითხებში. ოს ხალხს მრავალმხრივ მხარდაჭერას მომავალშიც გავუწევთ, უზრუნველვყოფთ თქვენი რესპუბლიკის უსაფრთხოებას, – განაცხადა პუტინმა. (ინტერპრესნიუსი)

**ეტაპობრივად, სვენებ-სვენებით გაღრმავდება და ჩაღრმავდება თქვენი საფლავებიც, სალახანებო, გახსოვდეთ ეს და უკვე ჩაწყობილია საქმე მთავარ ტარტაროზთან — ვეებერთელა ჩანგლები გელით ორივეს!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ჩვენი არც ერთი მეზობელი არ უქნია ღმერთს, მაგრამ ამ რუსეთთან დიალოგს რა აზრი აქვს, რა მივიღეთ ამდენი დიალოგით?



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, საქართველომ თურქეთთან ის ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს, რაც ამჟამად აქვს, ხოლო რუსეთთან დიალოგი უნდა განაგრძოს.

როგორც აბაშიძემ გადაცემა „20/30“-ში განაცხადა, რუსეთ-თურქეთს შორის არსებული დაპირისპირება შესაძლოა, საქართველოზეც აისახოს, თუმცა ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რომ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს.

– იმედი მაქვს, რუსეთ-თურქეთს შორის დაძაბული ვითარება განიმუხტება, რადგან ეს მდგომარეობა არა მხოლოდ რეგიონს უქმნის საფრთხეს, არამედ საერთაშორისო სტაბილურობას. მეზობელ თურქეთთან უნდა შევინარჩუნოთ ის ურთიერთობა და დინამიკა, რაც გვაქვს და რუსეთთან დიალოგის რეჟიმი უნდა გავაგრძელოთ. რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას გეგმავს, რითაც ბევრი ჩვენი მოქალაქეა დაინტერესებული და არა მგონია, მიმდინარე პროცესებმა ამას ხელი შეუშალოს, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

(რეპორტიორი)

1. ფაშვის წინანი
2. საკლასო ოთახის ინვენტარი
3. ცხენებშებმული ტრანსპორტი
4. ქიმიური ელემენტი
5. ტელეკომპი
6. მოსამსახურე
7. ნორვეგიის დედაქალაქი
8. ხის ჯიში
9. გაუთხოვარი ქალი
10. აზოტშემცველი სასუქი
11. „იმერული ესკიზები“ ბაბუა
12. რეჟისორი ელდარ ...
13. რეჟისორი კვენტინ ...
14. საფარიკაო იარაღი
15. ქალაქი პოლონეთში
16. რეჟისორი რობიკო ...
17. ყველაზე მტკიცე მინერალი
18. ღრმა და ციცაბო ხეობა
19. სამსონი და ...
20. ნიშნავს თვალით უნილავს
21. კამეჩის ნაშიერი
22. მსახიობი ... ფაინსი
23. ფარაონის სამარხი
24. საშხაპე ოთახი
25. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
26. პოეტი ... აბაშიძე
27. ორკორპუსიანი გემი
28. მომღერალი ... სოხაძე
29. ხის მოჭრილი ტანი
30. რუსული ფულის ერთეული
31. დედა ან მამა შვილისთვის
32. ქურციკი, ანუ ...
33. ჰიგიენის საშუალება
34. კუტიურიე ჯორჯო ...
35. რეჟისორი ... პარკერი
36. უკრაინული ცეკვა
37. „რომეო და ჯულიეტა“ პერსონაჟი
38. კონტინენტი
39. მსახიობი ედრიან ...
40. ძაღლის ჯიში
41. ნიკოლოზ (ტატო) ...
42. ჟან-კლოდ ... დამი
43. თენგიზ აბულაძის ფილმი
44. უკრაინის პარლამენტი
45. შეჩერება მუსიკაში
46. მოდელიერი ... ბერგერი
47. ლურჯი ნივთიერ. თეთრეულისათვის
48. იგივეა, რაც მზესუმზირა
49. კაზინოს თანამშრომელი
50. პიპინის შვილიშ. ... ერისთავი
51. მთა ბაკურიანში
52. მსახიობი ... აფლეკი
53. დიამეტრის ნახევარი
54. ქუჩის საფარი მასა
55. კოსინუსი და ...
56. ქიმიაში: კოვალენტური ...
57. გადამდნარი კარაქი
58. იაპონელი თვითმკვლელი
59. ბუდისტი მასწავლებელი
60. დაესმის არსებით სახელს
61. ... იქა, ლხინი აქა
62. კონვიას ფეხსაცმელი
63. ფეხბურთის საერთაშ. ფედერაცია
64. სადაც დოღი იმართება
65. დიდი ნემსი
66. მოუქნელი, მოუხეშავი
67. ... არ გეგონოთ, მეცნიერად ჩამთვალეთ, ცხვირზე მიტომ მიკეთია შავი ფერის სათვალე
68. ხანა, ერა
69. ევროპელ ებრაელთა ენა
70. მომღერალი ... ბურჭულაძე
71. ჩონჩხის მალებიანი ნაწილი
72. მსახიობი ჯენიფერ ...
73. მსახიობი ... პაჩინო
74. მსახიობი ... ჰეპბერნი
75. შინაური რქოსანი პირუტყვი
76. მსახიობი დუეინ ... ჯონსონი
77. ორმტევნიანი ვაზის აჭრილი ტოტი
78. ფრანგული ავტომობილი
79. დანტისტი
80. … ხახვი შემხვდა გარეთა, დავაგლიჯე ფოჩები, გადავრიე „ბოშვები“
81. მოყვითალო ... ვარ, გემოვნებით ტკბილი, გამატყავეს, გამოვედი სტრიპტიზიორი ხილი
82. მულტფილმი „... და ზაქრო“
83. მსახიობი ... მახარაძე
84. ხამი წყალი
85. ფოლგა
86. შტატი აშშ-ში
87. ჯუჯა ჟირაფი
88. მსახიობი ბრიუს ...
89. კბილის დამცავი ფენა
90. ქალაქი ავსტრალიაში
91. ზღვის დიდი კიბორჩხალა
92. სლავური ანბანი
93. ესტონეთის დედაქალაქი
94. ქიმიური ჭურჭელი
95. ინერტული აირი
96. ღრიანკალი
97. რეჟისორი ჯონ ...
98. ექსპრეზიდენტი თეოდორ ...
99. მწერალი ... ჩეხოვი
100. მსახიობი ... ბროსნანი
101. მსახიობი ... სხირტლაძე
102. 3,14
103. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
104. მწერი სამზარეულოში
105. მუსლიმანური მარხვა
106. ადამიანი ხარის თავით (მით.)
107. მდ. ორინოკოს ველი
108. იტალიური ავტომობილი
109. კრისტოფერ რივის გმირი
110. ქეთევან ბაგრატიონ-...
111. მდ. თერგის ხეობა
112. სახელმწიფო აფრიკაში
113. რეპტილია
114. მონარქი
115. მას ჰქონდა ჯადოსნური ლამპარი
116. მეფე არტურის პირველი რაინდი
117. სხვისი ნათქვამი ფრაზა
118. ... ევანჯელისტა
119. მუსიკის მოყვარული
120. მსახიობი ... მაკგრეგორი
121. სოფელი დუშეთის რაიონში
122. მცველი
123. ჯალათის ფიცარნაგი
124. „მაუგლი“ მგელი
125. მერკური ძველქართულად
126. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
127. ზვიგენი მავ ზღვაში
128. მხატვარი ანრი ...
129. ჰიტლერის ცოლი ... ბრაუნი
130. სოციალისტრევოლუციონერი, ანუ ...
131. ჟღერადობა: მაჟორი და ...
132. ... ნელა
133. ... შვარცენეგერი
134. ცეცხლის ენა
135. კოსმოსური ხომალდი
136. რეჟისორი ალფონსო ...
137. მთამსვლელი
138. მწვანილი
139. არბიტრი
140. საყანედ გაჩეხილი ტყე
141. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
142. ფუტკრების სახლი
143. ბოჭკოვანი მცენარე
144. მუზეუმი მადრიდში
145. გამხმარი ხილი
146. სასულე ინსტრუმენტი
147. უეცარი შიში
148. თავის წინა ნაწილი
149. რობინზონის მეგობარი ველური
150. „... ზღვას შუა ძველისძველად“
151. მზის ღმერთი ეგვიპტეში
152. ცომში ამოხვეული ხორცი
153. მდინარე საფრანგეთში
154. ნაბიჯი ბალეტში
155. „სამი მუშკეტერის“ ავტორი
156. ჯუჯა ცხენი
157. ტიბეტური ხარი
158. მომთვინიერებლის შემახილი ცირკში







პასუხები: 1. ხაში; 2. დაფა; 3. ეტლი; 4. იოდი; 5. ანძა; 6. ლაქია; 7. ოსლო; 8. იფანი; 9. შინაბერა; 10. ნიტრატი; 11. ბარნაბა; 12. რიაზანოვი; 13. ტარანტინო; 14. რაპირა; 15. ლოძი; 16. სტურუა; 17. ალმასი; 18. კანიონი; 19. დალილა; 20. მიკრო; 21. ზაქი; 22. რალფ; 23. პირამიდა; 24. აბაზანა; 25. მანათი; 26. ირაკლი; 27. კატამარანი; 28. ირმა; 29. მორი; 30. რუბლი; 31. მშობელი; 32. ნიამორი; 33. საპონი; 34. არმანი; 35. ალან; 36. გოპაკი; 37. მერკური; 38. ამერიკა; 39. ბროუდი; 40. პუდელი; 41. ბარათაშვილი; 42. ვან; 43. „ვედრება“; 44. რადა; 45. პაუზა; 46. ზალიკო; 47. ლილა; 48. ლილიფარა; 49. კრუპიე; 50. აკიმ; 51. კოხტაგორა; 52. ბენ; 53. რადიუსი; 54. ასფალტი; 55. სინუსი; 56. ბმა; 57. ერბო; 58. კამიკაძე; 59. გურუ; 60. ვინ; 61. ჭირი; 62. ქოში; 63. ფიფა; 64. იპოდრომი; 65. მახათი; 66. ტლანქი; 67. ანანასი; 68. ეპოქა; 69. იდიში; 70. პაატა; 71. ხერხემალი; 72. ლოპესი; 73. ალ; 74. ოდრი; 75. ძროხა; 76. როკ; 77. აკიდო; 78. „რენო“; 79. სტომატოლოგი; 80. მანდარინი; 81. ბანანი; 82. შაქრო; 83. კოტე; 84. ხისტი; 85. კილიტა; 86. აიოვა; 87. ოკაპი; 88. ლი; 89. ემალი; 90. მელბურნი; 91. ომარი; 92. კირილიცა; 93. ტალინი; 94. კოლბა; 95. ნეონი; 96. მორიელი; 97. ვუ; 98. რუზველტი; 99. ანტონ; 100. პირს; 101. დუტა; 102. პი; 103. დალაი; 104. ტარაკანი; 105. რამაზანი; 106. მინოტავრი; 107. ლიანოსი; 108. „ფიატი“; 109. სუპერმენი; 110. ორსინი; 111. დარიალი; 112. ნიგერია; 113. კუ; 114. მეფე; 115. ალადინი; 116. ლანსელოტი; 117. ციტატა; 118. ლინდა; 119. მელომანი; 120. ევან; 121. ბარისახო; 122. დარაჯი; 123. ეშაფოტი; 124. აკელა; 125. ოტარიდი; 126. „გარიგება“; 127. კატრანი; 128. მატისი; 129. ევა; 130. ესერი; 131. მინორი; 132. იჩქარე; 133. არნოლდ; 134. ალი; 135. რაკეტა; 136. არაუ; 137. ალპინისტი; 138. კამა; 139. მსაჯი; 140. ახო; 141. სერ; 142. სკა; 143. სელი; 144. პრადო; 145. ჩირი; 146. კლარნეტი; 147. ელდა; 148. სახე; 149. პარასკევა; 150. ორ; 151. რა; 152. ხინკალი; 153. ლო; 154. პა; 155. დიუმა; 156. პონი; 157. იაკი; 158. ალე.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## ბაკურ სვანიძე: განმანათლოთ ეგებ ვინმემ...




ჟურნალისტი ბაკურ სვანიძე სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს:

„ამ დღეებში, ერთ პოსტში მეწერა – პიდარასტებს მაგრად ვეკაიფები-მეთქი! არც აგრესია, არც რამე მსგავსი, უბრალოდ, ვლადაობდი!

ჰოდა, ვხედავ, უცებ შემომივარდა ერთი მდედრობითი „ძერა"! აი, „უფლებადამცველი" მდედრობითი „ძერები" რომ არიან და ვითომ მამრობით ქათმებთან რომ მეგობრობენ ხოლმე...

მეტაკა და რა მეტაკა!!!

„პიდარასტები" კი არაო, „განსხვავებული ორიენტაციაო"! მერეო, როგორ შეიძლება, რომ ეკაიფებიო? ვინ მოგცა მაგის უფლებაო?! ეგ ხომ არაადამიანობააო!!! რატომ მათ უფლებებს არ ითვალისწინებო? შე „შავრაზმელოო"! შე ასეთო და ისეთოო!

კაცო! ვეუბნები, ვეკაიფები, ხომ არ ვტ... ბოდიში – ხომ არ ვკლავ-თქო?

მერე რაო? როგორ შეიძლება, რომ დამდგარხარ და ეკაიფებიო? მაგის უფლება არ გაქვსო! ისინი ადამიანები არიანო და არავის აქვს უფლება, რომ დასცინოსო!

მოკლედ, ბოლო-ბოლო რაც ეკუთვნოდა, ზუსტად ის ვუთხარი და გავუშვი ნარნარად. მაგრამ მთავარი რა არის, იცით? მანამდე მის გვერდზე შევედი, მაინტერესებდა, „ჰუმანისტი" რა მოხელე-ჩიქვანი იყო სინამდვილეში და... ჰოი „საოცრებავ" – მთელი გვერდი სავსე აქვს პატრიარქის უშვერი დაცინვით! მღვდლების აბუჩად აგდებით! ეკლესიაზე კაიფით! და კიდევ უფრო საოცრებავ: გადავხედე ზოგიერთ კომენტარს მის პოსტებზე და რამდენიმე ნორმალური ადამიანი უკომენტარებს: „ეს საზოგადოებისთვის ძალიან ფაქიზი თემებია და ასეთ თემებზე ხუმრობა, ყბისმოქცევა და კაიფი არ შეიძლებაო". და თუ იცით, ეს რას პასუხობს? „აი, მაგაზეც გეტყობათ, რა ბნელები ხართო! მე თავისუფალი ადამიანი ვარო და ჩემთვის მისაღებია კაიფი და ხუმრობა ნებისმიერ თემაზეო!"

გაიგეთ თქვენა?

მე ხომ პიდარასტებზე ხუმრობისთვის გამლანძღა? გამოდის, პიდარასტები არ არის „ნებისმიერი თემა"? ანუ ამ „ძაანთავისუფალი" ტიპშებისთვის მღვდლები არ არიან ადამიანები ხო? ეკლესიას და პატრიარქს არ აქვს უფლებები?

რა ვიცი, აბა, ჩემი გაუნათლებელი ტვინით სხვა დასკვნა ამ ყველაფრიდან ვერ გამოვიტანე და... განმანათლოთ ეგებ ვინმემ..." – წერს სვანიძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## როცა ბავშვს „პარაცეტამოლს" ასმევთ, ეს უნდა გაითვალისწინოთ




ყველაზე ფართო მოხმარების მედიკამენტი „პარაცეტამოლი" ხშირად ყველაზე უსაფრთხო გვგონია და თამამად ვასმევთ ბავშვებსაც. არადა, „პარაცეტამოლთან" დოზების მკაცრი კონტროლი აუცილებელია. საქმე ისაა, რომ გაციების დროს, როცა პაციენტი ერთდროულად მოიხმარს სიცხის დამწევს, ხველის საწინააღმდეგოს და სურდოს მომხსნელ საშუალებებს, შესაძლოა, ყველა მათგანი ცალ-ცალკე შეიცავდეს „პარაცეტამოლს", მშობლები კი ყველაზე ხშირად სწორედ ხველებისა და სურდოს წამლებს ასმევენ ბავშვებს ექიმის დანიშნულების გარეშე. თუ ამ დროს ბავშვს მაღალი სიცხეც აქვს და დამწევად ასევე „პარაცეტამოლს" ვასმევთ, მის ორგანიზმში ეს ნივთიერება უკვე რამდენიმე მედიკამენტის საშუალებით ხვდება, შესაბამისად, დოზის გაკონტროლება რთულდება.

დოზის ასეთმა „უნებლიე" გადაჭარბებამ არაერთი პაციენტი იმსხვერპლა – სასიკვდილო საფრთხეს „პარაცეტამოლი" თირკმელების ბლოკირებით ქმნის.

სპეციალისტები გვირჩევენ, ყურადღებით წავიკითხოთ ყველა მედიკამენტის შემადგენლობა და დოზებიც მკაცრად დავიცვათ. მათივე რჩევით, უმჯობესია, სახლში „პარაცეტამოლის" შემცველი მხოლოდ ერთი მედიკამენტი ვიქონიოთ.

დოზის გადაჭარბების ხშირი შემთხვევების გამო ბრიტანელმა მედიკოსებმა ბავშვებისთვის „პარაცეტამოლის" დოზების შეცვლა მოითხოვეს. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, ყოველ მეოთხე ბავშვს „პარაცეტამოლის" ხშირი მოხმარების გამო თირკმლის დაზიანების რისკი აქვს. (presa.ge)

## კიბოს ნიშნები და სიმპტომები – როგორ მივხვდეთ, რომ საფრთხის წინაშე ვართ



ნიშანი და სიმპტომი – ორივე ავადმყოფობის სიგნალია, რომელიც არ უნდა უგულებელვყოთ. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმში ყველაფერი რიგზე არაა და ექიმთან ვიზიტია საჭირო.

კიბო ისეთი დაავადებაა, რომ თითქმის ყველანაირი სიმპტომი შეიძლება ახლდეს. ნიშნები და სიმპტომები იმაზეა დამოკიდებული, თუ სხეულის რა ნაწილშია კიბო, რამდენად დიდია მისი ზომა და რამდენად ძლიერ ეფექტს ახდენს ორგანოებსა თუ ქსოვილებზე. ამასთანავე, თუ უკვე გავრცელებულია მეტასტაზები, სიმპტომები სხეულის სხვადასხვა ნაწილში ჩნდება. როდესაც კიბო იზრდება, დარტყმა ახლომდებარე ორგანოებს, სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას აქვს. თუ კიბო კრიტიკულ არეშია, მაგალითად, ტვინის გარკვეულ ნაწილზე, ყველაზე პატარა ზომის სიმსივნეც კი სიმპტომებს გამოიწვევს. თუმცა, ზოგჯერ კიბო ისე მიმდინარეობს, რომ პაციენტი სიმპტომებს ვერ გრძნობს. მაგალითად, პანკრეასის ჯირკვლის კიბო.

აუცილებლად უნდა იცოდეთ კიბოს ძირითადი სიმპტომები. თუმცა, თუ რომელიმე მათგანი აღმოგაჩნდათ, არ ნიშნავს, რომ კიბო გჭირთ. თუ მსგავსი სიმპტომები დიდხანს გრძელდება, ექიმთან ვიზიტია საჭირო.

წონაში დაკლება: ბევრი ადამიანი, ვინც კიბოთია დაავადებული, წონაში იკლებს. როდესაც კილოგრამებს სრულიად უმიზეზოდ კარგავთ, ამას ვერ ხსნიან. თუ სრულიად მოულოდნელად 5 კილოზე მეტი დაიკელით, ექიმთან ვიზიტია საჭირო. ძირითადად წონაში საგრძნობლად იკლებენ პაციენტები, რომელთაც პანკრეასის, კუჭის, საყლაპავი მილის, ან ფილტვების კიბო აქვთ.

ციებ-ცხელება: ეს სიმპტომი ძირითადად მაშინ ჩნდება, როდესაც კიბო ორგანიზმში ვრცელდება. კიბოთი დაავადებული პაციენტების დიდ ნაწილს აღენიშნებათ ციებ-ცხელება, განსაკუთრებით მაშინ, თუ კიბო, ან მისი მკურნალობა გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე. არც თუ ისე ხშირად ციებ-ცხელება შესაძლოა, ლეიკემიის, ან ლიმფომას საწყისი ნიშანი იყოს.

დაღლა: თუ თავს სუსტად გრძნობთ და ადვილად იღლებით, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

ტკივილი: ტკივილი შესაძლოა, ადრეული სიმპტომები იყოს ისეთი ტიპის კიბოსი, როგორიცაა ძვლის ან სათესლე ჯირკვლების. ძლიერი თავის ტკივილი, რომელსაც გარკვეული ღონისძიების შემდეგაც კი ვერ იყუჩებთ, შესაძლოა, ტვინის სიმსივნის ნიშანი იყოს. ზურგის ტკივილი შესაძლოა, მსხვილი ნაწლავის, სწორი ნაწლავის, ან საკვერცხეების კიბოს სიმპტომი იყოს. ამასთანავე, ტკივილი ხშირად იმას ნიშნავს, რომ კიბოს ორგანიზმში მეტასტაზები აქვს.

კანის ცვლილება: კიბოს შემთხვევაში ზოგჯერ კანის ფერს იცვლის. მუქი ფერის კანი (ჰიპერპიგმენტაცია), მოყვითალო კანი და თვალები (სიყვითლე), გაწითლებული კანი (ერითომატოზული), ქავილი, ჭარბი დოზით თმის ზრდა. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იმის მიუხედავად, რომ ძლიერი საველე მეთაურები პანკისის ხეობიდან არიან, მუქარები ქისტების მხრიდან არ ყოფილა"



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო ISIS-ის სახელით გავრცელებულ ვიდეომიმართვაზე. თუმცა, არის თუ არა საქართველოს მხრიდან დამატებითი უსაფრთხოების ზომები მიღებული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არ აკონკრეტებენ.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის მიმართ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" სახელით ე.წ. მებრძოლების ვიდეომიმართვა გავრცელდა. ქართულ ენაზე მოსაუბრე პირები ქართველ მუსლიმანებს „ისლამური ხალიფატის" მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ, საქართველოს კი „ხალიფატის" შემოსვლით ემუქრებიან.

ერთი მებრძოლი აჭარაში მცხოვრებ მუსლიმან სასულიერო წინამძღოლებს ემუქრება:

„დღეს აჭარაში არიან ისლამის წინამძღოლი ე.წ. ხოჯები და მუფთები. თქვენ დიდი ცოდვა გადევთ კისერზე, რადგან მაგ უბრალო ადამიანებს, რომლებმაც ისლამი არ იციან, თქვენი ლამაზი სიტყვებით უბნევთ გზას, ცდომილებას აჩვენებთ ჭეშმარიტებად, ჭეშმარიტებას კი აჩვენებთ ცდომილებად. თქვენ თვითონ არ ხართ მუსლიმანები, თქვენ თვითონ ხართ ტაჰუტის თაყვანისმცემლები და ეგ ხალხი თქვენს ნაკვალევს მიჰყვება. ნუთუ არ შეგეშინდებათ ალაჰის, რომელმაც ერთი წვეთი სისხლისგან გაგაჩინათ. მოკვდებით და წარდგებით მის წინაშე. ყოველი თქვენი ნამოქმედარის გამო პასუხისგება მოგიწევთ ალაჰის წინაშე. გეშინოდეთ ალაჰის, ნუ გეშინიათ ბინძური წინამძღოლების, ნუ გეშინიათ მათი ბრძანებების, რომლებსაც თქვენ უყოყმანოდ ასრულებთ", – აცხადებენ მებრძოლები.

„ისლამური სახელმწიფოს" სახელით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ერთ-ერთი მებრძოლი ხვიჩა გობაძეა. როგორც მისი მამა, ილია გობაძე აცხადებს, მისი შვილი, მეგობრებთან ერთად, დაახლოებით ორი თვის წინ სამუშაოდ თურქეთში წავიდა. როგორც თავად ამბობს, მისთვის უცნობია, ამჟამად სად იმყოფება მისი შვილი, თუმცა ამბობს, რომ მისი შვილი ფუნდამენტური ისლამის მიმდევარია.

„ასეთი ვიდეომიმართვის გავრცელებით მხოლოდ პანიკას თესავენ, რომ ხალხი შეაშინონ. არავინ არ მოვა და არ აგვაფეთქებს. საქართველოს სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს ხუთი კაცის მუქარის, რადგან ამერიკა ჰყავს მხარდამჭერი, რუსეთი კი მისი მეზობელია. ტერორიზმი არის ძალადობა, კაცის მოკვლა არ შეიძლება, მაგრამ მუსლიმანს ღმერთმა მისცა უფლება, თუ გებრძვიან შენი რელიგიის, ქონებისა და სამშობლოს გამო, შეგიძლია, იბრძოლო. ჩვენ არ გვებრძვიან, მაგრამ აგერ მეჩეთს არ გვაშენებინებენ, ღორის თავი მიაკრეს სამლოცველოს. ეს არ ამართლებს ჩემი შვილის გადაწყვეტილებას, მაგრამ მე ვამბობ ჩემს სატკივარს", – ამბობს ილია გობაძე.

როგორც ირკვევა, კიდევ ერთ-ერთი მოქმედი პირი, ბადრი ირემაძეც სექტემბერში წავიდა თურქეთში. წასვლის წინ დედას წერილი დაუტოვა. როგორც მედეა ირემაძე აცხადებს, მისი შვილი აფიქსირებდა მუსლიმანურ ქვეყანაში ცხოვრების სურვილს.

„ქართველ მუსლიმანთა კავშირის" ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე ამბობს, რომ „ისლამური სახელმწიფოს" სახელით გავრცელებულ ვიდეოში ოსტატურად არის გამოყენებული ყურანის ციტატები, საიდანაც სათავისო ინტერპრეტაციებია გაკეთებული და ძალადობისკენ მოწოდებებია. მისივე განმარტებით, მუსლიმანი მრევლის წინამძღვრები უნდა შეეცადონ, აღნიშნული ციტატების განმარტებას და მრევლისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას.

„დღეს არის დრო, როცა მუსლიმანი მრევლის წინამძღვრები მაქსიმალურ დროს უნდა ატარებდნენ თავიანთ მრევლთან და სწორად აწვდიდნენ ინფორმაციას ისლამის შესახებ, რათა ასეთმა მიმართვებმა არ მოახდინოს ზემოქმედება მრევლზე. ხშირად მითქვამს, რომ, შედეგების გარდა, უნდა ვისაუბროთ მიზეზებზე. საიდან წარმოიშვა, რატომ მიდიან სირიაში, რამ უბიძგათ ასეთი ქმედებებისკენ და სხვა. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა აამოქმედოს სამართლებრივი ზომები და რაც მთავარია, უნდა იყოს ფხიზლად", – აცხადებს ნაკაიძე.

კავკასიოლოგი ალეკო კვახაძე აცხადებს, რომ ვიდეოს გამავრცელებლების მიზანია, დააფიქსირონ, რომ ქართველ საზოგადოებაშიც არსებობენ პირები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში სურთ, აწარმოონ ჯიჰადი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„ეს ადამიანები ცდილობენ, რომ გარკვეული ზეწოლა მოახდინონ საქართველოს სახელმწიფოზე და მიაღწიონ იმას, რომ მათი შიშით ქართულმა სახელმწიფომ აღარ დაბლოკოს კონტაქტები საქართველოს მუსლიმან მოქალაქეებთან, რომ აწარმოონ რადიკალური იდეების ქადაგება. რა თქმა უნდა, ტერორიზმის საფრთხე არსებობს, მაგრამ ჩვენ არ უნდა გადავაჭარბოთ რეალურ საფრთხეს.

საქართველოში არ არის ისეთი სოციალური ბაზა, რომელიც გამოიწვევს ტერორიზმში მასიურ ჩართვას, როგორც საფრანგეთში ან ბელგიაში, სადაც არის არაბული უბნები და ხშირ შემთხვევაში პოლიცია ვერ შედის. საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ითვლება კრიმინალის პრევენციის თვალსაზრისით, მაგრამ კრიმინალისა და ტერორიზმის პრევენცია სხვადასხვა რამ არის", – აცხადებს ალეკო კვახაძე.

მისივე ინფორმაციით, რადიკალთა უმეტესობა უკვე გასულია საქართველოდან, ისინი იმყოფებიან სირიასა და ერაყში, მაგრამ ეს არ იძლევა მოდუნების საშუალებას.

„დღეს უკვე გაადვილდა ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედება, მათ უფრო ადვილად შეუძლიათ ერთმანეთთან შეკავშირება. ამიტომ, ქართულმა სახელმწიფომ აღრიცხვაზე უნდა აიყვანოს ის პირები, რომლებსაც კონტაქტი აქვთ სირიაში მყოფ პირებთან. უნდა აღიკვეთოს ყველა შესაძლო კონტაქტი მათ იდეოლოგებთან და სხვა ქართველ მუსლიმანებთან, რომ არ მოხდეს მათი რადიკალური იდეების გავრცელება", – ამბობს კვახაძე.

ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი საქართველოში მექა ხანგოშვილი არ გამორიცხავს, რომ „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებს იდეოლოგები ჰყავდეთ საქართველოში. თუმცა, თვლის, რომ ვიდეოს გავრცელება მიზნად ისახავს პანიკის შექმნას და საზოგადოების დაშინებას.

„არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეს პანიკის შექმნის მცდელობაა, ვიდრე რეალური მუქარა. ეს არ გამორიცხავს საფრთხის არსებობას, საფრთხე რეალურია. ქისტების პოზიციიდან შემიძლია ვთქვა, რომ თავს უფრო გამართულად ვგრძნობ. იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ ძლიერი საველე მეთაურები პანკისის ხეობიდან არიან, ასეთი მუქარები ქისტების მხრიდან არ ყოფილა, რაც ძალიან მამშვიდებს", – აცხადებს მექა ხანგოშვილი. (for.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**თბილისის ბიუჯეტზე უკვე არაერთხელ ვწერდით, მაგრამ გზა და გზა საინტერესო ინფორმაციები მაინც ჩნდება.**

**რა მოიფიქრა თბილისის მერიამ 2015 წლის ბიუჯეტის ასათვისებელი ხარჯების გასანიავებლად? რა ტენდერები გამოაცხადა და რაში ხარჯავს ფულს?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– ახლა ძალიან საინტერესო ინფორმაციები მოვიპოვეთ და ეს თბილისელებმაც უნდა იცოდნენ. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების ათვისებაზე პრობლემებია, ამაზე ყველამ კარგად იცის და თავად თბილისის მერიის წარმომადგენლებიც კი არ მალავენ და ვერც დამალავენ, ვინაიდან წლის ბოლოა და მოუწევთ ნაშთის გადატანა 2016 წლის ბიუჯეტში.

თბილისის მერიას, გარკვეული „გამოსავალი“ მოუძებნია – როგორ უნდა აითვისოს ამ წლის ბიუჯეტი და რამდენიმე ტრაგიკომიკური ტენდერი გამოუცხადებია.

მერიამ, ორ ლოტზე გამოაცხადა ტენდერები – ერთი არის 59 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო მეორე 344 ათასი ლარის ღირებულების. ჯამში, საუბარია ნახევარ მილიონამდე ლარზე.

ამ ნახევარი მილიონით ქალაქის მერია აპირებს მომავალი წლისთვის, წინასწარ შეიძინოს, როგორ სასაცილოდაც არ უნდა მოგვეჩვენოს, კუბოები. თუმცა, ეს უკვე სასაცილოც აღარ არის... სამწუხაროა, ასევე, ისიც, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში წერია ისეთი რამ, რაც ძალიან დამთრგუნველია. დედაქალაქის მერიას 2016 წლისთვის 1 წლამდე ახალშობილებისთვის სჭირდება – 19 ცალი კუბო; 1 წლიდან 7 წლამდე ბავშვებისთვის – 20 ცალი; მოზრდილი ადამიანისთვის, ანუ 7 წლიდან ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის – 1674 ცალი კუბო;

ეს არის სამარცხვინო რამ, იმიტომ, რომ ცოცხალი ადამიანებისთვის ყიდულობენ კუბოებს და ისეთ ამორალურ რამესაც კი წერენ, რომ თურმე მომავალ წელს 1 წლამდე 19 ბავშვის კუბო დასჭირდებათ და ა.შ.

— **და ეს როგორ გამოთვალეს, რომ მაინცდამაინც ამდენი კუბო სჭირდებათ?**

– არ ვიცი, გაუგებარია. ალბათ, პრინციპი არის ის, რომ იციან, მათი უმოქმედობის გამო, კიდევ უფრო გაუჭირდებათ სოციალურად დაუცველებს, ვერ მოხერხდება მათი მედიკამენტებითა და კვებით უზრუნველყოფა და ბევრი ადამიანი შეეწირება ამას. სამარცხვინოა ისიც, რომ შავით თეთრზე წერია, ეს ყველაფერი სოციალურად დაუცველთათვის არის გამიზნულიო. წარმოგიდგენიათ, ამ ნახევარი მილიონით რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანის გადარჩენა შეიძლება? – მისთვის მედიკამენტების ყიდვით, ლუკმაპურის მიწოდებით?! სამარცხვინოა, რომ თურმე ამდენი ადამიანი უნდა მოკვდეს, რომ მათი მომავალი წლის გეგმა შეასრულონ, თირემ ისე ვერ შეასრულებენ მათ გეგმას.

— **მეორე ტენდერი რაზეა გამოცხადებული?**

– გადაწყვეტილი აქვთ, რომ შეიძინონ ინტერნეტპროგრამული პაკეტი, რომელიც დაუჯდებათ 344 ათასი ლარი. რა პაკეტია ასეთი, არ ვიცი... ბევრი რამ გამიგია, მაგრამ ასეთი ძვირი არც ერთი არ ღირს. ალბათ, რაღაც ახალს იგონებენ და მალე „ნარმანია იქს პის“ გამოიგონებენ. ან, საერთოდ, რაში სჭირდებათ ეს პროგრამები, როცა ელემენტარულ პროგრამებშიც კი ვერ ერკვევიან და ის ვერ გაურკვევიათ, ელემენტარული განცხადება თუ ხელშეკრულება როგორ უნდა მოამზადონ. ამის მერე რა პროგრამებს ყიდულობენ, წერა-კითხვა ისწავლონ ჯერ.

ასევე, აპირებენ ციფრული სტანდარტის ხელის რადიოსადგურის რაღაც მოწყობილობის ყიდვას, რაშიც დაახლოებით 27 ათას 500 ლარის გადახდას აპირებენ. ადრე რომ ვსაუბრობდით, 100 ათასობით ლარს რომ იხდიდნენ ვითომ კლიპების გადაღებაში, აი, ამ ტენდენციის გაგრძელებაა ესეც. მგონი, მერია კინოსტუდიად უნდათ, რომ გადააქციონ და გვიმალავენ...

ამავდროულად, აპირებენ 29 ათასი ლარის გადამცემი რაციების ყიდვას, ალბათ, უსაფრთხოების სამსახურისთვის და ამავე უსაფრთხოების სამსახურისთვის აპირებენ 52 ათასი ლარის „საროჩკების“ ყიდვას.

რა მინდა გაგახსენოთ, იცით? – ეს ის დაცვის სამსახურია, რომელსაც ეს მთავრობა საშინლად აკრიტიკებდა. ტანსაცმელს იხევდნენ – უგულავამ თავისი დაცვის სამსახური შექმნა „ზონდერჯგუფებისთვის“ და რად უნდა, მერიას ეს სამსახური, როცა სახელმწიფო დაცვის სამსახური არსებობსო. ახლა, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ, აღარ გააუქმეს ეს სამსახური, პირიქით, ბიუჯეტიც გაუზარდეს და დღეს მათი „საროჩკები“ და რაციები 100 ათასი ლარი გვიჯდება. უკაცრავად და დღეს ვის იცავენ – ნარმანიას?!

— **არ არის დასაცავი?**

– პრინციპში, მართალი ხართ, დასაცავია, აბა, რა არის, უნდა დაიცვან, გამწარებულმა ხალხმა, სადმე რომ გაივლის, თავი არ გაუხეთქოს. განა რამდენი თანამშრომელი ჰყავთ, რომ 52 ათასი ლარის ტანსაცმელი სჭირდებათ, ამ თანხით ბატალიონს ჩააცმევ კაცი. მაგრამ ოღონდაც ეს თანხა დახარჯონ და კუბოებსა და მარაზმებს ყიდულობენ, ოღონდაც ვინმეს არ ათქმევინონ, ბიუჯეტი ვერ აითვისესო.

ამასთანავე, ქალაქის მერია ყიდულობს 9 ათასი ლარის მინერალურ, გაზიან წყალს. პირი უშრება ხოლმე საუბრისას ნარმანიას, სისულელეებს რომ საუბრობს და პირი რომ არ გამოუშრეს, ამიტომაც ყიდულობენ ამ 9 ათასი ლარის გაზირებულ და არაგაზირებულ წყლებს.

კიდევ ერთი დეტალი – „რუსთავი 2“-მა, გულსაბნევები რომ გაიკეთა, „რუსთავი 2 ჩემია“, ეტყობა, მიმზიდველ ინოვაციად მიიჩნიეს და მათაც მოუნდათ მსგავსი გულსაბნევები. მერიის თანამშრომლებმა ეს მერიის გულსაბნევები რომ დაიკიდონ, გამოყვეს ამისთვის 4 ათასი ლარი და 50 ასეთი გულსაბნევი უნდა იყიდონ. ეს 4 000 რომ გავყოთ 50-ზე, გამოდის, რომ 80 ლარი უჯდებათ ერთი გულსაბნევი და რა ხდება? რაშია საქმე? ერთი გულსაბნევი 1 ლარი და 20 თეთრად შეიძლება დაბეჭდონ. 80-ლარიანს რას ბეჭდავენ ასეთს, გაუგებარია.

— **მერიას 50-ზე ბევრად მეტი თანამშრომელი ჰყავს და ეს 50 გულსაბნევი რამდენს ეყოფათ? რა წერია სატენდერო დოკუმენტაციის მიზნობრიობაში, ვისთვისაა ეს?**

– ალბათ, გამგებლები, მერები და ა.შ... მიზნობრიობა არ არის განსაზღვრული დოკუმენტაციაში.

კიდევ ერთი დეტალი – მერიებს ხომ აქვთ სამეთვალყურეო კამერები, მათი პროგრამები უნდა განაახლონ და ეს 34 ათასი ლარი უჯდებათ.

ეს ყველაფერი, რაც ჩამოვთვალეთ, დაახლოებით 2 მილიონი ლარია. სამწუხაროდ, ასე უკუღმა რეაგირებს თბილისის მერია ხალხის გაჭირვებაზე და სოციალურ პრობლემებზე.

ლევან ხაბეიშვილთან საუბრის შემდეგ თბილისის მერიის პრესსამსახურთან დაკავშირება ვცადეთ. კითხვები გამოცხადებული ტენდერების მიზნობრიობასა და აუცილებლობაზე გვქონდა. მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ნონა ყანდიაშვილმა ჩვენს სატელეფონო ზარს ამჯერადაც არ უპასუხა.

**ნარმანია, სადაც ვიწროა იქ გაწყდეს, რა გადარდებს ბიუჯეტის დახარჯვაზე? უსაქმურებით გყავს მერია სავსე და გამოუწერე პრემია-დანამატები, ჯერაც არ გაგიკეთებია?**

# ნარმანია 1714 კუბოს ყიდულობს

## მათ შორის 1 და 7 წლამდე ბავშვებისთვის





**„ალბათ, პრინციპი არის ის, რომ იციან, მათი უმოქმედობის გამო, კიდევ უფრო გაუჭირდებათ სოციალურად დაუცველებს, ვერ მოხერხდება მათი მედიკამენტებითა და კვებით უზრუნველყოფა და ბევრი ადამიანი შეეწირება ამას. სამარცხვინოა ისიც, რომ შავით თეთრზე წერია, ეს ყველაფერი სოციალურად დაუცველთათვის არის გამიზნულიო. წარმოგიდგენიათ, ამ ნახევარი მილიონით რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანის გადარჩენა შეიძლება?“**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 5 საბავშვო ბაღი დააჯარიმა




სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გადამოწმებისას, რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო, 400 ლარით ხუთი საბავშვო ბაღი დააჯარიმა.

უწყების ინფორმაციით, მიმდინარე წლის ნოემბერში 290 ინსპექტირება ჩატარდა (გეგმური – 40 საბავშვო ბაგა-ბაღსა და 4 სკოლაში, არაგეგმური – 2 სკოლაში, გადამოწმდა 213 საბავშვო ბაგა-ბაღი და 31 სკოლის ბუფეტი).

გადამოწმებისას რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო 400 ლარით ხუთი საბავშვო ბაღი დაჯარიმდა.

„ინსპექტირებისას კრიტიკული შეუსაბამობები არ გამოვლენილა და, შესაბამისად, არც ერთი საბავშვო ბაღის კვების ბლოკსა და სკოლის ბუფეტს საწარმოო პროცესი არ შეჩერებია. ძირითადად, დარღვევები გამოიხატა შემდეგში – ჭურჭლის გასარეცხი და ხელსაბანი ნიჟარების არასაკმარისი რაოდენობა, ცხელი წყლისა და შესაბამისი ჰიგიენური საშუალებების, სათანადო ვენტილაციის, დეზობარიერების, მწერებისგან დამცავი ბადის არარსებობა, დამცავი ტანისამოსის არქონა და ა.შ. აღნიშნული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით, ბიზნესოპერატორებს მიეცათ რეკომენდაციები და ვადები, რის შემდეგაც სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები გადამოწმებას განახორციელებენ“, – აცხადებენ სააგენტოში. (kvira.ge)

## „საქართველოში შესაძლოა, მუსლიმანი ლიდერების წინააღმდეგ ტერაქტები განხორციელდეს“



„საქართველოსთვის გარკვეული ტერორისტული საფრთხე არსებობს“, – განცხადება ამის შესახებ პოლიტოლოგმა მამუკა არეშიძემ გააკეთა. ექსპერტი ვარაუდობს, რომ საქართველოში შესაძლოა, ტერორისტული თავდასხმა ტრადიციული ისლამის მიმდევარ რელიგიურ წინამძღოლებზე განხორციელდეს.

„თუ ჩვენ გარკვეულ პარალელს გავავლებთ ჩრდილოეთ კავკასიასთან და 90-იან წლებს გავიხსენებთ, როდესაც იქ სალაფიტურმა ისლამმა დაიწყო ფეხის მოკიდება, მისი მთავარი სამიზნე ადგილობრივი ტრადიციული ისლამის მიმდევარი სულიერი ლიდერები გახდნენ. 90-იანი წლების დასაწყისსა და შუა წლებში მათი მასობრივი დახოცვა დაიწყო. ისლამისტების მთავარი მტერი ტრადიციული ისლამისტები არიან. არ გამოვრიცხავ, რომ მუსლიმანი ლიდერების წინააღმდეგ საქართველოში ტერაქტები განხორციელდეს. საქართველოში ტერაქტების განხორციელების შემთხვევაში, მუსლიმანი ლიდერების გარდა, თავდასხმის ობიექტები შესაძლოა, უცხოური წარმომადგენლობები გახდნენ. ისლამური ხალიფატის მესვეურთა პოზიციის მიხედვით, ჩვენ „ხალიფატის ტერიტორიაზე ვცხოვრობთ“, სადაც, მათი აზრით, ხალიფატის წესები უნდა გავრცელდეს“, – განაცხადა არეშიძემ. (kvira.ge)



1. მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა
2. ბალახი
3. ბიბლიური მთა
4. მეფის საყვარელი
5. საქონლის საკვები
6. დიზაინერი ჯორჯო ...
7. ქრისტიანთა წმინდა თასი
8. აორტის ანთება
9. ბილიარდის ჯოხი
10. პორტუგალიის დედაქალაქი
11. გვარში დასმული მძიმე
12. მომღერალი ... კუტუნიო
13. ფეხბურთელი ანდრეს ...
14. მსახიობი ედვარდ ...
15. იკაროსის მამა, რომელ-მაც ცვილის ფრთები დაამზადა
16. 1000მლ
17. სამაგიდო თემაში
18. პოეტი ... ასათიანი
19. სურდო
20. მწერალი თეოდორ ...
21. პოეტი შარლ ...
22. დაბა ოზურგეთის რაიონში
23. პოეტი ... ტაბიძე
24. სახლის გადასახურავი კერამიკა
25. ბუკმეკერი, ანუ ...
26. კუდიანი ამფიბია
27. აუქციონზე გატანილი ნივთი
28. ცეცხლგამძლე კარადა
29. მოსყვადების ტექნიკა
30. ჯალათის ფიცარნაგი
31. მსახიობი ... პაჩინო
32. მსახიობი ... სუინტონი
33. მსახიობი ... გარდნერი
34. ერთგვარი ოთხ-თვალა
35. გულის მთავარი სისხლძარღვი
36. იტალიელი მხატვარი
37. რუსული ავტომობილი
38. მწერალი ... გამსახურდია
39. რეჟისორი ლარს ... ტრიერი
40. ჯამის ფორმის სასმისი
41. მომღერალი ... გოგუაძე
42. რეფერი
43. „არგოს“ კაპიტანი
44. მსახიობი მერილინ ...
45. რეჟისორი ... ჰოვარდი
46. ლონდონის ცენტრი
47. ყაჩაღი ილია ჭავჭავაძის პოემაში
48. მსახიობი ... ქავჟარაძე
49. ეკვადორის დედაქალაქი
50. პატრუქიანი თოფი
51. ბერძნული ცეკვა
52. უკანონოდ მონადირე
53. მწერალი მაქსიმ ...
54. კენიის დედაქალაქი
55. ქალაქი რუსეთში
56. მახრჩობელა გველი ამაზონში
57. მხ/ფ „მაცივარში ვილაც ...“
58. კვლევა თითის ანაბეჭდებით
59. სვირინგი
60. რეჟისორი ... მჭედლიძე
61. 1000კგ
62. გამოსამარგლი ბალახი
63. თმის შეჭრის ფასონი
64. ქალაქი პოლონეთში
65. ყვავილი
66. ნავთობმზიდი გემი
67. სტადიონი ერევანში
68. სამანიშვილების სიძე
69. პაულო კოელიოს ნოველა
70. გამჭოლი ქარი
71. მწერალი ... ბრაუნი
72. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
73. აღმოსავლური საჭმელი
74. მანგუსტი კიპლინგის მოთხრობაში
75. ის, ვისაც დაბადების დღე აქვს
76. რძის პროდუქტი
77. სიმინდის ყვავილედი
78. მსახიობი ... სმოქტუნოვსკი
79. მწერალი ... კიზი
80. მხ/ფ „... შემოდგომისა“
81. მსახიობი ნიკ ...
82. მუსიკალ. ვიდეორგოლი
83. სწავლის ... მწარე არის
84. ზღვის ღმერთი ბერძ.მით.
85. „დათა თუთაშხია“ მედუქნის გოგო
86. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
87. მსახიობი ... პიტი
88. მდინარე სამხ. ამერიკაში
89. დანიის დედაქალაქი
90. ცეცხლის ენა
91. მისი დედაქალაქია რაბატი
92. არქიტექტურული სტილი
93. ... სეზისკვერაძე
94. მსახიობი ... კერტისი
95. ... დაკიდებული ბაღები
96. ტყემლის სახელებელი
97. გამარჯვების ქალღმერთი
98. ჟან-კლოდ ... დამი
99. მწერალი ვიტალი ...
100. ნეპალის დედაქალაქი
101. მომღერალი ... პავლიაშვილი
102. ბენზინიანი ჭურვი
103. „გრაფი ... კრისტო“
104. იტალიური ღვეზელი
105. ინდიელების ნავი
106. ვაჭრობის მფარველი ღმერთი
107. იაპონური თეატრი
108. დაკოდილი ცხენი
109. მხ/ფ „ქალაქი ...“
110. სახელმწიფო ევროპაში
111. მშობიარობის დამხმარე
112. ტაძარი ქუთაისში
113. ჩოგბურთელი ... სამპრასი
114. ინერტული აირი
115. მხ/ფ „... წყნეთელი“
116. ... ბეარზოტი
117. დიდი საჯარისო შენაერთი
118. სასროლეთი
119. ზღვა შუა აზიაში, რომელიც შრება
120. შებოლილი ხორცი
121. დედამიწის გუმბათი
122. რკინის დამტვრეული ნივთები
123. ნიშნავს საწინააღმდეგოს
124. მსახიობი ... თურმანი
125. ... მტრობას დაუნგრევია
126. კვახი
127. ხორბლის ღერები
128. იტალიელი კომპოზიტორი
129. მსახიობი ... გარსია
130. ტროპიკული ბუზი
131. ვულკანი სიცილიაზე
132. მეტყველების ორგანო
133. ...-დე-ჟანეირო
134. მსახ. ... ამირანაშვილი
135. მწერი
136. თურქეთის დედაქალაქი
137. მსახიობი ... ბროუდი
138. საბჭოთა თვითმფრინავ. მარკა
139. შარდის ბუშტის ანთება
140. ნიშნავს ქვას
141. ციტრუსი
142. მსახიობი ... ბროსნანი
143. მსახიობი ... ასანტე
144. ესპანელი მხატვარი
145. მწერალი ... ჭავჭავაძე

პასუხები: 1. მარჯანი; 2. კოინდარი; 3. არარატი; 4. ფავორიტი; 5. სილოსი; 6. არმანი; 7. გრაალი; 8. აორტიტი; 9. კიი; 10. ლისაბონი; 11. აპოსტროფი; 12. ტოტო; 13. ინიესტა; 14. ნორტონი; 15. დედალოსი; 16. ლიტრი; 17. დომინო; 18. ლადო; 19. რინიტი; 20. დრაიზერი; 21. ბოდლერი; 22. ლაითური; 23. გალაკტიონ; 24. კრამიტი; 25. ტოტალიზატორი; 26. ტრიტონი; 27. ლოტი; 28. სეიფი; 29. ნიელო; 30. ეშაფოტი; 31. ალ; 32. ტილდა; 33. ავა; 34. ტარანტასი; 35. აორტა; 36. ტინტორეტო; 37. „ნივა“; 38. კონსტანტინე; 39. ფონ; 40. ფიალა; 41. თამთა; 42. მსაჯი; 43. იაზონი; 44. მონრო; 45. რონ; 46. სიტი; 47. კაკო; 48. ლიკა; 49. კიტო; 50. არკებუზი; 51. „სირტაკი“; 52. ბრაკონიერი; 53. გორკი; 54. ნაირობი; 55. რიაზანი; 56. ანაკონდა; 57. იჯდა; 58. დაქტილოსკოპია; 59. ტატუ; 60. ნანა; 61. ტონა; 62. სარეველა; 63. კარე; 64. კრაკოვი; 65. ენძელა; 66. ტანკერი; 67. რაზდანი; 68. კირილე; 69. „ალქიმიკოსი“; 70. ორპირი; 71. დენ; 72. ომეგა; 73. ქაბაბი; 74. რიკი-ტიკი-ტავი; 75. იუბილარი; 76. კარაქი; 79. კენ; 80. მზე; 81. ნოლტი; 82. კლიპი; 83. ძირი; 84. პოსეიდონი; 85. კიკუ; 86. დევი; 87. ბრედ; 88. ორინოკო; 89. კოპენჰაგენი; 90. ალი; 91. მაროკო; 92. როკოკო; 93. ნეკა; 94. ტონი; 95. სემირამიდას; 96. ომბალო; 97. ნიკე; 98. ვან; 99. ბიანკი; 100. სოსო; 102. ნაპალმი; 103. მონტე; 104. პიცა; 105. კანოე; 106. ჰერმესი; 107. ნო; 108. იაბო; 109. ანარა; 110. დანია; 111. მეანი; 112. ბაგრატი; 113. პიტ; 114. ნეონი; 115. მაია; 116. ენცო; 117. არმია; 118. ტირი; 119. არალი; 120. ლორი; 121. ცა; 122. ჯართი; 123. ანტი; 124. უმა; 125. რაც; 126. გოგრა; 127. ნამჯა; 128. დონიცეტი; 129. ენდი; 130. ცეცე; 131. ეტნა; 132. ენა; 133. რიო; 134. ამირან; 135. კალია; 136. ანკარა; 137. ედრიან; 138. „ილ“; 139. ცისტიტი; 140. ლითი; 141. მანდარინი; 142. პირს; 143. არმან; 144. გოია; 145. ილია. იკითხება: ჯონ ტრავოლტა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## 10 უპატიებელი შეცდომა, რომლითაც კარიერას გაინადგურებთ



კვლევის თანახმად, სიმტკიცე, კომუნიკაბელურობა და უზადო გარეგნობა ლიდერის 3 ძირითად თვისებად დასახელდა. რა თქმა უნდა, სხვა დადებითი თვისებების ფლობაც არ გაწყენთ, მაგრამ როგორ უნდა აჩვენოთ ხალხს, რომ თქვენ ლიდერი ხართ? პირველ რიგში, აუცილებელია, ყველა დაარწმუნოთ, რომ შეუცვლელი ხართ. შემდეგ კი გაითვალისწინოთ და არ დაუშვათ ის 10 შეცდომა, რომელიც თქვენს კარიერას ავნებს.

– რასიზმი და სექსიზმი – გამოკითხულთა 72-მა პროცენტმა მმართველის მთავარ შეცდომად კანის ფერის გამო, ხოლო 70-მა პროცენტმა სქესის გამო თანამშრომელთა შეზღუდვა და შრომის არდაფასება დაასახელა. მკვლევართა თქმით, ამ ნიშნით ადამიანების გამორჩევა გონებაშეზღუდულობისა და ემოციური რეაგირების დაბალი დონის მაჩვენებელია.



– შეუსაბამო ხუმრობა – ხუმრობა შესაძლოა, განხეთქილების მიზეზიც გახდეს. როცა უფროსი სწორად ვერ აფასებს აუდიტორიას და შეუსაბამოდ ხუმრობს, უხერხულობას იწვევს. გამოკითხულ მმართველთა 61-მა პროცენტმა სწორედ მსმენელთა განწყობის სწორად შეფასება და ტონისა და საუბრის შინაარსის შესაბამისად შერჩევა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან უნარად დაასახელა.

– ტირილი – სამსახურში ტირილი (და არ აქვს მნიშვნელობა, სერიოზული მიზეზი გაქვთ თუ არა) ლიდერის იმიჯს დიდ ზიანს აყენებს, განსაკუთრებით თუ ლიდერი კაცია. გამოკითხულთა 59 პროცენტის აზრით, ქალის ცრემლები სულ სხვა ემოციას იწვევს. 63 პროცენტის აზრით კი, ცრემლები ერთ-ერთი ყველაზე უხეში შეცდომაა. თქვენ უნდა ისწავლოთ ემოციების კონტროლი.

– უკულტურო მეტყველება – ლიდერისთვის აუცილებელია სიმტკიცის, პრაგმატულობისა და ინტელექტუალური ძალის დემონსტრირება. უკულტურო მეტყველება კი მომენტალურად უთხრის



ძირს. ერთმა აიტი მენეჯერმა მკვლევრებს უთხრა, რომ უნახავს ხელმძღვანელები, რომლებიც ერთი შეხედვით კომპეტენტურები ჩანან, მაგრამ როგორც კი პირს გააღებენ, ჯამბაზებივით საუბრობენ, რაც პირველ შთაბეჭდილებას მაშინვე ასუსტებს.

– გინება – გინება უპატიებელ შეცდომად აღიქმება და სქესს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მსგავსი საქციელი შეუსაბამოდ და არაპროფესიონალურად ითვლება. როგორც წესი, ამ შეცდომას უფრო ხშირად ინტერნეტით უშვებენ, როცა კოლეგებისთვის არასასიამოვნო ანგარიშებს აქვეყნებენ, როცა არაპროფესიონალურ ფოტოს დებენ და როცა თანამშრომლებს ზედმეტად პირადულ შენიშვნებს აძლევენ

– ფლირტი – ზოგიერთი ფიქრობს, რომ ოფისში ფლირტს არსებობის უფლება აქვს. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით კი, ეს საქციელი რეპუტაციას ლახავს. მნიშვნელობა არ აქვს, მმართველი ქალია თუ კაცი. ფლირტი – მსუბუქი მინიშნება იმისა, რომ თანამშრომლური ურთიერთობის სექსუალურ ურთიერთობაში გადაზრდის თუნდაც მცირე შანსი არსებობს. შესაძლოა, არასწორად გაგიგონ, ნუ გარისკავთ.

– ფხანა – მსგავსი საქციელი ყურადღების გამფანტავი სანახაობაა და ხელმძღვანელის ხიბლს ასუსტებს. ასევე, თუ ადამიანი საუბრის დროს გამუდმებით ისწორებს სამოსს, ან ხელში მობილურს ათამაშებს დაბნეულის შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს რაღაც აწუხებს, ან უყურადღებოდ არის.

– მხედველობითი კონტაქტის თავიდან აცილება – ჟესტ-მიმიკის ენის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მსმენელთან მხედველობით კონტაქტს არ ამყარებთ, შთაბეჭდილებას ქმნის, რომ იტყუებით, ან რაღაცას მალავთ. საქმიან შეხვედრაზე მსგავსი საქციელი საქმისადმი თქვენს უინტერესო დამოკიდებულებაზე მეტყველებს, თანაც, როცა ადამიანებს თვალებში უყურებთ, ფიქრობენ, რომ უსმენთ.

– წვრილმანებზე საუბარი – თუ ადამიანს უჭირს აზრების ერთმანეთთან დაკავშირება და შეჯამება, მსმენელს შთაბეჭდილება რჩება, რომ ის ვერ აკონტროლებს სიტუაციას. ამით იმ აზრების მნიშვნელობის ძალაც სუსტდება, რომელთაც შედარებით დალაგებულად გამოთქვამთ. უნდა გესმოდეთ, დუმილს რა ძალა აქვს, განსაკუთრებით ქალებს. მათ უყვართ პაუზის უსარგებლო საუბრით შევსება. მნიშვნელოვანი აზრების ირგვლივ დატოვეთ თავისუფალი სივრცე, სწორედ ამით თქვენს ნათქვამს სიმტკიცესა და წონას მიანიჭებთ.

– ხშირი ხითხითი და ყურთასმენის წამღები ლაპარაკი – ლიდერი ქალების დამახასიათებელი შეცდომა ხშირი ხითხითია, ხოლო მამაკაცების – ყურთასმენის წამღები ხმა. სიტუაციის შესაბამისი სიცილი და სწორად შერჩეული ტონი ხელმძღვანელის ღირსების მაჩვენებელია. მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ იშვიათი მყვირალა ხმა ზედმეტ ემოციურობად აღიქმება და შედეგად, მსმენელების რაოდენობას თანდათან ამცირებს.

*mainfun.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მიკი რურკი ეტლით გადაადგილდება – მსახიობს, სავარაუდოდ, სიმსივნე აქვს



ლოს-ანჯელესის აეროპორტში ჰოლივუდის ვარსკვლავი მიკი რურკი უცნაურ მდგომარეობაში შეამჩნიეს. რურკი დამხმარე ქალის მეშვეობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ეტლით გადაადგილდებოდა. თავდაპირველად ეტლში მყოფი მამაკაცი ვერავინ იცნო, თუმცა დაკვირვების შემდეგ მასში „ცოდვების ქალაქის" ვარსკვლავი ტატუს მეშვეობით ამოიცნეს.

მსახიობის ფანები ეჭვობენ, რომ მიკი რურკის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესებულია და მას სიმსივნე აქვს.

*newpost.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან მჯდომმა ქალმა ცრუ განგაში ატეხა



პოლიციასთან ლაზღანდარობა სასტიკად ისჯება, ან თუ მაინც ელადავებით, ნუღარ იტრაბახებთ მაინც, თავი რომ არ გაყიდოთ.

ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ უეინში პოლიციაში რამდენიმეწამიანი ზარი დაფიქსირდა. ქალი იტყობინებოდა, რომ ქალაქის ბოლოს მდებარე ბარში ვიღაც მამაკაცი თავს დაესხა, რომელიც ცისფერი ავტომობილით მოვიდა. ოპერატიულმა პოლიციამ არ დააყოვნა და შემთხვევის ადგილისკენ გაქანდა. აღნიშნულ ბარში მისულს კი შესაშური სიმშვიდე და წესრიგი დახვდა. ბარში მყოფების თქმით, არც ქალზე თავდასხმა უნახავთ და მით უმეტეს არც ცისფერ ავტომობილიანი მამაკაცი. პოლიცია მიხვდა, რომ ბოროტი ხუმრობის მსხვერპლი იყო და ცუდი იუმორის მქონე ქალბატონის ძებნა დაიწყო. დიდხანს არ დასჭირვებია ძებნა, მოულოდნელად „ფეისბუკზე" გაჩნდა პოსტი, სადაც ქალი, სახელად ჰეილი ოუტსი, ტრაბახობდა, როგორ მოიტყუა, რათა ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან დამჯდარიყო და პოლიციას არ გაეჩერებინა.

სამართალდამცავებმა ალკოჰოლის მოყვარულს სახლში მიაკითხეს და სიმართლეც ათქმევინეს. აღიარებითი ჩვენების შემდეგ კი ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისა და ცრუ განგაშის გამო დააკავეს.

ღირდა ტლიკინი?

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ობობისგან შეშინებულმა ავსტრალიელმა პოლიციის ყურადღება მიიქცია



ვერ შემშინებია, ვერ დამიხველებია და ჩემს სახლში „ტრუსიკით" ვერ გამივლია მეზობლების მეთვალყურეობის გარეშეო. რა არის მართლა და მართლა, ჩემს სახლში მყოფ ობობას მინდა სიკვდილით დავემუქრები და მინდა ბუზის ჩაშუშულს მივართმევო, ამბობდა ახალგაზრდა ავსტრალიელი.

სიდნეის პოლიციაში მზრუნველი მეზობლების ზარი შევიდა, რომ მათ მეზობელ სახლში ოჯახურ ძალადობას ჰქონდა ადგილი. ადგილზე მისულ პოლიციას ახალგაზრდა ყმაწვილმა გაუღო კარი და პოლიციის კითხვაზე, რატომ ძალადობდა მეუღლეზე, გაკვირვებულმა უპასუხა, ცოლი საერთოდ არ მყავს და როგორ უნდა მეძალადაო. პოლიციამ უკან არ დაიხია, აბა, ვის უყვიროდი – „მოგკლავ", „უკვე მკვდარი ხარ". ააა, ეგ ობობა იყო, ბავშვობიდან ვერ ვიტან ობობებს, მთელ სახლში დავდევდი და ვცდილობდი, ბუზების საწინააღმდეგო სპრეით შემეშინებინაო.

პოლიციამ მაინც დაათვალიერა სახლი და როცა დარწმუნდა, რომ ობობის მეტი დაზარალებული სახლში არავინ იყო, შემთხვევის ადგილი დატოვა.

*lenta.ru*



– წარმოგიდგენია – გუშინ მეტროთი ვმგზავრობდი და ვაგონში რომ შევედი, ერთდროულად სამმა ადამიანმა დამითმო ადგილი?!

– მერე, რა ქენი, დაეტიე?

*****

ალსარებაზე:

– მამაო, ცოლი მივლინებაში წავიდა და კარის მეზობელთან ვიწექი...

– რამდენჯერ?

– რას ნიშნავს, რამდენჯერ? მე აქ აღსარებისთვის მოვედი და არა სატრაბახოდ!!!

*****




პატრული მანქანას აჩერებს:

– მოქალაქე, ნიშანი „60" დაინახეთ?

– დიახ, დავინახე.

– მაშ, რატომღა მოძრაობდით 100 ლარით სწრაფად?!

*****

– ახალაი-ჩახალაი!..

– ახალაი-ჩახალაი აქ არ გიშველის, შე იდიოტო, ამხელა მანქანით გადაუარე კაცს, ჩქარა სასწრაფოში დარეკე!!!

*****

– ფული? მაგარი მოღალატეა! როცა კაი ამბავია, ერთად მივდივართ, სახლში კი სულ მარტო ვბრუნდები ხოლმე...

*****

მიმდინარეობს სარეკლამო რგოლის გადაღება. მსახიობს სთხოვენ:

– თქვი პური!

– პური...

– უფრო რბილად!

– პური...

– კიდევ უფრო რბილად!

– ფუნთუშა!!!

*****



– სახლში ვზივარ. უცბად კარზე კაკუნის ხმა გაისმა. გავაღე – მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი დგას. მეკითხება, არის თუ არა ჩემი ქმარი სახლში? მე ვპასუხობ, რომ არა. გაიგო თუ არა, მომვარდა, საძინებელში შემათრია და... დღემდე ვერ გამიგია, რა უნდოდა ჩემი ქმრისგან?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი იუწყება ბატონ

**თამაზ მორალიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებისა და უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ ინგა დიაკონიძეს.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი თანაუგრძნობს ბატონ დავით მორალიშვილს მამის

**თამაზ მორალიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას 6 წლით ამოკლებსო



კი, ბატონო, მართალია, არ უნდა გვეშინოდეს არაფრის, მამაცები და გულადები უნდა ვიყოთ, მაგრამ...

ფობიები და მღელვარება ნაადრევი სიბერისა და სიცოცხლის შემოკლების მიზეზებად დაასახელეს. დასკვნა ისრაელის ქალთა ერთ-ერთი ჰოსპიტალის სპეციალისტებს ეკუთვნით.

მედიკოსებმა 5 ათასი ქალის სისხლის ნიმუშები შეისწავლეს, რომელთა ასაკი 42-დან 69 წლამდე მერყეობდა.

პირველ რიგში, თითოეულმა მონაწილემ გულახდილად აღიარა, ჰქონდა თუ არა რაიმე ფობია. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფობიური მღელვარება უარყოფითად მოქმედებს უჯრედულ დონეზე. გაირკვა, რომ ქალებს, რომლებიც მუდმივად განიცდიან უმიზეზო შიშებს, დამოკლებული აქვთ ტელომერები – ადამიანის გენეტიკურ მასალაში არსებული მცირე ზომის ფრაგმენტები, რომლებიც დაბერების პროცესზე აგებენ პასუხს.

ექსპერიმენტების შედეგად ისიც დამტკიცდა, რომ ფობიის მქონე და არმქონე ქალების ტელომერების ზომების სხვაობა 6 წლის ეკვივალენტურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას, საშუალოდ, 6 წლით ამოკლებს.

*podbornosti.ua*

## ფეხმძიმეებს სტრესისგან შოკოლადი იცავთო



ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ფეხმძიმეებს განსაკუთრებული ყურადღება და მოვლა სჭირდებათ, განსაკუთრებით კი იმაზე ზრუნვაა საჭირო, რომ მომავალ დედას თუნდაც მცირე სახის ნერვიულობა არ შეხვდეს, რაც ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს როგორც თავად მასზე, ისე ჩანასახზე.

როგორც ირკვევა, შვეიცარიელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ორსულის რაციონის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი პროდუქტი შოკოლადია, რადგან სწორედ ეს ტკბილეული ეხმარება მას ფეხმძიმობის დადებითად განვითარებაში, გადატანაში და ასევე, შეუძლია, მომავალი დედა სტრესისგან დაიცვას.

შვეიცარიელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შოკოლადის მოყვარული დედების შვილები გაცილებით აქტიურები, თამამები, მხიარულები არიან და გარდა ამისა, დიდ სოციალურ აქტიურობასაც ავლენენ.

როგორც ხედავთ, შოკოლადს მართლაც სერიოზული დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია, თუმცა სპეციალისტები იმასაც აქცევენ ყურადღებას, რომ შესაძლოა, ამ ტკბილეულმა ბავშვებში ალერგიაც გამოიწვიოს. შესაბამისად, აუცილებელია შოკოლადის ზომიერ ფარგლებში მიღება. ოპტიმალური დოზა ჯერჯერობით დადგენილი კიდევ არ არის და ამ საკითხზე მეცნიერები ახლაც მუშაობენ, თუმცა იმას კი ამბობენ, რომ მათი კვლევის ახალი შედეგების გახმაურებამდე, ორსულებმა შოკოლადი აუცილებლად უნდა მიიღონ, ოღონდ ზომიერად!

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**27 ნოემბერი:** კარგი დღეა მათთვის, ვისი მიზანიც ვიღაცის მოხიბვლა და გულის დაპყრობაა. კარგად დაფიქრდით, ნამდვილად გჭირდებათ ეს?

**კურო 22.04-21.05**
**27 ნოემბერი:** შეიძლება მოუთმენლობა დაგეუფლოთ. შეეცადეთ, დაუფიქრებელი ნაბიჯი არ გადადგათ და მოსალოდნელი საფრთხეები წინასწარ გაიაზრეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**27 ნოემბერი:** შედარებით წარმატებული დღე უნდა იყოს, თუმცა, შესაძლოა, საღამოს აღმოაჩინოთ, რომ შედეგი იმაზე ნაკლებია, ვიდრე ელოდით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**27 ნოემბერი:** სირთულეებს იმდენად ადვილად გაუმკლავდებით, შეიძლება პრობლემები ხელოვნურად შეიქმნათ. არ ღირს, ინანებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**27 ნოემბერი:** შეფერხებული საქმეების ამოქაჩვის შესაძლებლობა მოგეცემათ. შედეგის მისაღებად იმოქმედეთ სწრაფად, მაგრამ ფაციფუცის გარეშე.

**ქალწული 23.08-22.09**
**27 ნოემბერი:** საკუთარ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულმა, შეიძლება ბევრი სისულელე ჩაიდინოთ. ყური მიუგდეთ გარშემომყოფთა რჩევებს.

**სასწორი 23.09-22.10**
**27 ნოემბერი:** ყველას აქვს გარკვეული საჭიროებები და მათ დასაკმაყოფილებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. გართობას მერეც მოახერხებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**27 ნოემბერი:** საუკეთესო ფორმაში იქნებით და გარშემომყოფნი თქვენს ყველა ნაბიჯს მოუთმენლად დაელოდებიან. იმოქმედეთ, ყველაფერი უნდა გამოგივიდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**27 ნოემბერი:** შეიძლება ცდუნებამ წაგძლიოთ და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მიუღებელი მეთოდით სცადოთ. არ ღირს, შესაძლოა, ვილაც გაკვირდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**27 ნოემბერი:** როგორ ბრწყინვალედაც არ უნდა იმოქმედოთ, შესაძლოა, გამოჩნდეს რაღაც ძალა, რომელიც ნაშრომს წყალში ჩაგიყრით. არცთუ წარმატებული დღე იქნება.

**მერწყული 20.01-18.02**
**27 ნოემბერი:** ფასდაუდებელი მრჩეველი იქნებით მათთვის, ვინც სიტუაციაში კარგად ვერ გაერკვევა. სხვების მაგივრად გადაწყვეტილების მიღებას მარტივად შეძლებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**27 ნოემბერი:** ძალიან წინდახედული და ფრთხილი უნდა იყოთ. გარშემომყოფთაგან ვიღაცა მოტყუებას დაგიპირებთ. თუ ამ ადამიანს ამოიცნობთ, არ ეკონტაქტოთ.


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**


## მეცნიერებმა სპორტის ყველაზე სასარგებლო სახეობა დაასახელეს



ზოგადად, სპორტული ცხოვრება რომ ძალიან სასარგებლო და აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, ალბათ, დაგვეთანხმებით, არა? მაგრამ მაინც, არ გაინტერესებთ, რომელია სასარგებლოებიდან ყველაზე სასარგებლო?

ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სახეობის სპორტის გავლენა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ყველაზე სასარგებლო ჩოგბურთია.

აი, დასკვნები, რომლებიც კომპეტენტურ ადამიანებს თავიანთი სიტყვების გასამყარებლად მოჰყავთ:

– ჩოგბურთი ხსნის დაძაბულობას, დაბნეულობას, დეპრესიას, სიბრაზეს, მღელვარებას;

– სპორტის ეს სახეობა იწვევს ენერგიის მოზღვავებას და ადამიანს ოპტიმიზმით ავსებს;

– კვირის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ 3-საათიანი ვარჯიში დიდ ჩოგბურთში მნიშვნელოვნად ამცირებს მძიმე დაავადებების გაჩენის და უეცარი გარდაცვალების რისკს;

– დაბოლოს, მამაკაცებს შეუძლიათ, კორტებზე თეთრ მოკლე კაბებში გამოწყობილ გოგონებს შეხვდნენ, რაც სპორტის სხვა სახეობებში არ ხდება.

*dr20.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ფსიქოანალიტიკოსთან მამაკაცი მივიდა. მოკალათდა კომფორტულად სავარძელში და... დუმს. ექიმი მოთმინებით ელის. 1 საათის შემდეგ, მამაკაცი ადგა, ფსიქოანალიტიკოსს 100 ლარი მისცა და წავიდა.

ასე განმეორდა კიდევ 4-5 დღე... ბოლოს ექიმმა ველარ მოითმინა:

– იქნებ მითხრათ, რაშია თქვენი პრობლემა, რა გაღელვებთ?

– რა მაღელვებს და ცოლი! პირს ერთი წამითაც არ აჩუმებს... თქვენთან კი როგორი სიმშვიდეა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

» 21135945 7

გამომცემელი
**გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.10